

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ბონელი არახაშია

«ბიჭვინტის იაღბარი»

(წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)

თბილისი
2009

ნაშრომში განხილულია ძველი ქართული საეკლესიო წერილობითი ძეგლის, „ბიჭვინტის იადგარის“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის საკითხები: ტექსტის სტრუქტურა, შედგენის დრო, მიზანი, ცნობების წარმომადგენლობა და სანდოობა. აქვე წარმოდგენილია აღნიშნული ძეგლის ძირითადი ტექსტი და მინაწერი საბუთები.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი გიული ალასანია

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი თამაზ ბერაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ვახტანგ გოილაძე

ISBN 978-9941-0-1142-9

I. ისტორიოგრაფია. „ბიჭვინტის იაღგარის“ სახელწოდებით ცნობილი წერილობითი ძეგლი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. მასში დაცულია უაღრესად საყურადღებო ცნობები XVI ს-ის ბიჭვინტის (აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსოს ეკონომიკური მდგომარეობის, სამართლებრივი სტატუსის, საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ვითარების შესახებ.

„ბიჭვინტის იაღგარის“ დედანი დაწერილია ეტრატის გრაგნილზე (ზომები 222×18სმ.) ნუსხახუცურით [54]. მოღწეულია დედნიდან გადმოწერილი პირებიც [49; 50]. შემონახულია ეტრატის ხელნაწერის აღწერილობის ფრაგმენტი. აღწერილობა შესრულებულია XIX ს. დასაწყისში უცნობი პირის მიერ [53, 51-52].

„ბიჭვინტის იაღგარის“ ტექსტი ორიგინალის ენაზე სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად ა. ხახანაშვილმა შემოიტანა. მან 1891 წ. გამოაქვეყნა „იაღგარის“ ტექსტი მინაწერი საბუთებითურთ. ეს გამოცემა უშუალოდ დედანს ემყარებოდა [75, 124-157]. მანვე რუსულად თარგმნა და გამოაქვეყნა „იაღგარის“ ერთი ნაწილი, სახელდობრ, სისხლის დაურეების დადგენილებები [82, 568-571].

„ბიჭვინტის იაღგარის“ ტექსტი, მინაწერ საბუთებთან ერთად, მეორედ გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ [24, 180-185]. ამ პუბლიკაციასაც ა. ხახანაშვილის ნაქონი ეტრატის ხელნაწერი აქონდა საფუძვლად.

ი. დოლიძემ გამოაქვეყნა „იაღგარის“ ჯერ ერთი ნაწილი, კერძოდ, სისხლის განაჩენის დადგენილებანი [63, 611-613] ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული პირების მიხედვით, ხოლო შემდგომ — სრული ტექსტი სამივე ნუსხის, დედნისა და ორი პირის საფუძველზე. მასვე ეკუთვნის „იაღგარის“ რამდენიმე მინაწერი საბუთის ხელახალი პუბლიკაციაც [65, 386-387, 394, 498, 611, 764].

„ბიჭვინტის იაღგარი“, როგორც ისტორიული წყარო, მართალია, მონოგრაფიული შესწავლის საგნად არავის გაუხდია, მაგრამ მისი წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის ცალკეული საკითხები, საგანგებოდ თუ გაკერით, არაერთმა მკვლევარმა განიხილა.

„ბიჭვინტის იაღგარის“ ტექსტის და მისი მინაწერი საბუთების მოკლე შინაარსი ფრანგულად თარგმნა მ. ბროსემ. მანვე მოგვცა მათში მოხსენიებული ისტორიული პირების — მეფეების, დადიანების, გურიელების და კათოლიკოსების იდენტიფიკაცია [83, 141-144].

ძეგლის პირველი გამომცემელი ა. ხახანაშვილი მოკლედ შეეხო მისი შედგენის დროის საკითხს. მან, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია იმ კათო-

ლიკოსთა ზეობის ქრონოლოგიას, რომლებიც ხელს ურთავენ „იადგარის“ ტექსტს, აგრეთვე, მასში მოხსენიებული მეფეებისა და მთაერების ვინაობასა და მოღვაწეობის ხანას და აქედან გამომდინარე დაასკენა, რომ „იადგარი“ შედგენილია XVI საუკუნეში [75, 155-156; 82, 568-569]. მისი დაკვირვებით „გუჯარი უნდა იყვეს თანდათანობით შედგენილი და შემდეგ გადაწერილი ერთის ხელით, როგორც ეხედეთ ახლა ამას, ცალ-ცალკე შეწირულობანი მეფეთა და კათალიკოზთა ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის ერთად მოუქცევიათ და შიგ ჩაურთეთ საეკლესიო დადგენილება, რომლის დასაწყისი ეკუთვნის XVI საუკუნეს. შემდეგ კათალიკოზებსაც იგი მიუღიათ და დაუმტკიცებიათ“ [75, 157].

„ბიჭვინტის იადგარის“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის რამდენიმე საკითხი განიხილა ს. კაკაბაძემ ძველის გამოცემისათვის წამძღვარებულ შესავალში. მისი დაკვირვებით, ტექსტის ბოლოში მოთავსებული რვა კათალიკოსის ხელმოწერიდან პირველი სამი (მალაქიას, ედემონისა და ეფთიმიესი) ტექსტისავე ხელითაა შესრულებული, ხოლო მეოთხე და მომდევნო დანარჩენი უკვე განსხვავებული და სხვადასხვა ხელით, ამიტომ ისინი ნამდვილი ხელმოწერებია. აქედან გამომდინარე მკვლევარი ასკენის, რომ „იადგარის“ ტექსტი მოღწეული სახით შედგენილია ეფთიმიე საყვარელიძის კათოლიკოსობის ხანაში ე.ი. 1578-1616 წლებში [24, 177].

ს. კაკაბაძის აზრით, „იადგარის“ დღეისათვის ცნობილ ტექსტში წარმოდგენილია ორი პლასტი. პირველი ეკუთვნის იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის და აფხაზეთის კათალიკოსის მალაქიას ხანას და დაწერილია, დაახლოებით 1526-1550 წლებში; მეორე პლასტი, რომელიც მოიცავს XVI ს. დასაუღეთ საქართველოს მეფე-მთავართა შეწირულობების შესახებ ცნობებს, ჩართულია თავდაპირველ ტექსტში ეფთიმიე საყვარელიძის კათოლიკოსობის პირველ ხანებში, დაახლოებით 1578-1600 წლებში [24, 178].

ს. კაკაბაძემ მოგვცა „იადგარის“, როგორც ისტორიული წყაროს მოკლე დახასიათება, სადაც ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას XVI საუკუნის დასაუღეთ საქართველოს სოციალური ვითარების რეკონსტრუქციის, აგრეთვე, მატერიალური კულტურის შესწავლის საქმეში [24, 179].

„ბიჭვინტის იადგარის“ როგორც ისტორიული წყაროს შეფასების საკითხს შეეხო ლ. მუსხელიშვილი. მისი აზრით, „იადგარი“ ნატყუარი საბუთია (ძველის ნატყუარობაზე მკვლევარს, როგორც თვითონ აღნიშნავს, ყურადღება მიაქცევინა ი. ჯავახიშვილმა). ამის მოწმობად მას მიაჩნია შემდეგი ფაქტები: 1) რვა კათალიკოსის ხელრთვათაგან სამი პირველი „იადგარის“ ტექსტის ხელითაა დაწერილი, ხოლო მეოთხე და მეხუთე სხვა, მაგრამ ორივე ერთი ხელით

2) ბაგრატ III თავისსავე თავს „დიდად“ იხსენიებს; 3) მაჰია დადიანი (გარდაიცვალა 1532/33წ.) პირველი პირით ლაპარაკობს და დადიანებად იხსენიებს თავის ძეს ლეონს და შვილიშვილებს, გიორგის და მამიას, რომელთა დადიანობას, რასაკვირველია, ვერ მოესწრებოდა, ისე რომ, გამოდის, თითქოს ყველა შწირულობანი ოთხეცს ერთად გაეკეთებინათ ასევე იქცევა როსტომ გურიელი, რომელიც გურიელად ასახელებს თავის შვილს, გიორგის; 4) იმერთა მეფე გიორგი II სწირავს ზოშტიბელას და ჩუნეშს ბიჭვინთის ღეთისმშობელს, იმ დროს, როდესაც მისივე 1569 წლის სიგელით მას შეუწირავს ეს ადგილები გელათის საკათალიკოსო წმ. გიორგის ეკლესიისათვის; 5) დიდი ნაწილი „იადგარში“ შწირულად მოხსენიებული სოფლებისა აფხაზეთის საკათალიკოსო დიდ დაუთარში შეტანილი არაა (წუგნა, კუებლვეი, კუზი, აითარნე, არუხა, რაბიწა და სხვა), რაც გაუგებარი რჩება, თუ კი, როგორც ს. კაკაბაძე ფიქრობს, ეს ძველი XVI ს-ის დამლევს შეუესიათ და გადაუწერიათ; 6) სისხლის ფასი არაჩვეულებრივად მაღალია, მოგვაგონებს სასისხლო სიგელებს და ამ მხრით საერთო არა აქვს რა „კათალიკოსთა სამართალთან“, რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1543-1549 წლებში“ [40, 269].

„იადგარი“, ლ. მუსხელიშვილის აზრით, შეთხზულია XVI ს-ის დამლევს და მიზნად ჰქონდა საკათალიკოსო მამულების შეუვალობის, ყმების სისხლის ფასის და ზოგიერთი შწირულობის გაყალბება [40, 269].

მიუხედავად იმისა, რომ „იადგარი“ ნაყალბეად მიაჩნია, მეკლევარი მაინც შესაძლებლად თვლის მის გამოყენებას იმ მოსაზრებით, რომ იქ, სადაც ამას ნატყუარობის მიზანი არ მოითხოვდა, ყალბისმქნელი არ შეიტანდა მოგონილ და სინამდვილესთან შეუფერებელ ცნობებს [40, 269].

ი. დოლიძე იზიარებს „იადგარის“ ნაყალბეობის თვალსაზრისს და მის სასარგებლოდ მოაქვს შემდეგი არგუმენტები: 1) საბუთის ტექსტში მოხსენიებულია კათოლიკოსი ედემონი (1557-1578წ.), რომლის, შწირულობას ასახელებს ბაგრატ III (1510-1565წ.). გამოდის, რომ საბუთი დაიწერა არაუადრეს ედემონის კათოლიკოსობისა და არაუგვიანეს ბაგრატ III მეფობისა, ე.ი. 1557-1565 წ.წ., მაგრამ საბუთის ხელრთვებში ხდება უცნაური რამ: პირველ ხელჩამრთველად გვევლინება ედემონის წინამორბედი კათოლიკოსი ვთვიმე. გამოდის, რომ საბუთი დაიწერა ედემონ კათოლიკოსის დროს და მას ხელი ჩაუერთო უკვე გარდაცვლილმა ვთვიმემ. 2) საბუთს ხელს არ ურთავს არც ერთი მისი გამცემი: არც მეფე, არც დადიანი, არც გურიელი, არამედ ხელს ურთავს საბუთის მიმღები კათოლიკოსი. ასეთი რამ ქართული დიალომატიკისათვის უჩვეულოა, აღნიშნავს ი. დოლიძე [17, 616-617].

მიუხედავად ზემოთქმულისა, მკვლევარი თელის, რომ „იადგარი“ მაინც ძეირფასი წყაროა ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად.

ი. ღოლიძეს საბუთის პუბლიკაციაში მითითებული აქვს ს. კაკაბაძისეული დათარიღება, მაგრამ თანდართულ შენიშვნებში აღნიშნავს რომ ის შედგენილია ედემონ ჩხეტიძის კათოლიკოსობის დროს ანუ 1557-1578 წლებში. ამაზე ადრე, აღნიშნავს მკვლევარი, საბუთი ვერ შედგებოდა, რადგან ტექსტის ხელით მიწერილი სამი ხელრთვიდან უკანასკნელი ედემონისაა. ედემონის კათოლიკოსობაზე გვიან ეს საბუთი ვერ შედგებოდა, რადგან მასზე მიწერილია ედემონის ნამდვილი საბუთი [17, 617].

ბ. ღომინაძე აფხაზეთის საკათოლიკოსოს ისტორიასთან დაკავშირებით გაკერით შეუბო „ბიჭვინტის იადგარის“ წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის რამდენიმე საკითხს. მისი დაკვირვებით, „იადგარი“ შედგენილია ერთდროულად, ერთი ავტორის მიერ, რომელსაც თავისებურად გაუზრებია და დაულაგებია არსებული მასალა, ბოლოში მას დაურთავს კათოლიკოსთა სიგნატურა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მაგრამ თვით საბუთი სხვა პრინციპით აუგია. ჯერ მოუცია ცნობები მეფეთა შეწირულობების შესახებ, შემდეგ დადიანებისა და ბოლოს გურიელებისა. ბ. ღომინაძის შენიშვნით, აშკარად ჩანს, რომ „იადგარში“ შეტანილი კონკრეტული მასალა, რომელთა შემოწმებაც მოხერხდა, სინამდვილეს შეეფერება [38, 182].

ი. სურგულაძე მიიჩნევს, რომ „ბიჭვინტის იადგარი“ ნაყალბევი ძეგლია, მაგრამ ის მაინც თავისი ეპოქის სინამდვილეს ასახავს. „თუ სიყალბისმქმნელის მიზანი იყო ზოგიერთი შეწირულების გაყალბება ან კიდევ სისხლის ფასის ხელოვნურად გაზრდა, ის არ შეეცდებოდა ყალბი ცნობები მოეტანა სხვა საკითხების შესახებ. პირიქით ეცდებოდა, მის მიერ შედგენილი ძეგლი სხვა მხრივ სინამდვილის შესატყვისი ყოფილიყო. ამიტომ „ბიჭვინტის იადგარი“ ძეირფასი წყაროა ქართული სამართლის ისტორიისათვის“ — აღნიშნავს მკვლევარი [60, 195-196]. ი. სურგულაძე საგანგებოდ განიხილავს „იადგარის“ სასისხლო განჩინებებს. შენიშნავს რა ერთგვარ შინაარსობრივ წინააღმდეგობებს და შეუსაბამობებს მუხლებს შორის, მკვლევარს რჩება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული განჩინებების სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის მიერ არის დაწერილი და შემდეგ გაერთიანებული. შესაძლებელია, ფიქრობს ის, ყალბისმქმნელმა შეაგროვა ცნობები, სიგელები და შეეცადა მათთვის ერთიანი სახე მიეცა [60, 209].

„ბიჭვინტის იადგარის“ ნატყუარობის საკითხი საგანგებოდ განიხილა ი. ანთელაძემ. მისი აზრით, ძეგლის ნატყუარობის დასამტკიცებლად მოხმობილი

არგუმენტები დამაჯერებლობას მოკლებულია. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „იადგარის“ შექმნა ქრონოლოგიურად ძალზე უახლოვდება „იადგარის“ უტყუარ მინაწერ საბუთებს შეწირულობათა შესახებ. ასეთი ვითარებაში, მკვლევარს ძალზე ეჭვება, რომ იმერეთის, ოდიშის, გურიის მესვეურებს და აფხაზეთის კათოლიკოსებს, რომელთაც მინაწერები გაუკეთებიათ იადგარზე, ისეთი გულუბრყვილობა გამოეჩინათ, რომ არ ცოდნოდათ და არც გამოეძაოთ მათმა წინაპრებმა ნამდვილად უბოძეს თუ არა საკათოლიკოსოს მასში დასახლებული მამულები და პრივილეგიები.

ი. ანთელავას აზრით „იადგარის“ დამწერს ხელთ უნდა აქონოდა დოკუმენტში მოხსენიებული მეფეთა, დადიანთა და გურიელთა სიგელები, რომელთაგან მან ამოიღო საჭირო მასალა და ჩამოაყალიბა ახალი დოკუმენტი, რომელიც ერთდროულად შეიცავს შეწირულობის სიგელთა მონაცემებს და სასისხლო პრივილეგიებს. მისი მოსაზრებით, ძველის „ანაქრონიზმები“ აიხსნება არა მისი ნატყუარობით, არამედ სხვადასხვა დროის სიგელთა მონაცემების ერთად თაემოყრითა და მათი ციტაციის თავისებურებით. საბოლოოდ მკვლევარი ასკვნის, რომ „ბიჭვინტის იადგარი“ ნამდვილი შეწირულობების სიგელებისა და კათოლიკოსის საყდრისათვის ბოძებული სასისხლო პრივილეგიის თავისებური კრებულია, რომელსაც უეჭველია თავისი იურიდიული ძალა აქონდა, რასაც მისი ვრცელი მინაწერი საბუთებიც საუცხოოდ ადასტურებს [2, 58-60].

ი. ანთელავა ვრცლად შეეხო, აგრეთვე, „ბიჭვინტის იადგარის“ შინაარსობრივ მიმართებას ქართული სამართლის სხვა ძეგლებთან (ე.წ. ბაგრატ კურაპალატის სამართალი და „კათალიკოზთა სამართალი“) [2, 53-55, 61].

ასეთია ძირითადად, „იადგარის“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის საკითხების გარშემო არსებული მოსაზრებები, დაკვირვებანი თუ შენიშვნები. მათ მიმართ ჩვენი დამოკიდებულება, გამეორებათა თუიდან აცილების მიზნით, ნაჩვენები იქნება ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფებში.

II. ისტორიული პირები. „ბიჭვინტის იადგარის“ წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის პრობლემების, სახელდობრ, ტექსტის სტრუქტურის, შედგენის დროისა და ვითარების, ცნობათა წარმომავლობისა და სანდოობის შესწავლისათვის ერთ-ერთი ამოსავალი საფუძველია თვით „იადგარში“ მოხსენიებული ისტორიული პირების ზუსტი იდენტიფიკაცია და ქრონოლოგია, აგრეთვე, გეოგრაფიული პუნქტების სწორი ლოკალიზაცია.

აღნიშნული საკითხების ცალკე გამოყოფა და მათზე საგანგებო მსჯელობის გამართვა გამოწვეულია არა იმიტომ, რომ ეს საკითხები ისტორიოგრაფიაში

ყურადღების მიღმა დარჩენილი, არამედ იმით, რომ მათს შესახებ საეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. არადა, ამ საკითხების შესახებ ჩვენს წარმოდგენებზე დიდად არის დამოკიდებული „იადგარის“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების იაობაზე მართებული თვალსაზრისების შემუშავება.

ყოველივე ამის გამო, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ აღნიშნული ორი საკითხი კიდევ ერთხელ განვიხილო და ვაჩვენო ჩემი მიდგომა მათდამი.

როგორც ითქვა, ჩემი მიზნებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს „იადგარის“ ისტორიულ პირთა ვინაობისა და მოღვაწეობის ხანის განსაზღვრაში, შესაძლებლობის მიხედვით, მეტი სიზუსტის შეტანა.

„ბიჭვინთის იადგარის“ ტექსტს ბოლოში ერთევის ბიჭვინთის (დასაუღეთ საქართველოს) რვა კათოლიკოსის სიგნატურა.

ეს კათოლიკოსებია:

I. მალაქია

II. ედემონ

III. ეფთჳმი

IV. მალაქია

V. მაქსიმე

VI. ზაქარია

VII. სკემონ

VIII. დავით [* 72,73].

დღეისთვის ეჭვმიუტანლად გარკვეულია ბოლო ექვსი (III-VIII) კათოლიკოსის ზეობათა წლები.

III. „კათალიკოზი ეფთჳმე“ არის იგივე ექვთიმე საყვარელიძე, რომელიც კათოლიკოზად იჯდა 1578-1616 წწ. [იხ. 35: 90-102].

IV. „კათალიკოზი მალაქია“ — მალაქია II, გიორგი გურიელის ძე, 1616-1639 წწ.

V. „კათალიკოზი მაქსიმე“ — მაქსიმე მაჭუტაძე, 1639-1657 წწ.

VI. „კათალიკოზი ზაქარია“ — ზაქარია ქვარიანი, 1657-1660 წწ.

VII. „კათალიკოზი სკემონ“ — სემონ ჩხეტიძე, 1660-1666 წწ.

VIII. „კათალიკოზი დავით“ — დავით მენსაძე, 1673-1696 წწ [35, 90-102; 36, 67-74].

„იადგარის“ ხელმომწერთაგან პირველი ორი კათოლიკოსის, მალაქიას და ედემონის მოღვაწეობის ქრონოლოგიის საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს დამატებით კვლევას.

* გარსკვლავით აღნიშნავ ამავე წიგნში შეტანილ „ბიჭვინთის იადგარის“ და მინაწერი საბუთების ტექსტებს.

ერთადერთი თარიღიანი საბუთი, სადაც ბიჭვინთის კათოლიკოსი მალაქია იხსენიება, გაცემულია 1527 წ. [26, 9]. მალაქიას მოქმედ კათოლიკოსად იხსენიებენ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელებისა და „ცხოვრება საქართველოსას“ შემდგენლები 1533 წლის დასაწყისის ამბების აღწერაში. მათი ცნობით, ჯიქეთში ლაშქრობის დროს, 1533 წლის 31 იანვარს ბრძოლაში დაიღუპა ოდიშის ერისთავი მამია დადიანი და ტყვედ ჩავარდა გიორგი გურიელი. ამის შემდეგ ჯიქეთში „წაიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალი და მკედარი ფასით იყიდა“ [66, 497; 73, 42; 46, 378; 41, 55, 105]. ამ ფაქტს ეახსმები ბაგრატიონი 1532 წლით ათარიღებს [20, 811, 813], მაგრამ ზუსტია პირველი თარიღი, 1533 წ. [9, 26].

დღეისათვის მოღწეულია მალაქია კათალიკოსის მიერ გაცემული ერთი უთარიღო საბუთი გენათის (გელათის) საეპისკოპოს დაარსების შესახებ. მასში ეკითხულობთ „ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან დიდმან მამამთავართ-მამამთავარმან აღმოსავლისა და ყოელისა ჩრდილოს და აფხაზეთის კათალიკოზ მსოფლიო პატრიარქმან მალაქიონ ესე გუჯარი და სიგელი მოგახსენეთ თქვენ... ხატსა დედოფლისა ხახულისა ღმრთის-მშობელსა და... მიტროპოლიტსა და მღვდელ-მთავარსა გეთანელ ეპისკოპოზს წმიდასა მეუფესა მელქისედეკს, მას ფამსა, ოდეს... მეფეთ-მეფემან ბაგრატ მო[გუ]ახსენა და დაგუჯჳრა, რათამცა გენათი საყდრად და საეპისკოპოზოდ შეგვექმნა. ვისმინეთ მოვსენება მათი... და ეაკურთხეთ და დაესვით გენათს კაცი უადრესი ანგელოსთა და განუჩინეთ პატივი და საჯდომი... და გაუჩინეთ სამწყსონი და საკურთხი“ [26, 10-11; 65, 249-250].

ამავე ფაქტის ე.ი. გენათის საეპისკოპოსოს შექმნისა და პირველ გენათულ ეპისკოპოსად მელქისედეკის კურთხევის შესახებ მოგვითხრობენ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება და „ცხოვრება საქართველოსას“. ისინი გვაუწყებენ, რომ 1529 წ. 10 იანვარს „შიცვალა ქუთათელი გერასიმე. ამასვე წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სვიმეონ და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინთისასა. ამასვე ქორონიკონსა მეფეთ-მეფემან ბაგრატ განყო ღიზთ-იმერი სამ საეპისკოპოზოდ, ბრძანებითა აფხაზეთის კათალიკოზისა აბაშიძისათა. ინება... მეფეთ-მეფემან ბაგრატ [მიცემად]... საყდრისა.... გენათისა ეპისკოპოზისა მელქისედეკის საყუარელის ძისა. ამასვე დროსა იმავე პატრონმან გააჩინა ზონელ ეპისკოპოზად მჩხეტის ძე მანოელ მისივე აფხაზეთისა კათალიკოზისა კვლითა საყდართა შიგან ბიჭვინთისასათა, ქორონიკონი იყო სიზ: წარედით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა 5 და მოედით ივლისსა 3“ [73, 41-42; 66, 493].

მალაქია კათოლიკოსის სიგელი, ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება და „ცხოვრება საქართველოსა“, მეორე მხრივ, ერთი და იმავე ამბის, სახელდობრ, გენათის საეპისკოპოსოს შექმნის შესახებ მოგვითხრობენ. მაის თხრობაში არსებული განსხვავებული დეტალები მხოლოდ აგსებენ ერთმანეთს. მალაქიას სიგელი გვამცნობს გენათელი ეპისკოპოსის მხოლოდ სახელს (მელქისედეკი), მეორენი სახელთან ერთად გვარსაც (საყვარელიძე). „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელება და „ცხოვრება საქართველოსა“ ეპისკოპოსების (სეიმონ ქუთათელი, მელქისედეკ გენათელი, მანუელ ხონელი) მაკურთხეველი კათოლიკოსის სახელს არ იხსენიებს, მაგრამ ასახელებს გვარს (აბაშიძე). მათივე ცნობით, გელათისა და ხონის საეპისკოპოსოების დაარსება და პირველი ეპისკოპოსების კურთხევა მოხდა იმავე 1529 წ., როდესაც გარდაიცვალა ქუთათელი გერასიმე და მის ადგილზე აკურთხეს სეიმონი. ვახუშტი ბაგრატიონი გელათის საეპისკოპოსოს დაარსების ფაქტს მოკლედ გადმოსცემს და განსხვავებულ თარიღსაც იძლევა: „შემოიკრიბა კათალიკოზ-ეპისკოპოსი იმერეთისანი ბაგრატ მეფემან და აჟო გელათი საეპისკოპოსოდ და დასუა საყვარელიძე მელქისედეკ, ქ-სა ჩფით, ქარს-ზე“ (1519წ.) [20, 810].

როგორც ეხედავთ, ვახუშტი გელათის კათედრის დაარსებას და მელქისედეკ საყვარელიძის ეპისკოპოსად კურთხევას 1519 წლით ათარიღებს. ამ ფაქტის თარიღად 1519წ. უჩვენებს ერთი ჟამგულიანის (XVIII ს.) კინკლოსის ცნობა [74, 70; 41, 68, 104]. ამავე თარიღს უჩვენებს გელათის XVIII საუკუნეში გადაწერილი გულანის ერთ-ერთი მინაწერიც [46, 335; 81, 126].

გელათის საეპისკოპოსო შექმნის თარიღად 1525 წელს ასახელებს შემოქმედის გულანის კინკლოსური ჩანაწერი [41, 74].

როგორც ეხედავთ, გელათის საეპისკოპოსოს შექმნის თარიღად წყაროებში ნაჩვენებია 1519წ., 1525წ. და 1529წ.

თ. ჟორდანიამ აღნიშნული თარიღიდან უპირატესობა 1519წ. მიანიჭა და აქედან გამომდინარე მალაქია კათოლიკოსის ზემოხსენებული უთარიღო სიგელიც 1519 წლით დაარიღა [46, 342] იმავე თარიღის სისწორეს იზიარებს თ. ქორიძე [68, 12-16].

ჩვენი აზრით, სრულ ნდობას იმსახურებს „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების და „ცხოვრება საქართველოსა“ ავტორებთან მოცემული თარიღი — 1529წ. ამის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ამ ავტორებთან დაცული ინფორმაცია მომდინარეობს ე.წ. „გელათური ქორონიკონიდან“, რომელიც გელათში იწერებოდა [იხ. 22, XLIV, 78, 280-283] და ამის

გამო მისი შემდგენელი უკეთ იცნობდა ადგილობრივ ეთარებას, ვიდრე ზემოთ დასახელებული სხვა წყაროების ავტორები. გარდა ამისა, ამავე თარიღს არაპირდაპირ ადასტურებს წმ. გიორგის გულანის ერთი მინაწერიც, რომელიც გვაუწყებს, რომ 1529წ. „მიიტყალა ქუთათელი გერმანოზ და დაღვა სკემონ“ [46, 372]. თუ გაითვალისწინებთ „გელათური ქორონიკონიდან“ მომდინარე ზემოთ მოტანილი ფრაგმენტის ჩვენებას, რომ გერმანე ქუთათელის გარდაცვალება, ზოლო მის ადგილზე სვიმონის, გენათელად მელქისედეკ საყვარელიძის, ზონულად მანუელ ჩხეტიძის კურთხევა ერთსა და იმავე დროს ანუ 1529წ. მოხდა, მაშინ წმ. გიორგის გულანის მინაწერიც ამავე თარიღის სისწორეზე მეტყველებს.

გელათის საეპისკოპოსოს დაარსების აღნიშნული თარიღი მისაღებად მიიჩნია ს. კაკაბაძემ, რომელმაც სწორედ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ჩვენების საფუძველზე მალაქია კათოლიკოსის დასახელებული სიგელი 1529 წლით დაარიღა [26, 10], რაც შემდგომში გაიზიარეს ბ. ლომინაძემ [37, 178] და ი. დოლიძემ [65, 247].

ამრიგად, ღვთისათვის ხელმისაწვდომი წყაროების მონაცემებით, მალაქია აბაშიძე ბიჭვინთის კათოლიკოსად ჩანს 1527-1533 წლებში. მაგრამ ესაა წყაროებში მისი ხსენების წლები. გაურკვეველი რჩება მისი კათოლიკოსობის დაწყებისა და დასრულების ზუსტი თარიღები.

მალაქია აბაშიძის შემდგომ ბიჭვინთის კათოლიკოსი, წყაროების მიხედვით, ედემონი ჩანს. 1541წ. შედგენილი გელათის გულანის ერთ-ერთი მინაწერი იუწყება: „სრულ იქმნა რვანი ჳმანი პარაკლიტონი... ბრძანებითა ქრისტეს მიერ კურთხეულისა აფხაზეთისა კათალიკოს-პატრიარქისა ედემონისათა“. ამავე ხელნაწერის სხვა ადგილას ვკითხულობთ „დაიწერა და სრულ იქმნა... ესე გულანი ქორონიკონსა სკთ... ბრძანებითა აფხაზეთისა კათალიკოს-პატრიარქისა ედემონისათა, რომლისა ცსენებად და კურთხევად საუკუნოდმცა არს წინაშე უფლისა“ [69, 225-226].

როგორც ვხედავთ, პირველი მინაწერი, რომელიც ხელნაწერის გადანუსხვის პროცესშია შესრულებული, ედემონ კათალიკოსს ცოცხლად იხსენიებს, მეორე მინაწერი კი, რომელიც „გულანის“ გადანუსხვის დასრულების შემდეგ, 1541 წელსაა გაკეთებული, აღნიშნულ კათალიკოსს უკვე მიცვალებულად იხსენიებს. ამას მოწმობს კათალიკოსის მიმართ ნათქვამი სიტყვები: „რომლისა ცსენებად და კურთხევად საუკუნოდმცა არს წინაშე უფლისა“. ასეთი ფორმულა მხოლოდ მიცვალებულს მიემართებოდა.

1541 წელს გელათის მინაწერში მოხსენიებული ედემონის კათალიკოსობის დასაწყისი უცნობი რჩება.

ეს ევდემონი არ შეიძლება იყოს ის „ევდემონ აფხაზეთის კათალიკოსი“, რომელმაც ქართლის კათოლიკოსთან, მალაქიასთან ერთად მოიწვია დასავლეთი საქართველოს საეკლესიო კრება, რომელმაც შეიმუშავა „კათალიკოსთა სამართალი“, ვინაიდან აღნიშნული კრება არ შეიძლებოდა შემდგარიყო 1548 წელზე ადრე [3, 65]. ამიტომ გაუმართლებლად მიგვაჩნია თვალსაზრისი გელათის გულანის 1541 წლის მინაწერში მოხსენიებული ევდემონ კათოლიკოსისა და 1578წ. გარდაცვლილი კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის იგივეობის შესახებ [67, 138; 68, 16]. ამ უკანასკნელ იდენტიფიკაციას უსაფუძვლოდ მიიჩნევდა ბ. ლომინაძე, გამომდინარე იქიდან, რომ ევდემონ ჩხეტიძე კათოლიკოსად ეკურთხა 1557წ. და შეუძლებელია ის 1541წ. კათოლიკოსი ყოფილიყო [37, 180]. ჩვენი მხრით დავძენთ, რომ აღნიშნულ იდენტიფიკაციას გამორიცხავს არა მხოლოდ ევდემონ ჩხეტიძის აღსაყდრების თარიღი (1557წ.), არამედ გელათის გულანის მინაწერში ნახსენები ევდემონ კათოლიკოსის გარდაცვალების თარიღიც (1541წ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისთვის დადგენილია, რომ ევდემონ ჩხეტიძე კათოლიკოსის ხარისხში მოღვაწეობდა 1557-1578 წლებში [37, 180].

ამრიგად, „ბიჭვინტის იადგარის“ დამამტკიცებელ კათოლიკოსთა ჩამონათვალში პირველ ადგილზე დასახელებული მალაქია იგივე სხვა წყაროებით ცნობილი მალაქია აბაშიძეა, რომელიც კათოლიკოსად სუფევდა დაახლოებით 1527-1533 წლებში. აღნიშნულ ჩამონათვალში მეორე ადგილზე დასახელებული ევდემონის იდენტიფიკაცია ძნელია, ვინაიდან არ შეიძლება გადაჭრით ითქვას მალაქიას მომდევნო ორი ევდემონიდან რომელს ეკუთვნის „ბიჭვინტის იადგარის“ ბოლოში დაცული სიგნატურა.

„ბიჭვინტის იადგარის“ ხელმომწერ კათოლიკოსთა იდენტიფიკაციამ შესაძლებლობა მისცა შევადგაროთ მოხდინათ „იადგარში“ მოხსენიებული მეფეებისა და მთავრების ზუსტი იდენტიფიკაცია.

„იადგარში“ იხსენიებიან შემდეგი მეფეები და მთავრები: „მეფეთ-მეფე ბაგრატ“; „მეფეთ-მეფე გიორგი“; „მეფეთ-მეფის ძე თაიმურაზ“; „დადიანი პატრონი მამია და ძე ჩუენი პატრონი ლეონ დადიანი და ძენი ჩუენი დადიანი პატრონი გიორგი და დადიანი პატრონი მამია“; „გურიელი ბატონი როსტომ და ძე ჩუენი გურიელი ბატონი გიორგი“ [*, 67-69].

როგორც ზემოთ ვნახეთ, „იადგარს“ ხელს ურთავენ XVI-XVII საუკუნეების კათოლიკოსები. პირველი მათგანის, მალაქია აბაშიძის კათოლიკოსობა იწყება არაუგვიანეს 1527 წლისა. აქედან გამომდინარე, შევადგაროთ მიერ დადგენილია, რომ „იადგარის“ „მეფეთ-მეფე ბაგრატ“ არის იმერეთის მეფე ბაგრატ III; „მეფეთ-მეფე გიორგი“ იმერეთის მეფე გიორგი II, ძე ბაგრატ III-ისა; „მეფის

ძე თაიმურაზი“ იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ერთ-ერთი შვილი [24, 177-178; 17, 615-616; 2, 53 და შმდ.].

ბაგრატ III-ის მეფობის თარიღი სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ვარიანტებითაა წარმოდგენილი. ვახუშტი ბაგრატიონი მის მეფობას 1510-1548 წლებს შორის ათვსებს [20, 810-814]. ეს თარიღი გაიზიარეს მ. ბროსემ [14, 349], ე. თაყაიშვილმა [21, 279], გ. ბოჭორიძემ [12, 72], ბურჯანაძემ [23, 17-18] და სხვებმა. დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებულია ს. კაკაბაძის მიერ დადგენილი თარიღები, 1510-1565წ.წ. [32, 31].

ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ითქვა, ბაგრატ III-ის გარდაცვალების თარიღად 1548წ. იძლევა. იმავე წელს უჩვენებს გიორგი II-ის გამეფების თარიღად, ხოლო გარდაცვალებას 1585 წლით თარიღებს [20, 819]. განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ო. სოსელიამ. მკვლევრის ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებაში, რომ გიორგი II-ის მიერ გაცემული ერთი საბუთი დათარიღებულია მისი მეფობის „მეოცდარე ინდიქტიონით“ [123, 18-19]. ო. სოსელია იზიარებს აღნიშნული მეფის ტახტზე ასეულის ს. კაკაბაძისეულ თარიღს (1565წ.) და აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ აღნიშნული საბუთი გაცემულია 1587წ. (1565+22), რაც, მისი აზრით, გიორგი II-ის ზეობის ბოლო წელიცაა [57, 3; 58, 27].

როგორც ვახუშტი ბაგრატიონის, ისე ო. სოსელიას მიერ მითითებულ თარიღებს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ 1583წ. იმერთა მეფის ტახტზე ზის გიორგი II-ის ძე, ლევანი, რომელიც აღნიშნულ წელს წყალობის სიგელს აძლევს გიორგი დაღანიძეს [23, 19]. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი II-ის ზემოთ ხსენებულ სიგელში მისი მეფობის „ოცდამეორე“ წელი ნაანგარიშეა არა დამოუკიდებელი მეფობის დასაწყისიდან, არამედ თანამოსაყდრედ კურთხევიდან, რომელიც, შესაძლოა ვახუშტის მიერ გიორგი II-ის გამეფების თარიღად ნაჩვენები 1548 წელი იყოს. გიორგი II-ის ყველაზე გვიანდელი თარიღიანი საბუთი გაცემულია 1581წ. [45, 249]. მისი მეფობის ბოლო წლად კი 1583წ. უნდა მოიჩინოთ [15, 123].

„იადგარში“ მოხსენიებული „მეფეთ-მეფის ძე თაიმურაზი“ არის ბაგრატ III-ის ერთ-ერთი შვილი თეიმურაზი (ვარიანტული ფორმით: თაჰმურაზი), რომელიც იხსენიება ბაგრატ III-ის მიერ 1514წ., 1527წ და 1545წ. გაცემულ სიგელებში [45, 235].

„ბიჭვინთის იადგარში“, როგორც ზემოთ ვნახეთ, დადიანებს შორის პირველად დასახელებულია მამია, რომელსაც ჰყავს ძე ლეონი. ესაა სხვა წყაროებით კარგად ცნობილი ოდიშის ერისთავი მამია III, რომელიც ერისთავად ჩანს 1503 წლიდან [4, 111]. ის ჯიქებთან ბრძოლაში დაიღუპა 1533წ. [9, 26].

„იადგარის“ დადიანი ლეონ, მამიას ძე არის ოდიშის უკანასკნელი ერისთავი და პირველი მთავარი ლევან I, რომლის ზეობის თარიღებია 1533-1572წ.წ. [9,26]. „იადგარისეული“ დადიანები გიორგი და მამია, ლეონის ძენი, არიან ოდიშის მთავრები, ლევან I-ის ძეები გიორგი III და მამია IV გიორგი III მთავრის ტახტზე იჯდა 1572-1573 და 1578-1582 წლებში, მამია IV კი 1573-1578 და 1582-1595 წწ. [9, 27].

„იადგარში“ დასახლებული როსტომ გურიელი და მისი ძე გიორგი არიან გურიის მთავრები როსტომ I (1534-1564) და გიორგი II, რომელიც მთავრობდა 1564-1583წ და 1587-1600 წლებში [59, 134-135].

III. „იადგარის“ გეოგრაფია. უნდა შეეხვით „ბიჭვინთის იადგარის“ შინაგანი კრიტიკის კიდევ ერთ საკითხს — მასში მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციას.

„იადგარის“ მიხედვით, ბიჭვინთის საკათალიკოსოს იმერეთის მეფეებმა, დადიანებმა და გურიელებმა ყმა-გლეხები, აზნაურები და ეკლესია-მონასტრები შესწირეს 30 სოფელში. მათ შორის 13 რაჭაში, ლეჩხუმში, იმერეთსა და სამეგრელოში დღესაც არსებული დასახლებული პუნქტებია: ბარო, სოფელი აწინდელ ონის რაიონში; საჩხურო, სოფელი წყალტუბოს ზონაში, დღნორისას თემში; ოფა, სოფელი ოზა ბაღდადის რაიონში; ნავენახევი, სოფელი თერჯოლის რაიონის ნახშირელის თემში; ჭალასთავი, სოფელი თერჯოლის რაიონის გოდოგნის თემში; ჯიმასტარო, სოფელი ჯიმაშტარო წყალტუბოს ზონის ოფურჩხეთის თემში; ხონი, აწინდელი ქალაქი ხონი; კუხი, სოფელი ხონის რაიონში; მანთხოვი, აწინდელი სოფელი მათხოვი ხონის რაიონში; ჯიქთუბანი, სოფელი სამტრედიის რაიონის ეწერის თემში; ხიბულა, აწინდელი სოფელი ძველი ხიბულა ხობის რაიონში; რაბიწა, აწინდელი რაფიწა გაგრის რაიონის ლიძავის თემში [47].

დანარჩენი 17 გეოგრაფიული პუნქტიდან 16 არ გვხვდება დასაყვლეთ საქართველოს თანამედროვე სოფლების ნომინაციაში, ხოლო ერთი მათგანის, კერძოდ, ჩუენქის სახელწოდებით ამჟამად, სამი სოფელია ცნობილი. საძიებელია „იადგარში“ დასახლებული ამ სოფლების ადგილმდებარეობა. მათს ლოკალიზაციას განვიხილავთ „იადგარში“ წარმოდგენილი თანმიმდევრობით.

„იადგარის“ თანახმად, იმერეთის მეფემ, ბაგრატ III-მ ბიჭვინთის ღვთისმშობელს სოფელ ბართან ერთად შესწირა ციხის მონასტერი. ამჟამად ტაძარი „ციხის ეკლესიის“ სახელწოდებით მდებარეობს სოფ. ქვემო ბარში, ციხის-ლიანთ უბანში. ამ ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია ფრესკა

შემდეგი წარწერით „მინდაგურიძე, მოძღვარი, ციხისა დეკანოზი. ციხისელობა ციხისა აშენებისათვის გამოწყოლია“. იქვე გამოსახულია იოჰანე ციხისელი [13, 20, 7, 127].

როგორც ჩანს, ბაგრატ III-ის დროსვე ციხე ერქვა სოფელ ბარის ერთ-ერთ უბანს, სადაც მდებარეობდა მონასტერი (აქედან სახელწოდება „ციხის მონასტერი“). ციხისლები 1621წ. სოფელ ბარის საკათოლიკოსო გლეხთა სიაშია შეტანილი [65, 397].

„იადგარში“ იხსენიება ღეჩხუმის სოფლები წუგნა და კუეშლევით სანჯურთან ერთად, რაც მათს ტერიტორიულ სიახლოვეზე მიუთითებს. XVIII ს. ისტორიულ საბუთებში იხსენიება სოფელი წუგნა-მაღიეთი სანჯურის მიდამოებში [58, 135]. ამჟამად, წუგნა სახნავ მიწას აქვია სოფელ ღეჩხუმისთანავე, ნასოფლარ მაღიეთის მახლობლად [62, 37].

სოფელ კვეშლევის ნაკალევი დღეისთვის შემონახულია რაჭის ქედზე მდებარე კვეშლევის (იგოვე ველტყევის) მთის სახელწოდებაში.

„იადგარში“ ბაგრატ III-ის შეწირულობათა შორის დასახელებულია „ზრუდო სათევზეთ“ სოფელ ჭალასთავის მიდამოებში. ის იხსენიება, აგრეთვე, იმავე მეფის 1545 წლის სიგელში, სადაც ეკითხულობთ „შეგვიწირავს საოცხზე ღრუდო“ [25, 64]. სათევზე ზრუდო // ღრუდო საკუთარი სახელი (ტოპონიმი) არ არის. ღრუდო ერქვა მდინარის კალაპოტის კიდურზე ბუნებრივად არსებულ ღრმულს, სადაც ზამთრობით თევზი იბუდებდა. ასეთი ბუნებრივი საბუდარ-ღრუდოები მრავლად იყო საქართველოს მდინარეებში [39, 48].

„იადგარში“ დასახელებულია ჩუნეში და ხოშტიბელა. ჩუნეშის სახელწოდებით, როგორც ითქვა, დღეისათვის სამი სოფელია ცნობილი ზონის რაიონის დედალაურის, წყალტუბოს ზონის ცხუნკურისა და საკუთრივ წყალტუბოს თემებში [47]. ჩუნეში და ხოშტიბელა იხსენიება იმერეთის მეფის, გიორგი II-ის მიერ 1569წ. გაცემულ სიგელში, რომლითაც მან გელათის წმ. გიორგის ეკლესიას შესწირა „ჩუნეშის თავს, დელეს გაღმა“ მდებარე ხოშტიბელას სასახლე „ნემსაძისა და ქურდიანს შუა იოსელიანის ზღვრამდე“ [26, 18]. ე.ი. საუბარი ეხება იმ ჩუნეშს, რომელსაც ესაზღვრება იოსელიანების მამული. იოსელიანების მამული, ალექსანდრე იმერთა მეფის 1647 წლის საბუთის მიხედვით, მდებარეობს გუშტიბის მახლობლად. ამის შესახებ საბუთში ნათქვამია: „გიბოძე ჩემი სამკვიდრო მამული და სოფელი გუშტიბი... გუბის-წყალ[ს] გამოღმა, გუბის ფონს ზეით ყენისწყალის ჩასართავამდის ჩუნეშის საზღურის დაბლა“ [16, 473]. როგორც ეხედვით, იოსელიანების მამული ანუ სოფელი გუშტიბი ესაზღვრება სოფელ ჩუნეშს. აქედან გამომდინარე,

„ბიჭვინტის იადგარის“ ჩუნეში და მის „თაჲს“ მდებარე ხოშტიბელა არის აწინდელი წყალტუბოს თემის სოფელი ჩუნეში.

ნაჭანდუ (სხვა წყაროებში იხსენიება ფორმიჲ ნაჲანეული, ნაჲანური, ნაჲანური, ნაჲანევი) ე. ზუზბაიას და ე. ზანთარაიას მიერ ლოკალიზებულია მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც ამჟამად მდებარეობს სოფელი ოტობაია (გალის რაიონი) [21, 67].

წამხარი ამჟამად პქვია სოფელ თაგილონის (გალის რ-ნი) ერთ-ერთ უბანს მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს [8, 154]. ამ სახელწოდების პუნქტი დატანილია ქრისტეფორე კასტელისა და არქანჯელო ლამბერტის რუკებზე [8, 154].

სოფელი **ხოირის** სახელწოდებით, როგორც ქვემოთ ვნახეთ, XVII ს. რამდენიმე საბუთში იხსენიება. ხოირი სპეციალურ ლიტერატურაში იდენტიფიცირებულია აწინდელ ოხურეისთან [76, 152; 43, 77]. ოხურეის სახელწოდებით დღეს სამი სოფელია ცნობილი აჩიგვარის, გუდავის (ორივე გალის რ-ში) და ილორის (ოჩამჩირის რ-ნი) თემებში [47]. ვფიქრობ, რომ ხოირის ოხურეისთან გაიგივება ზუსტი არ უნდა იყოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იმყრობს ერთი ფაქტი. აფხაზეთის საკათოლიკოსო გლეხების მოსაკრებლობის დიდ დაუთარში (162 წ.) ხოირის სასახლეზე მიწერილ საკათოლიკოსო გლეხებს შორის დასახელებულია ხახუტა გამეკრვალია [65, 423].

„ბიჭვინტის იადგარის“ მიხედვით საკათოლიკოსო გლეხი გამეკრვალია წამხარის მკეიდრია [64, 422]. როგორც ვხედავთ, ხოირის სასახლეზე მიწერილი გამეკრვალია წამხარში ცხოვრობს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამა თუ იმ სასახლეს მიწერილი გლეხები, ჩვეულებრივ, ახლო-მახლო სოფლების მკეიდრნი იყვნენ [37, 103], მაშინ, ცხადია, ხოირის ლოკალიზაცია წამხარის მიდამოებში უნდა მოხდეს. ამის მოწმობად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ზემოთ აღნიშნულ წყაროებში ხოირი უშუალოდ ნაჲანეოს (აწინდელი ოტობაია) მომდევნოდ იხსენიება. აქედან გამომდინარე, ხოირის გაიგივება ოხურეისთან გაუმართლებელი ჩანს. წამხარი ტერიტორიულად იმდენად შორსაა ამ უკანასკნელისაგან, რომ პირველში მცხოვრებ გლეხს მეორის ტერიტორიაზე მდებარე სასახლის „მომდგომად“ არ გაამწესებდნენ.

ამრიგად, საკათოლიკოსო სოფელი ხოირი მდებარეობდა მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე აწინდელი ოტობაიისა და თაგილონის სიახლოვეს.

სუბეში. ამ სახელწოდების სოფელი „იადგარის“ გარდა სხვა წყაროებშიც იხსენიება „სუბეის“ და „სუბეიშის“ ფორმებით [65, 426, 501]. მას აიგივებენ აწინდელ სოფელ აჩიგვარასთან (გალის რაიონი), მდ. ოქუშის მარჯვენა სანაპიროზე [21, 67; 44, 17-18].

მუხურო- ამ სახელწოდების სოფელი დასახელებულია სუბქმსა და ტყუარუს შორის. ამიტომაც გადასინჯვას მოითხოვს საეციალურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც „იადგარში“ მოხსენიებული მუხური აწინდელი გალის რაიონის სოფელი მუხურია [21, 67; 76, 152]. „იადგარის“ აღნიშნული პუნქტი საძიებელია **სუბქმსა (აჩიგვარა)** და **ტყუარუს** ანუ მდ. ოქუმსა და კოდორს შორის.

ტყაურუ მდებარეობდა მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე. ის სხვა წყაროებით ცნობილი ნავსადგური ისკურიაა [79, 23].

მარმარისკარი იხსენიება, აგრეთვე, ღონ ქრისტეფორო დე კასტელისა (XVII ს.) და არქანჯელო ლამბერტის რუკებზე. ამჟამად მარმარ-აბაა (აბაა აფსუების ენაზე ციხეს ნიშნავს), შედის ოჩამჩირის რაიონის აძიუბჟას თემში [8, 154].

ვერ ხერხდება „ბიჭვინთის გარემო სოფლების“ **არუხას** და **აითარნეს** ზუსტი ლოკალიზაცია.

თცხანა ძველი სახელწოდებაა აწინდელი ხიდისთავისა (ჩოხატაურის რაიონი) [80, 85].

ხეჩი „იადგარის“ გარდა იხსენიება ჯაყახ ჭილაძის მიერ გაცემულ სიგელში (XVI ს. 30-იანი წლები), რომლის მიხედვითაც მან მცხეთის სეკეტიცხოველს სხვა გლეხებთან ერთად შესწირა „მოსახლე კაცი ხეჩის, ნასყიდი სალოქაა“ [46, 389].

„იადგარის“ ცნობით, გიორგი გურიელმა ბიჭვინთის საკოთილიკოსოს შესწირა ხეჩში მცხოვრები „სალუქაძე თემიროზაი“ [*], 69]. ცხადია, რომ ჯაყახ ჭილაძის სიგელში მოხსენიებული სალოქა (იგივე სალოქა(ე)ა) და „იადგარში“ დასახელებული სალუქაძე სხვადასხვა სუფიქსებით გაფორმებული ერთი და იგივე გვარია, რაც ადასტურებს იმას, რომ ორივე წყაროში საუბარია ერთსა და იმავე სოფელზე.

ხეჩის ზუსტი ლოკალიზაცია, მართალია, ვერ ხერხდება, მაგრამ მისი მდებარეობის მიახლოებით განსაზღვრა მაინც შესაძლებელია. ჯაყახ ჭილაძის ზემოთ აღნიშნული საბუთის მიხედვით, ხეჩი ჭილაძეთა საფეოდალოში შედიოდა. აღნიშნულ საბუთში ის დასახელებულია ჭილაძეთა კუთვნილი სოფლების: ბაღასკარის, სანაყარდოს, ჯიქთუბნისა და ქორისუბნის (იგივე ქორეთისუბანი, აწინდელი ვაზისუბანი სამტრედიის რაიონის ტოლების თემში) გვერდით [46, 389; 55, 138] და, ამდენად, მათს სიახლოვეს არის საგულებელი.

ჭილაძეთა საფეოდალოს ერთი ნაწილი, საჯაყახო გურიელების მფლობელობაში მოექცა XVI ს. 80-იან წლებში [56, 279; 10, 44]. ის ფაქტი, რომ გურიელებს ხელი მიუწვდებოდათ სოფელ ხეჩზე, რომელიც ადრე ჭილაძეების

სენიორიას ეკუთვნოდა, ხოლო ჭილაძეების ვერცელი სენიორიიდან მათს მფლობელობაში მხოლოდ საჯავახო მოექცა, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სოფელი ზეჩი საჯავახოში მდებარეობდა.

თუ თვალს გადავუვლებთ „იადგარში“ სოფლებისა და ქალაქების ჩამოთვლის თანამიმდევრობას და მათ მდებარეობას, ცხადი გახდება, რომ აღნიშნული პუნქტების ჩამოთვლისას დაცულია გეოგრაფიული პრინციპი: ისინი დალაგებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. ამ გარემოებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება „ბიჭვინტის იადგარის“ სტრუქტურის შესასწავლად.

IV „ბიჭვინტის იადგარის“ ეტრატის ზელნაწერის თარიღისათვის. როგორც ითქვა, დღეისათვის მოღწეულია, „იადგარის“ სამი ზელნაწერი. მათ შორის უძველესია ეტრატზე დაწერილი ნუსხა, საიდანაც გადაწერილია დანარჩენი ორი. ეტრატის ზელნაწერის დასათარიღებლად გვაქვს რამდენიმე საყრდენი. ერთ-ერთი მათგანია „იადგარის“ აშიაზე მიწერილი საბუთი, რომელიც ასე იკითხება: „აგრევენ გადრეთ და შემოგწირეთ ჩვენ, ლიპარტიანმან გიორგი და ძემან ჩუენმან ვამეყ და მეცხედრემან ჩუენმან, დადიანის ქალმან ბატონმან ანა თქუენ საშინელსა ბიჭვინტისა ღეთისშშობელსა სასახლე ნაგავაზაო რვის კვამლის კაცითა საკსრად და საოკად სულისა ჩუენისა“ [*], 73]. ეს საბუთი ორიდან ერთ-ერთია „იადგარის“ მინაწერ საბუთებს შორის, რომელიც დაწერილია „იადგარის“ ძირითადი ტექსტის ზელით, რაც ნიშნავს იმასაც, რომ „იადგარის“ ავტოგრაფი და აღნიშნული საბუთის ტექსტი ერთი პიროვნების დაწერილია. ამასთანავე, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მინაწერი საბუთის ტექსტი არ არის დედანი, ვინაიდან მას არ ახლავს საბუთის გაცემის ზღვრთვა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული მინაწერი არის გიორგი ლიპარტიანის მიერ გაცემული საბუთის პირი, გადაწერილი „იადგარის“ დამწერის მიერ. აქედან გამომდინარეობს მეტად საყურადღებო დასკვნა: „ბიჭვინტის იადგარი“-ს დედანი დაწერილია აღნიშნული საბუთის გაცემის შემდეგ. ასე რომ, ამ უკანასკნელის გაცემის თარიღი ამავე დროს არის „იადგარის“ ეტრატის ზელნაწერის შექმნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარიც.

როგორც ქვემოთ დავინახავთ (იხ. აქვე, X), აღნიშნული საბუთი გაცემულია 1604/1608-1616 წლებს შორის. აქედან გამომდინარე 1604/1608 წ. „ბიჭვინტის იადგარის“ ეტრატის ზელნაწერის დაწერის უკიდურესი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია.

„იადგარის“ ხელნაწერის შექმნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენასთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია ს. კაკაბაძის დაკვირვებები. მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „იადგარის“ ტექსტის ბოლოში რვა კათოლიკოსის ხელმოწერებიდან პირველი სამი — მაღაქიას, ედემონისა და ეფთიემესი ძირითადი ტექსტის ხელისათა შესრულებული, მომდევნო კათოლიკოსთა ხელრთვები კი უკვე სხვადასხვა კალიგრაფიითაა დაწერილი და ნამდვილი ხელრთვებია, რაც ს. კაკაბაძეს იმის მოწმობად მიაჩნია, რომ „იადგარის“ ავტოგრაფი დაწერილია ეფთიემე საყვარელიძის კათოლიკოსობის დროს [24:178]. ამას მოწმობს ისიც, რომ „იადგარის recto-ზე“ მიწერილია კათოლიკოსების, ედემონის და ეფთიემე საყვარელიძის საბუთის, ანგარიშგების დედანი, რომელიც „იადგარის“ მინაწერ საბუთებს შორის ერთ-ერთი ადრინდელია [24:186]. იმავე კათოლიკოსის განმარტებები და კრულობითი მოწმობა (ბოლოში მისივე ბეჭდით) ერთეის „იადგარის“ კიდევ ერთ მინაწერ საბუთს, გაცემულს ლევან II დადიანისა და გიორგი ლიპარტიანის მიერ [24:187-188], რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1611-1612 წლებით თარიღდება და მიწერილია „იადგარის“ თავისუფალ გვერდზე ეფთიემე I საყვარელიძის კათოლიკოსობის პერიოდში ანუ არაუგვიანეს 1616 წლისა. ეს თარიღი, ამავე დროს, „იადგარის“ ეტრატის ხელნაწერის შექმნის უკიდურესი ზედა ზღვარიცაა.

ამრიგად, „ბიჭვინთის იადგარის“ უძველესი ხელნაწერი დაწერილია 1604/1608-1616 წლებს შორის.

V „ბიჭვინთის იადგარის“ შედგენის თარიღისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წერილობითი ძეგლის დღემდე მოღწეული უძველესი ხელნაწერის თარიღი ყოველთვის არ ემთხვევა თვით ძეგლის შექმნის თარიღს. ამიტომ ცალკე განხილვას მოითხოვს „იადგარის“ შედგენის თარიღი. „იადგარი“ იმ სახით, რა სახითაც არის დაცული დღეისათვის მოღწეულ უძველეს (ეტრატის) ხელნაწერში, ვერ შედგებოდა XVI ს. 80-იან წლებზე ადრე. ვინაიდან „იადგარში“ მოხსენიებულია ბიჭვინთისადმი გურიელების მიერ საჯავახოში მდებარე სოფლის, ხეჩის მკვიდრი გლეხის შეწირვის ფაქტი. როგორც ზემოთ ითქვა, საჯავახოს სოფლები გურიელების მფლობელობაში მოექცა აღნიშნულ ხანაში. ამაზე ადრე გურიელებს დასახლებული სოფლის გლეხზე ხელი არ მიუწვდებოდათ და, შესაბამისად, ვერც ეკლესიას შესწირავდნენ. მაშასადამე, ყველაზე გვიანდელი ფაქტი, რომელიც დაფიქსირებულია „იადგარში“, არ შეიძლებოდა მომხდარიყო XVII ს. 80-იან წლებამდე. ეს თარიღი,

ამავე დროს, „იადგარის“ შედგენის უკიდურესი ქვედა ზღვარიცაა. რაც შეეხება ზედა ზღვარს, ასეთად თვით „იადგარის“ უძველესი (ეტრატის) ხელნაწერის დაწერის ზემოთ აღნიშნული თარიღი (1604/1608-1616) უნდა მივიღოთ. „იადგარის“ შედგენის და უძველესი ხელნაწერის დაწერის ქვედა ქრონოლოგიური ზღვრები იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ შეგვიძლია დავასკენათ „იადგარის“ შედგენა მისივე ტექსტის უძველესი ხელნაწერის შექმნის თანადროული ფაქტია.

ამრიგად „ბიჭვინტის იადგარი“ იმ სახით, როგორც უძველეს ხელნაწერშია წარმოდგენილი, შედგენილია 1604/1608-1616 წლებში.

„იადგარის“ უძველესი ხელნაწერის ძირითადი ტექსტი, გიორგი ლიპარტიანის მინაწერი საბუთი და პირველი სამი კათოლიკოსის (მალაქია, ედემონი, ეფთვიმე) ხელრთვა ერთი კალიგრაფიითაა დაწერილი, რაც მოწმობს იმას, რომ „იადგარი“ (აწინდელი სახით) შედგენილი და დაწერილია უშუალოდ კათოლიკოზ ეფთვიმე I საყვარელიძის მიერ.

განსახილველ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება აქვს ი. დოლიძეს. მისი აზრით, „იადგარის“ ტექსტი მოცემული სახით შედგენილია ედემონ კათოლიკოსის დროს (1557-1578წ.). მასზე ადრე, განაგრძობს მკვლევარი, საბუთი ვერ შედგებოდა, რადგან ტექსტის ხელით მიწერილი სამი ხელრთვიდან უკანასკნელი ედემონისაა. ედემონის კათოლიკოსობაზე გვიან ეს საბუთი ვერ შედგებოდა, რადგან იადგარზე მიწერილია ედემონის საბუთი [17; 617]. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: ტექსტის ხელით შესრულებული სამი ხელრთვიდან ედემონისაა მეორე და არა მესამე (მესამე ხელმოწერა ეფთვიმე საყვარელიძისაა). ეს ასეა „იადგარის“ ხელნაწერებშიც და გამოცემებშიც, მათ შორის, თვითონ ი. დოლიძის პუბლიკაციებშიც. „იადგარის“ მინაწერ საბუთებს შორის, როგორც ზემოთ ენახეთ, ედემონ კათოლიკოსის საბუთი ცალკე არა გვაქვს, ის გაერთიანებულია ეფთვიმე საყვარელიძის მიერ შედგენილ ანგარიშგებასთან. ასე რომ, „იადგარის“ საბოლოო რედაქციის შექმნა ედემონ კათოლიკოსის ზეობით ვერ დათარიღდება.

VI. „ბიჭვინტის იადგარის“ ტექსტის სტრუქტურა. „ბიჭვინტის იადგარის“ წყაროთმცოდნეობით კრიტიკის ერთ-ერთ ძირითადი ამოცანა მისი ტექსტის სტრუქტურის შესწავლაა. ამაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული „იადგარის“, როგორც ისტორიული წყაროს შეფასებაც.

„იადგარის“ ტექსტი იწყება ღვთისადმი ევდრებით და ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი მიმართვით, ამას მოსდევს სახელდება-წოდებულების ნაკვეთი:

„მე... სკიპტრა-პორფირისა და გვრგვინისა მპყრობელმან აფხაზთა და ქართ-
ველთა მეფობისამან, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა, შანშა და შარჟანშა
და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა ორისავე ტანტისა და სამეფოსა
ჩუენისა შეწევნითა თქუენითა მტკიცედ-ფლობით მპყრობელმან, მეფეთა-მეფეჲმან,
მეფეჲმან დიდმან ბაგრატ... საყდრისა დიდისა ემბაზისა ბიჭვინტისა მცირისა
და კინისა შეეწირაობ“ [* , 67].

როგორც ვხედავთ, მეფე გეპირდება შეწირულობათა გაცემას, რასაც, ქარ-
თულ დიპლომატიკაში შემუშავებული წესის თანახმად, უნდა მოჰყოლოდა შეწი-
რული ობიექტების დასახელება, მაგრამ ნაცელად ამისა, გვაქვს ისევე მიმართვა
ბიჭვინთის ღეთისმშობლისადმი. ამას მოსდევს მიმართვის აუტორის ნებელობის
გამომხატველი სიტყვები: „გკადრეთ და დაედევით და მოგაცსენეთ ესე
საკრძალეი და შესაძრწუნებელი იადგარი, ვითა საშინელსა და ცათა მობაძესა
დიდსა საყდარსა ბიჭვინტისასა გეკადრებოდა“ [* , 67]. შემდეგ გადმოცემულია
გადაწყვეტილება, რაც ბიჭვინთის საკათოლიკოსოსათვის საგადასახადო შეუ-
ვლობის მინიჭებას ითვალისწინებს. ამას მოსდევს ბრძანება, რითაც კრძალეს
აღნიშნული დადგენილების დარღვევას [* , 67]. შემდეგ კი გადმოცემულია
ბრძანება იმის თაობაზე, რომ ნურავის მიერ ნუ „კადრებულა“ ბიჭვინთის
საყდრისშვილებისა და სხვა მოხელეების მიმართ „მტერობაი და შეცოდებაი“
[*]. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ბრძანებას დანაშაულობათა შესახებ განჩინება
მოჰყოლოდა, მაგრამ ტექსტში სულ სხვა ვითარება გვაქვს. აღნიშნული
ბრძანებულების შემდეგ ბაგრატ მეფის პირით ნათქვამია: „აგრეთვე გკადრეთ
ჩუენ, მეფეჲმან მეფეთაჲმან, მეფე[მა]ნ დიდმან ბაგრატ თქუენ, საშინელსა
საყდარსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისასა, გკადრეთ და შემოგწირეთ“ და
ჩამოთვლილია შეწირული ობიექტები [* , 68]. აქამდე ხომ აშკარად ირდევს
იურიდიული აქტის შედგენის დაკანონებული სქემა, მაგრამ ამის შემდგომ
სახეზე გვაქვს კიდევ უფრო უჩვეულო რამ, კერძოდ, თავიანთი შეწირულობებზე
გვესაუბრებიან მეფე გიორგი, მეფის ძე თეიმურაზი, დადიანები და გურიელები:
„კუალადცა გკადრეთ და მოგაცსენეთ ჩუენ, მეფეთ-მეფეჲმან გიორგი შენ, საში-
ნელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა, შემოგწირეთ...“ (მოსდევს ჩამონათვალი);
„აგრეთვე, ჩუენ, მეფეთ-მეფისა ძემან თაიმურაზ შემოგწირეთ...“ (დასახელე-
ბულია თუ რა შემოსწირა); „კუალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ დადიან-
მან პატრონმან მაჰიამან, ძემან ჩუენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა
ჩუენთა დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონმან მაჰია, თქუენ,
საშინელსა ბიჭვინტის მღრთისმშობელსა“ (მოჰყვება ჩამოთვლა); „აგრევე
გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, გურიელმან როსტომ და ძემან ჩემმან გურიელმან
ბატონმა გიორგი“ (მითითებულია თუ რა „მოახსენა“) [* , 68-69].

ყოველივე ამის შემდეგ საუბარია იმაზე, რომ დასავლეთ საქართველოში „თავი ნიშანი“ კათოლიკოსის კუთვნილებათა, აგრეთვე, მოხაზულია კათოლიკოსის სამწყსოს საზღვრები [*], 69-71].

ამას მოსდევს შემდეგი სიტყვები: „და აწ ამას მოგაცხენებთ ყოველთავე დიდთა და მცირეთა: ნუმცა ვისგან კადრებულ არს დიდისა და ზეშთა-აღმატებულიისა საყდრისა ბიჭვინტისა ძმათა და საყდრისშვილთა, თემთა და ქუეყანათა და აგარათა მტერობაი და შეცოდებაი“ [*], 69] და მოტანილია სისხლის განჩინების დადგენილებანი ანუ სისხლის დაურეების ნორმები დანაშაულთა კონკრეტიზაციით [*], 69-71].

შემდეგ მოდის ბრძანებულება, სადაც აღნიშნულია, რომ „არა ვისთვის გკბრძანებია შლა და ქცევა“ ბრძანებულისა ჩვენისაო და იქვე მოუწოდებს აფხაზეთისა და ქართლის კათოლიკოსებს, დადიანს, გურიელს და ათაბაგ-ამირსპასალარს, რომ მათაც დაამტკიცონ [*], 72]. ბოლოს, ბრალთგადამხდულობის ფორმულარი ცალკეა „მეფეთა და დადიან-გურიელთა შეწირულის“ დამრღვევთა მიმართ და ცალკე — „რაცა... იადგარსა შინა სწერიან“, იმის ხელმოწერა მიმართ [*], 72].

ტექსტს ასრულებს რვა კათოლიკოსის ხელრთვა.

როგორც ეხედეთ, ტექსტის მიხედვით, ვინც ბიჭვინტის საკათოლიკოსოს შეუვალობას ანიჭებს და სისხლის დაურეების ნორმებს ადგენს, არის „მეფე ბაგრატ“ ე.ი. იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565).

უდავოა, რომ იმერეთის მეფის გიორგი II-ის (1565-1583), უფლსიწულ თეიმურაზის, დადიანების: მამია III-ის (1503-1533), ლევან I-ის (1533-1572), გიორგი IV-ის (1572-1573, 1578-1582) და მამია IV-ის (1574-1578, 1528-1595); გურიელების; როსტომის (1533-1564) და გიორგის (1564-1600) მიერ შეწირულობა არ შეიძლებოდა ასახულიყო ბაგრატ III-ის მიერ გაცემულ დოკუმენტში. ამას გამორიცხავს რამდენიმე გარემოება. ერთი ის, რომ ყველა დასახელებული შემომწირველი თავიანთი ქველმოქმედების შესახებ პირველი პირით საუბრობენ. თუ ისინი საბუთის გამცემები არიან ბაგრატ მეფესთან ერთად, მაშინ ეს აუცილებლად აღინიშნებოდა სიგლის თავში, სახელდება-წოდებულების ფორმულარში, სადაც აქტის გამცემად წარმოდგენილია მხოლოდ მეფე ბაგრატი. მეორე, გიორგი II-ის მეფობის, გიორგი IV და მამია IV დადიანების ზეობის წლები სცილდება ბაგრატ III-ის მეფობის ხანას, რაც გამორიცხავს მათს ერთობლივ საქმიანობას. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ს. კაკაბაძის დაკვირვებას, რომლის თანახმად ცნობები მეფეთაგანთა მიერ შეწირულობათა გაცემის შესახებ ბაგრატ III-ის შემდგომ ხანაშია შეტანილი „იადგარის“ ტექსტში [24, 178].

„ბიჭვინთის იადგარის“ ტექსტზე დაკვირვება სავსებით ადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ აღნიშნულ ტექსტში თავმოყრილია სხვადასხვა საბუთებიდან გადმოღებული ფაქტები ციტატების სახით [24, 178; 2, 59]. „იადგარის“ ტექსტის მოზაიკურობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ მასში აღვილი მისაგნებია სხვადასხვა დროისა და წარმომავლობის პლასტები.

შევედებით ნათქვამის ილუსტრაციას. „იადგარის“ ტექსტის მიხედვით, ბაგრატ III ბიჭვინთის საყდრისადმი შეწირულობის გაცემის განზრახვის შესახებ იუწყება [24, 177], რასაც, დიპლომატიკაში მიღებული წესის თანახმად, შეწირული ობიექტების ჩამოთვლა-დასახელება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მოულოდნელად მეფე საუბარს იწყებს საგადასახადო შეუველობის ბოძებაზე [24, 178], შემდეგ კი ბიჭვინთის საყდრისშვილთა მიმართ დანაშაულის ჩადენის დაუშვებლობის შესახებ. ამ ორ უკანასკნელ მსჯელობას არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, ისევე როგორც მათ ორივეს არაფერი აქვთ საერთო წინააღმდეგობასთან, სადაც ბაგრატ III შეწირულობის გაცემას გეპირდება, გარდა იმისა, რომ სამივე ღონისძიება დაკავშირებულია ბაგრატ III-ის სახელთან და ბიჭვინთის საყდართან.

განემართოთ ნათქვამი. საგადასახადო შეუველობა, ერთი მხრივ, დანაშაულობათა ჩადენის დაუშვებლობა, მეორე მხრივ, სხვადასხვა რეკლამენტაციის სფეროებია და თითოეულ მათგანზე ცალკე იურიდიული აქტი დგებოდა. ეს გარემოება გეკარანახობს იმას, რომ შესაბამისი მსჯელობები „იადგარის“ ტექსტში შეტანილია ორი სხვადასხვა, ცალ-ცალკე არსებული დოკუმენტიდან.

„იადგარის“ აღნიშნული მსჯელობა, თავის მხრივ, არ პასუხობს წინააღმდეგობას ანუ ბაგრატ III-ის შეწირულობის გაცემის შესახებ განზრახვას, ეინიდან შეუველობას და დანაშაულთა ჩადენის დაუშვებლობის შესახებ ბრძანებას ქართული ფეოდალური სამართალი არ განიხილავს როგორც შეწირულობას. მაგრამ ამ უკანასკნელს პირდაპირ პასუხობს „იადგარის“ ის მონაკვეთი, რომელიც მოხდევს შეუველობისა და დანაშაულთა დაუშვებლობის შესახებ ფორმულარებს და სადაც ჩამოთვლილია შეწირული ობიექტები. ამ მონაკვეთში უკვე საუბარია სწორედ იმაზე, რასაც გეპირდება ბაგრატ III-ის ზემოთ აღნიშნული განაცხადი შეწირულობის გაცემაზე განზრახვის შესახებ, ხოლო საყდრისშვილთა მიმართ დანაშაულობათა ჩადენის დაუშვებლობის შესახებ ფორმულარს შეესაბამება და პასუხობს შეწირულობათა ჩამონათვლის შემდეგ მოთვსებული სასისხლო განჩინებანი.

როგორც ეხედავთ, „იადგარის“ შესავალში თანმიმდევრობით არის გადმოცემული ბაგრატ III-ის განზრახულობა ბიჭვინთის საყდრისადმი შეწირუ-

ლობის გაცემის შესახებ, იმავე საყდრის შეუვალობის შესახებ დადგენილება — ბრძანებულების ფორმულართურთ და სასისხლო განაჩენის პრეამბულა. ამას მოსდევს ბაგრატ III-ის მიერ შეწირული ობიექტების ჩამონათვალი (გიორგი II-ის, თეიმურაზ უფლისწულის, დადიანებისა და გურიელების მიერ შეწირული ყმა-მამულთან) ერთად და სისხლის განჩინებათა მუხლები.

სასისხლო განჩინებას მოსდევს ბრძანებულების ფორმულარი, რომელიც მას პირდაპირ პასუხობს და შინაარსობრივ ერთიანობაშია მასთან.

ამის შემდგომ გვაქვს ორი ბრალთაგადამხდელობის ფორმულარი. მათგან პირველი („რამანც გუარმან კაცმან: ანუ შეფემან, ანუ დადიან-გურიელმან ანუ კათალიკოზმან, ანუ ეპისკოპოზმან, ანუ თაფაღთა და ღიდებულთა ანუ აზნაურისშვილთა კელყოს შლად და შეცვალებად და გამოცემად, ჩვენ, მეფეთა და დადიან-გურიელთა შეწირულსა მამულსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა, მასმცა რისხაეს თაფად ღმერთი და საშინელი ყოვლად წმიდაი ღმრთისმშობელი და ძე მისი იესუ ქრისტე და ცხოველსყოფელი პატიოსანი ჯუარი, წმინდანი ზეცისა ძალნი, გორციელნი და უცორცონი, და რანიცა წმიდანი სენაქსარსა შინა აღწერილ არიან და აღიწერებიან“) პასუხობს მეფე-მთავართა შეწირულობის შესახებ მონათხრობს, ხოლო მეორე („რაცა ამა ჩუენგან დაბტყიებულსა იადგარსა შინა სწერიან ან დაიწერებიან, ამისდა შლად და ქცეად კელყოს, შენჩვენებულმც არის თორმეტთ მოციქულთ მადლითა; ნურამც ეშ[უ]ელების მის სულსა და ცორცსა ნუცა ლოცვითა, ნუცა მარხვთა, ნუცა გლაჯაკთა მიცემითა, ნუცა იმრუსალიმისა და მოაწმიდის მიცემითა. დამამტყიცებელნი ამისანი აკურთხეს ღმერთმან“) ვრცელდება მთლიანად „იადგარზე“.

ამრიგად, „იადგარის“ თავსა და ბოლოში ერთად და თანმიმდევრობით არის განლაგებული ის ფორმულარები, რომლებიც პასუხობენ ძირითადი ტექსტის შინაარსს (შეწირულობებს, შეუვალობას და სასისხლო განჩინებებს). ეს გარემოება თვალნათლივ მოწმობს იმას, რომ „იადგარის“ ტექსტში შერწყმულია სხვადასხვა ისტორიული საბუთები. „იადგარის“ მოზაიკურ ტექსტში კარგად ჩანს ნაკვალევი იმ ისტორიული საბუთებისა, რომელთა შერწყმა-გაერთიანებით შეიქმნა აღნიშნული ძეგლი. ეს საბუთებია:

1) ბიჭვინტის საყდრის შეუვალობის სიგელი გაცემული ბაგრატ III-ის მიერ. — ამ საბუთიდან „ბიჭვინტის იადგარში“ გამოდებულია შემდეგი ფრაგმენტი:

„მ ყოვლად წმიდაო და თაღლებისგანცა ანგელოზთასა მიხედვად შესაძრ-წუნებელო და მიურიდებელო მცველ-მფარეელო წარმ[მ]ართებელო მეფობისა ჩუენისაო ბიჭვინტისა ღმრთისშობელო.

გკადრეთ და დაუდევით და მოგაცხენეთ ესე საკრძალავი და შესაძრწუნებელი იადგარი, ვითა სპინელსა და ცათა მობაძაესა დიდსა საყდარსა ბიჭვინტისასა გკადრებოლა.

ვითა არაჲნი ღირს არს თქუენისა საყდრისა მამულთა, ძმათა, დეკანოზთა და მეტრაპეზთა, კანდელაკთა, ჯუარის-მტკრთველთა და სხუათა საყდრის-შილთა და შემოსამზადლურით თქუენთა მამულთა და სოფელთა, გლეხთა და ქალაქთა შიგან შემოწირულთა არა ჳელი შევიდოდეს, არცა-რა ეთხოვებოდეს, არცა ბაჲი და არცა-რა გამოსაღები არას შეცოდებისათვის არა გადაეჳდევოდეს, კიდევან კათალიკოზისა.

ესე რაცა გვიბრძანებია, როგორაცა, არაჲნი ღირს არ ვართ ამამისა შეცვალებასა, არცა მეფენი, არცა დადიან-გურიელი, არცა ათაბაგ-ამირ[ი]სპასი-ლარი, არცა ერისთავნი და დიდებულნი, არცა თავადნი და აზნაურნი და არცა გლეხნი“ [* , 67].

2) სასიხლო სიგელი ბიჭვინტის საყდრისა გაცემული ბაგრატ III-ის მიერ ამ სიგლიდან მომდინარე ჩანს „იადგარის“ თავში მოთავსებული შემდეგი მონაკვეთი:

„და აწ ამას მოგახსენებთ ყოყლთაჲე დიდთა და მცირეთა: ნუმცა ვისგან კადრებულა დიდისა და ჴესია აღმატებულისა საყდრისა ბიჭვინტისა ძმათა და საყდრისშილთა, წინამძღუარ-დეკანოზთა, კანდელაკ-ჯუარისმტკრთველთა, მეტრაპეზთა, ომფორის მილარეთა და სხუათა საყდრისშილთა, მამასახლისთა, მესტუმრეთა და ჳევისთათა, ნაცვალ-ჳელისუფალთა და სხუათა მოჳელეთა [მტერობადი და შეცოდებაჲ]“.

აღნიშნული სიგელის ძირითადი ნაწილი ანუ სასიხლო განჩინებანი „იადგარში“ მოთავსებულია მთავართა შეწირულობის ჩამონათვალის შემდეგ [* , 69-71] და მთავრდება ბრძანებულებით

„აწ დაჲამტკიცებთ, მეოხებითა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელისათა საკრძალავი და შესაძრწუნებელი ყოელისა ადამის ტომისაგან იადგარი დაუდევით. ვითარცა სხუათა საყდართა უწარჩინებულესი არის ბიჭვინტის საყდარი, ეგრეთჲე უმეტესი იადგარი დაუდევით; და დაჲამტკიცეთ მტკიცე ბრძანებაჲ ესე.

არა ვისთვის გკბრძანებია შლა და ჳცეჲა მტკიცისა და შეუცვალელებისა ყოელისა ადამის ტომის კაცისაგან, თჳნიერ თანადგომისა და შე[მწე]ობისაგან კიდჲ, არა სხუათა შემდგომთა ჩუენთა მეფეთა და დედოფალთა.

და თქუენ, წმიდანო მე[უ]ფენო, მღვდელმთავართ-მთავარნო, აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ დადიან-გურიელო,

ათაბაგ-ამი[რ]სასალარნო, თქუენცა ასრე დაუშტკიცეთ და მწე ყუენით ბრძანებულსა ამას ჩუენსა“ [*, 72].

3) გელათის წმ. გიორგის ეკლესიის შეწირულობის სიგელი ბაგრატ III-ისა ბიჭვინტის საყდრისადმი. ამ სიგლიდან გადმოღებულად უნდა მივიჩნიოთ „იადგარის“ შემდეგი მონაკვეთი: „გკადრეთ ჩუენ, მეფემან მეფეთამან, მეფე[მა]ნ დიდმან ბაგრატ თქუენ, საშინელსა საყდარსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისასა, გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე ესე და კნინი შესაწირაუი საძვალე ჩუენდა საკსრად სულისა ჩუენისა დღესა მას განკითხვასა გელათის საყდარი სადღოფლო წმიდის გიორგისი ასის კუამლის კაცითა“ [*, 68].

4) შეწირულობის სიგელი ბაგრატ III-ისა ბიჭვინტის ღმრთისმშობლისადმი. ამ სიგლიდან უნდა იყოს გადმოღებული „იადგარის“ შემდეგი ფრაგმენტი: „მე, მოწყინელთა მათ ცვა-ფარეა, შეწვენა-წარმართებათა თქუენთა მიერ, სკიპ[ტ]რა-პორფირის და გვრგვინისა მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფობისამან, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა, შინშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსაუღეთის და ჩრდილოეთისა ორისაჲ ტახტისა და სამეფოსა ჩუენისა შეწვენითა თქუენითა მტკიცედ-ფლობით მპყრობელმან მეფეთა მეფე[მა]ნ, მეფემან დიდმან ბაგრატ, რათამცა ღირსი და სამართალი მსახურებაჲ ჰყავით აურაცხელისა წყალობისა თქუენისა ჩუენდამო, რომლისა სიმრავლე უფრომს სიმრავლესა ვარსკულაეთასა და სიერცესა ზღუათასა;

გარნა, ზღვსაგან მკადრე წუეთსა უნდოსა ამას და მცირესა ძღუენსა გულსმოღვინებით შეესწირაეთ და სიღრმით სულისათ ეცმობთ ღედოფალო, ნუ საზომისად, არამედ ვითარცა მცირისაგან დიდი აბრაჰამისგან ისაკი, ვინასგან განგება შეუცვალელობითა ძისა შენისათა არსებად მოსრული კვალად ქცეჲდ არს და გამრავლებამცა მოკლებად შეუთქს. ამის დანარსისა წესისაგან და არს საჯერო ყოფად ვიჩინეთ წმიდისა ტაძრისა თქუენისა და სამკვდრებელისა და საძვალისა ჩუენისა დიდისა და ცათა მობაძყეისა ზესთა არსისა საყდრისა დიდისა ემბაზისა ბიჭვინტისა მცირისა და კნინისა შეესწირობ [*, 66-67]. გელათის საყდარი სადღოფლო წმიდის გიორგისი, ასის კუამლის კაცთა; რაჭას სოფელი ბარი, სასახლე და მონასტერი, ერთის აზნაურისშვილითა ჩიკუტიძითა და ოცდაათით კუამლის კაცითა, ტყითა, ველითა, მთითა, წყლითა, სამებრითა და უძებარითა; აგრევე მონასტერი ციხისა, ლეჩხუმს საჩხერე, წუგნა, კუემლვეი ოცდახუთის კუამლის კაცითა; ობჩას ბურჯანაძენი რვა კუამლი კაცი; ნავენაჰვეის სასახლე ოცდაათით კუამლის კაცითა; ხრუდო სათფხეთ, ჭიშურას გამოდმა ჭალასთვი სოფელი, ქუთაისის სოფია წმიდის საყდარი ექუსის კუამლის კაცითა; ჯიმასტაროს სასახლე

თორმეტის კუაშლის კაცითა ედემონ კათალიკოზისა ნასყიდი და ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისა შეწირული“ [* , 68].

5) გიორგი II-ის შეწირულობის სიგელი ბიჭვინთის ღმრთისმშობლისადმი. მისგან მომდინარეობს „იადგარის“ შემდეგი ცნობა: „კუალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან გიორგი შენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა, შემოგწირეთ ჩუენი ნასისხარი ხოშტიბელა სასახლე თორმეტის კუაშლის კაცითა, ჩუენს ათი კუაშლი კაცი და მცეცით ლალიძეს გიორგის და შეექენით საყდრის-შვილად და შემოგწირეთ შენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა“ [* , 68].

6) მეფის ძის თეიმურაზის შეწირულობის სიგელი ბიჭვინტის საყდრისადმი. აქედან გადმოღებულია „იადგარის“ შემდეგი ფრაგმენტი:

„ჩუენ, მეფეთ-მეფის ძემან თაიმურაზ შემოგწირათ ხონის და კუხის ოცი კუაშლი კაცი“ [* , 68].

7) დადიანების შეწირულობის სიგელები ბიჭვინტის საყდრისადმი, საიდანაც მომდინარეობს „იადგარის“ შემდეგი მონაკვეთი:

„გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმა პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონმან მამია თქუენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა:

მანთხოჯის სასახლე და მონასტერი, ორმოცის კუაშლის კაცითა და ყოიას აზნაურის-შვილთა რატიანითა, წყლითა, ველითა, სანადიროთა, შესაუღლითა და გამოსაუღლითა, საძებართა და უძებართა; ჯიქთუბანი მთაყარანგელოზის მონასტერი, თორმეტის კუაშლის კაცითა; ეგურისპირის ნაჟანო, სამოცის კუაშლის კაცითა; ხოირს წმიდის გიორგის ეკლესია, ოცდახუთის კუაშლის კაცითა, წამხარს გამკერავლია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური, აზნაურის-შვილებითა, ოცდაათის კუაშლის კაცითა; ტყაურუს მეთევზე და მენავტე შამიგია ჭუჭყურია და ღათია; მარპარისკარს ეგებტია და ჩხუნბურია; აგრეჟე აფხაზეთს ბიჭვინტას გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთისხილოვანი“ [* , 68-69].

8) გურიელების შეწირულობის სიგელები ბიჭვინტის საყდრისადმი:

„გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, გურიელმან ბატონმან როსტომ და ძემან ჩუენმან გურიელმან ბატონმან გიორგი თქუენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა ხიბულა მონასტერი მთაყარანგელოზისა, სასახლე ორმოცი კუაშლის კაცითა, ტყითა, წყლითა, ველითა, შესაუღლითა და გამოსაუღლითა, საძებართა და უძებართა და ოცის კუაშლის კაცითა ოცხანა და ხეჩს ერთი კუაშლი კაცი სალუქაჲ თემიროზაი“ [* , 69].

შესაძლებელია აღნიშნული სიგელების გაცემის დროის მიახლოებით განსაზღვრა. „იადგარის“ ტექსტში ბაგრატ III-ის სახელდება — წოდებულებას უშუალოდ მოსდევს იმავე მეფის ნებელობის გამოძხატველი ფორმულარები შეწირულობის, შეუვალლობის და სასისხლო განჩინებების შესახებ ანუ ყველაფრის ამის ინიციატორად წარმოგიდგება ბაგრატ III, რაც ნიშნავს იმას, რომ შეუვალობის და სასისხლო სიგელების გამცემი სწორედ ეს მეფეა. აღნიშნული სიგელებიდან „იადგარში“ გადმოღებულ ტექსტში ბაგრატ III თავის ქვეშევრდომებს შორის იხსენიებს ათაბაგ-ამირსპასალარს [*; 72], რომლის ქვეშ სამცხის ათაბაგი იგულისხმება. იმერეთის მეფეთა სიგელებში მათს დაქვემდებარებაში მოქცეულ მოხელეებს შორის ათაბაგ-ამირსპასალარი იხსენიება 1535 წლიდან ანუ იმ დროიდან, როდესაც ბაგრატ III-მ სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა [28, 70; 15, 104]. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სიგელების გაცემის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია 1535წ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება. „იადგარის“ სასისხლო განჩინებების ერთ-ერთი მუხლი გვაუწყებს: „ეინცა ბიჭვინთისა გარშემო სოფელი და გლეხი სითგანაც ზარისა ჳმა ისმოდეს, გატეხოს ან დაარბიოს ანუ ნახირი გაუტეხოს, ექუსასი ათასი ძველი კირმანაული თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამი ათასი იმას დაე[უ]როს“ [654, 181]. მოტანილი ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ კათოლიკოსის რეზიდენცია ჯერ კიდევ ბიჭვინთშია: სწორედ აქაა საყდარი („სითგანაც ზარისა ჳმა ისმოდეს“), სადაც კათოლიკოსი იმყოფება. მაშასადამე, როცა აღნიშნული სასისხლო განჩინებები იწერებოდა, კათოლიკოსის რეზიდენცია ჯერ კიდევ ბიჭვინთის ეკლესია იყო. კათოლიკოსის რეზიდენცია კი გელათში გადმოიტანეს არაუადრეს 1557 წლისა [38: 177-186]. ცხადია, რომ აღნიშნული სასისხლო სიგელი დაწერილია საკათოლიკოსო რეზიდენციის შეცვლამდე.

ბაგრატ III-ის სიგელი გელათის წმ. გიორგის ეკლესიის აფხაზთა საკათოლიკოსოსადმი შეწირვის შესახებ გაცემულია ევდემონ ჩხეტიძის კათოლიკოსობის დროს, ვინაიდან აღნიშნული ეკლესია კათოლიკოსის რეზიდენცია სწორედ მის დროს გახდა. ხოლო აღნიშნული ეკლესია საკათოლიკოსო რეზიდენცია შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ აღნიშნული აქტის ე.ი. კათოლიკოსისათვის მისი გადაცემის (შეწირვის) შემდეგ [38: 180-186]. აქედან გამომდინარე ბაგრატ III-ის ეს სიგელი გაცემულია 1557-1565 წლებს შორის (ქვედა ზღვარია ევდემონ ჩხეტიძის გაკათოლიკოსება, ზედა ზღვარი — ბაგრატ III-ის გარდაცვალების თარიღი);

ბაგრატ მეფის მეორე სიგელი საკათოლიკოსოსათვის ყმა-გლეხების შეწირვის შესახებ, გაცემულია იმ დროს, როდესაც გელათის წმ. გიორგის ეკლესია უკვე შეწირულია საკათოლიკოსოსათვის და კათოლიკოსიც ამ ეკლესიაში იმყოფება, როგორც ძირითად რეზიდენციაში. ამას მოწმობს აღნიშნული სიგელიდან „იადგარში“ გადმოღებული პრეამბულის შემდეგი ცნობა: „საჯგრო ყოფად ვიჩინეთ წმიდისა ტაძრისა თქუენისა სამეკდრებლისა და საძვალისა ჩუენისა, დიდისა და ცათა მობაძაჲისა, ზესთა არსისა საყდრისა დიდისა ემბაზისა ბიჭვინტისა მცირისა და კნინისა შეეწირობ“ [*, 67]. მოტანილი ცნობა გვაუწყებს, რომ ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატის ადგილსამყოფელი (სიტყვები „წმიდისა ტაძრისა თქუენისა“ სწორედ მას მიემართება) ანუ საკათოლიკოსო რეზიდენცია და ბაგრატ III-ის საძვალე-სასაფლაო ერთი და იგივეა. ცნობილია, რომ 1545 წ. ბაგრატ III-მ თავის საძვალე-სასაფლაოდ აქცია გელათის წმ. გიორგის ეკლესია [64, 184]. ის ასეთად დარჩა საკათოლიკოსოსათვის შეწირვის ანუ კათოლიკოსის რეზიდენციად გადაქცევის შემდეგაც. მაშასადამე, აღნიშნული ცნობის მიხედვით საკათოლიკოსო რეზიდენცია გელათის წმ. გიორგის ეკლესიაა. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ბაგრატ მეფის აღნიშნული სიგელი დაწერილია იმ დროს, როცა აღნიშნული ეკლესია კათოლიკოსის რეზიდენციაა ანუ არაუადრეს 1557 წლისა. ამასვე ადასტურებს აღნიშნული მეფის შეწირულობათა ჩამონათვალში ევდემონ კათოლიკოსის ნასყიდობის და შეწირულობის ფაქტის მოხსენიება [64, 179]. ამრიგად, მეფის ეს სიგელიც გაცემულია 1557-1565 წლებს შორის.

მეფის ძის თაიმურაზის შეწირულობის სიგელი გაცემულია ბაგრატ III-ის სიცოცხლეშივე, 1540-იან წლებში (იხ. ქვემოთ).

მეფის, გიორგი II-ის შეწირულობის სიგელი თარიღდება 1565-1583 წლებით, დადიანებისა — 1503-1595 წლებით, გურიელებისა — 1535-1600 წლებით (იხ. ქვემოთ).

როგორც დავინახეთ „ბიჭვინტის იადგარში“ თავმოყრილია დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა სიგელები, გაცემული სხვადასხვა დროს XVI საუკუნის მთელ სიგრძეზე. ენახეთ ისიც, რომ „იადგარი“ იმ სახით, როგორიც დღეს გვაქვს, ეკუთვნის XVII ს-ის დასაწყისს (1604-1616წ.წ.), ეფთვიმე I საყვარელიძის კათოლიკოსობის ხანას. ასეთ ვითარებაში იბადება კითხვა: ეფთვიმე I საყვარელიძის კათოლიკოსობის დროს შედგენილ „ბიჭვინტის“ იადგარში რატომ დაისვა ეფთვიმე I-ის წინამორბედი ორი კათოლიკოსის, მალაქია აბაშიძისა და ევდემონის ხელმოწერები? ზომ აშკარაა, რომ ეს ხელმოწერები „იადგარის“ დამწერმა დაურთო. ამ უკანასკნელმა კი რატომ

ჩათვალა საჭიროდ მათი ხელმოწერების დართვა „იადგარისათვის“, რომ მალაქია აბაშიძეს და ეედემონს რაიმე კავშირი არ ჰქონდეთ „იადგარის“ შექმნის ისტორიასთან? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის ძიებას მივყავართ „იადგარის“ შექმნის საქმეში მალაქია და ეედემონ კათოლიკოსების წვლილის გამოვლენის საჭიროებამდე.

განვიხილოთ აღნიშნული წვლილის საკითხი. მალაქია და ეედემონ კათოლიკოსების მოღვაწეობის ქრონოლოგია — დაახლოებით 1527-1541წ.წ. — არ გვაძლევს უფლებას, რომ მათ სახელებს დაუკავშიროთ ყმა-გლეხების შეწირულობათა შესახებ ბლოკის მოხედრა „იადგარში“, ვინაიდან ეს ბლოკი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ შეიძლებოდა „იადგარის“ ტექსტში მოხვედრილიყო XVII. 80-იან წლებზე ადრე. გამორიცხვის წესით, გერჩება შეუვალობისა და სასისხლო განჩინებების ბლოკები, რომლებიც „იადგარში“ შეიძლებოდა შეტანილიყო 1535-1557 წლებს შორის, ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, სათანადო სიგელები (რომელთა გამოყენებით იქნა შეტანილი „იადგარში“ აღნიშნული ბლოკები) გაცემულია სწორედ დროის ამ მონაკვეთში. ერთი ის, რომ მალაქია I და ეედემონ I (+1541წ.) კათოლიკოსების მოღვაწეობის ქრონოლოგია საკვებით თაესდება აღნიშნულ სიგელთა გაცემის ქრონოლოგიის ჩარჩოში, მეორე ის, რომ ამ კათოლიკოსების ხელმოწერები გარკვეული დეაწლის გარეშე „იადგარის“ ბოლოში ვერ გაჩნდებოდა, გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ მათი მოღვაწეობის ნაყოფად მივიჩნიოთ „ბიჭვინტის იადგარში“ შეუვალობისა და სასისხლო განჩინებების მოხედრა. ამ ორი სიგელის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა „იადგარის“ პირველი სახე. რაკი თავიდან „იადგარში“ ორი სიგელი (შეუვალობის და სასისხლო) გაერთიანდა, ეს ოპერაცია როგორც ერთდროული აქტი, ერთი მწიგნობრის ნახელავია და დამკვეთიც ერთი პირივნებაა. ასეთად კი ზემოთ დასახელებული ორი კათოლიკოსიდან მალაქია I უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც „იადგარის“ ტექსტის ბოლოს პირველი ხელმოწერა სწორედ მისია. რაც შეეხება ეედემონ კათოლიკოსს, რომლის ხელრთვა რიგით მეორეა, მისი როლი წინამორბედი კათოლიკოსის მალაქიას ინიციატივით შედგენილი და მის მიერვე დამტკიცებული „იადგარის“ ხელახალი დამტკიცებით ამოიწურება, ისევე როგორც ეფთვიმე I-ის ინიციატივით შეესებული და მის მიერვე დამტკიცებული „იადგარის“ მომდევნო ხუთი კათოლიკოსის წვლილი ხელახალ დამტკიცებაში გამოიხატა.

ამრიგად, „ბიჭვინტის იადგარის“ პირვანდელი რედაქცია შეიცავდა ბაგრატ III-ის დადგენილებებს საკათალიკოსოს საგადასახადო შეუვალობისა

და სასისხლო პრეილეგიების შესახებ და შედგენილი იყო იმავე მეფის მიერ გაცემულ სათანადო სიგელთა ტექსტების საფუძველზე XVII ს. 30-იან წლების მეორე ნახევარში კათოლიკოსს მალაქია I აბაშიძის ინიციატივით მალაქია I-ის გარდაცვალების შემდეგ „იადგარს“ ხელი დაურთო მომდევნო კათოლიკოსმა ედემონმა (უცნობია, ის ედემონ I-ა, რომელიც გარდაიცვალა 1541 წ. თუ ედემონ II ჩხეტიძე). ამ სახით მოაღწია „იადგარმა“ XVIII ს. დასაწყისამდე.

ცალკე გამოიყოფა მეფე-მთავართა შეწირულობების შესახებ ცნობების შემცველი ბლოკი, რომელიც შედგენილია ბაგრატ III-ის, უფლისწულ თეიმურაზის, გიორგი II-ის, დადიანების და გურიელების მიერ სხვადასხვა დროს გაცემული ზემოთ აღნიშნული საბუთების საფუძველზე. ეს ბლოკი შედგენილია გარკვეული პრინციპის დაცვით შემომწირველთა ჩამოთვლაში დაცულია მათი პოლიტიკური სტატუსი: ჯერ დასახელებულია მეფეები, შემდეგ დადიანები, ბოლოს გურიელები. თითოეული ამ ჯგუფის ჩამოთვლაში დაცულია ქრონოლოგიური რიგი: ბაგრატ III — თეიმურაზ უფლისწული — გიორგი II (იმერეთის სამეფო სახლი); მამია III — ლევან I — გიორგი IV — მამია IV (დადიანების სახლი); როსტომ — გიორგი III (გურიელების სახლი). სოფლები და ქალაქები, სადაც აღნიშნულმა მეფე-მთავრებმა ყმა-მამულები შესწირეს ბიჭვინთის ხატს, დალაგებულია გეოგრაფიული პრინციპის დაცვით — აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. და ბოლოს, მეფე-მთავართა საბუთებიდან ცნობები გადმოღებულია ერთი მეთოდით, კერძოდ, აღნიშნული ცნობები ისეა გადმოტანილი, რომ ყველგან შენარჩუნებულია წყაროსეული ნიუანსი — თხრობა პირველი პირით ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ „იადგარის“ აღნიშნული ბლოკის (ნაკრები ცნობები მეფე-მთავართა შეწირულობებისა) მონტაჟი ეკუთვნის ერთ პიროვნებას.

აღნიშნული ბლოკის შემქმნელს უნდა მიეკუთვნოთ, აგრეთვე, „იადგარის“ ბოლოში დაცული ორი ბრალთგადამხდელობის ფორმულარი. პირველი მათგანი ასე იკითხება: „რამანც გუარმან კაცმან: ანუ მეფემან ანუ დადიან-გურიელმან ანუ კათალიკოზმან ანუ ეპისკოპოზმან ანუ თავადთა და დიდებულთა ანუ აზნაურის-შეილთა ქელყოს შლად და შეცვალებად და გამოქუმად, ჩუენ, მეფეთა და დადიან-გურიელთა შეწირულსა მამულსა ბიჭვინთისა ღმრთის-მშობელსა, მასმცა რისხავს თავად ღმერთი და სამიწელი ყოულად წმიდაი ღმრთისმშობელი და ძე მისი იესო ქრისტე და ცხოველს-ყოფიელი პატიოსანი ჯუარი, წმიდანი ზეცისა ძალნი, ჴორციელნი და უჴორცონი, და რანიცა წმიდანი სკნაქსარსა შინა აღწერილ არიან და აღიწერებიან“ [*], 72]. მოტანილი ვრცელი ციტატის ზაზგასმული სიტყვებიდან თვალნათლივ ჩანს, ბრალთგადამხდელობა ემუქრება იმათ, ვინც დაარღვევს მეფეების, დადიანებისა და გურიელების მიერ

შეწირული ადგილ-მამულების ხელშეუხებლობას. „იადგარის“ პირვანდელი ტექსტისთვის ამგვარი წყველა-კრულის საჭიროება არ იყო, ვინაიდან იქ საუბარი ეხება საგადასახადო შეუვალობას და სისხლის დაურეების ნორმებს, რომელთა ხელყოფად მამულების „გამოკემა“ (წართმევა) არ ჩაითვლება. მამულების წართმევის გამო წყველა-კრულა მიემართება ტექსტის იმ ნაწილს, სადაც სწორედ მეფეთა, დადიანთა და გურიელთა მიერ შეწირული ადგილ-მამულებია ჩამოთვლილი. ამიტომ ეთელი „იადგარის“ ტექსტის ამ ფრაგმენტს შეწირულობათა შესახებ ბლოკის შემქმნელის კუთვნილებად. განსახილველი ფრაგმენტი, თავის მხრივ, წარმოადგენს მეფეთა და მთავართა სათანადო სიგელების ბრალათგადამხდელობის ნაკვეთების შეჯამებას („ჩუენ, მეფეთა და დადიან-გურულთა შეწირულსა მამულსა“ ინტერპოლატორს არ შეიძლებაო და ამოეკითხა რომელიმე მათგანის მიერ გაცემულ ერთ რომელიმე სიგელში).

იმევე ბლოკის შემქმნელის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ ბიჭვინთის ღეთისმშობლისადმი მიმართვაში დაცული შემდეგი სიტყვებიც: „გარნა ზღვსაგან მკადრე წუეთსა უნდოსა და მცირესა ძღუენსა, გულსმოდგინებით შეესწირათ და სიღრმით სულისათ ეცმობთ ღედოფალო, ნუ საზომისად, არამედ ვითარცა მცირესაგან დიდი აბრაჰამისაგან ისაკი, ვინათგან განგებად შეუცვალელობითა ძისა შენისათა არსებად მოსრული კვალად ქცეჲად არს და განმრელებადცა მოკლებად შეუთქს. ამის დანარსისა წესისაგან და არს საჯერო ყოფად ვიჩინეთ წმიდისა ტაძრისა თქუენისა და სამკვიდრებლისა და სამძალისა ჩუენისა დიდისა და ცათა მობაძეისა ზესთა არსისა საყდრისა დიდისა ემბაზისა ბიჭვინთისა მცირისა და კინინის შეწირაობ“ [*, 67]. მოტანილი ციტატა „იადგარის“ პირვანდელ რედაქციას რომ არ ეკუთვნის, ამაზე მიუთითებს ხაზგასმული ადგილები, სადაც ბაგრატ მეფის მიერ ძღვენის შეწირვაზეა საუბარი. ძღვენად არ შეიძლება განვიხილოთ საგადასახადო შეუვალობა და სასისხლო განაჩენის დადგენილებანი, რაც შეადგენს „იადგარის“ პირვანდელი რედაქციის შინაარსს. არც „შეწირვა“ ის სიტყვა, რომელიც მსგავსი პრივილეგიების მინიჭების აღსანიშნავად იხმარება ძველ ქართულ იურიდიულ აქტებში.

აღნიშნული ბლოკი, თავისი თანმხლები ფორმულარებით ზემოთ აღნიშნული მიზეზის (ყრძოდ, გურიელის მიერ სოფელ ზეჩში გლეხის შეწირვის ფაქტი) გამო ვერ შეიქმნებოდა XVII-ის 80-იან წლებზე ადრე. მაშასადამე შეწირულობათა შესახებ ცნობების ბლოკის მონტაჟიც „იადგარის“ დღეისათვის ცნობილი ტექსტის თანადროულია. ეს ნიშნავს იმასაც, აღნიშნული ბლოკის შემქმნელი კათოლიკოსი ეფთვიმე I საყვარელიძეა.

VII. როგორ შეადგინეს „ბიჭვინტის იადგარი“? ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ „იადგარის“ დღეისათვის ცნობილ ტექსტის ჩამოყალიბების ისტორია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ ბიჭვინტის კათოლიკოსის მალაქია I აბაშიძის ინიციატივით ერთ საბუთად გაერთიანდა ბაგრატ III-ის მიერ ბიჭვინტის საკათოლიკოსოსადმი ბოძებული ორი სიგელი: საგადასახადო შეუვალობის და სასისხლო პრივილეგიებისა. ერთიანი საბუთი თავისი ხელმოწერით დაამტკიცა მალაქია I-მა, შემდგომ ხელი ჩაურთო ევდემონ კათოლიკოსმა [ევდემონ I-მა (+1541) ან II-მ (1557-1578)]. ასე შეიქმნა „ბიჭვინტის იადგარი“ პირვანდელი სახით. შემდგომ, XVII ს. დასაწყისში კათოლიკოსმა ფეოტიმე I საყვარელიძემ „იადგარი“ თავიდან გადაწერა, დაურთო ვრცელი ღვთისმეტყველური შესავალი ბაგრატ III – ის ერთ-ერთი შეწირულობის სიგელიდან; სასისხლო განჩინებების პრეამბულის შემდეგ მოათავსა მეფე-მთავართა შეწირულობების სიგელების მიხედვით დამონტაჟებული ბლოკი; სასისხლო განჩინებების შემდეგ შეიტანა შეწირულობათა შემაჯამებელი და საერთო ბრალთგადაძლელობის ფორმულარები; „იადგარის“ პირვანდელი რედაქციიდან გადმოიღო მალაქია და ევდემონ კათოლიკოსების ხელმოწერები; ბოლოში დასვა საკუთარი ხელრთვა. ამის შემდგომ „იადგარის“ ტექსტს ხელს ურთავდნენ მომდევნო კათოლიკოსები. ასე ჩამოყალიბდა „იადგარის“ დღეისათვის ცნობილი ტექსტი ანუ მისი საბოლოო რედაქცია.

VIII. „ბიჭვინტის იადგარის“ ნამდვილობა-ნაყალბობის საკითხისათვის. „იადგარი“, როგორც ითქვა, ნაყალბე საბუთად არის მიჩნეული. ძეგლის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ მისი ინფორმაციის სანდოობის შემოწმებაა. ამ მიზნით ცალ-ცალკე განვიხილეთ საკათოლიკოსოს საგადასახადო შეუვალობის, შეწირულობების და სასისხლო პრივილეგიების შესახებ ცნობებს.

„იადგარში“, როგორც ითქვა, ბაგრატ III-ის პირით მოთხრობილია აფხაზეთის საკათოლიკოსოს ყმა-მამულების სრული საგადასახადო შეუვალობის შესახებ. ქართული ეკლესიისათვის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში საგადასახადო იმუნიტეტის მინიჭება, დროდადრო მისი დაკარგვა და კელეგ განახლება იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ მასზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტია. ამ კონტექსტში ბაგრატ III-ის მიერ ბიჭვინტის საკათოლიკოსოს ყმებისა და ქონების გათავისუფლება სამეფო გადასახადებისაგან რაიმე განსაკუთრებულ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეფის მიერ ამის თაობაზე გაცემული სიგელი არ შემონახულა.

ცალკე უნდა განვიხილოთ მეფე-მთავართა შემოწირულობების შესახებ ცნობები. ამ თავითვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ შეწირულობებთან დაკავშირებით გაცემული არცერთი სიგელი დღემდე მოღწეული არ არის, ასე, რომ „იადგარის“ აღნიშნული ცნობების რეალობასთან შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობას უშუალოდ პირველწყაროების საფუძველზე მოკლებულნი ვართ ასეთ ვითარებაში სხვა გზას უნდა მივმართოთ, კერძოდ, უნდა შევაბრუნოთ „იადგარის“ შემდგენლის მიერ მეფე-მთავართა ნაბოძებად მიჩნეული ქონება, აზნაურები და ყმა-გლეხები ჩანს თუ არა საკათოლიკოსოს საკუთრებაში აღნიშნულ მეფე-მთავართა ზეობის შემდეგდროინდელ დოკუმენტებში, სადაც აღნუსხულია ბიჭვინთის საყდრის ყმა-მამულები. მიღებული შედეგები, მართალია, უშუალოდ არა, მაგრამ არაპირდაპირი გზით უარყოფს ან დაადასტურებს მეფე-მთავართა აღნიშნული შეწირულობებების რეალურობას. ამ მიზნით შეუდგები საკონტროლო წყაროებისა და „იადგარის“ მონაცემების შეჯერებას. ამგვარი შემოწმების შედეგები „იადგარის“ სათანადო ცნობების წარმომავლობის შესახებაც შეგვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას.

უწინარეს ყოვლისა, განვიხილავთ ცნობებს ბაგრატ III-ის (1510-1565) ბოძებულობათა შესახებ. მან, „იადგარის“ მიხედვით, ბიჭვინთის საკათოლიკოსოს შესწირა:

- 1) გელათის წმ. გიორგის ტაძარი 100 კომლი ყმა-გლეხით;
- 2) სოფელ ბარში სასახლე, მონასტერი, აზნაური ჩიკუტძე და 30 კომლი ყმა-გლეხი;
- 3) ციხის მონასტერი.
- 4) საჩხეურში, წუგანსა და კვეშლევში 25 კომლი ყმა-გლეხი.
- 5) ოფჩაში 8 კომლი ყმა-გლეხი ბურჯანაძეები.
- 6) ნავენახევში სასახლე 30 კომლი ყმა-გლეხით.
- 7) ზრუდო სათევზეთ.
- 8) სოფელი ჭალასთაი.
- 9) ქუთაისში სოფია-წმინდის ტაძარი 6 კომლი ყმა-გლეხით.
- 10) ჯიმასტაროში სასახლე და 12 კომლი ყმა-გლეხი ევდემონ კათოლიკოსის ნასყიდი და შეწირული [*, 68].

XVI-XVIII სს. დოკუმენტების მიხედვით ნათელი ხდება, რომ გელათის წმ. გიორგის ეკლესია აფხაზეთის საკათალიკოსოს ეკუთვნის [38, 177-178; 65, 613]. ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია ცნობილია, რომ გელათის წმ. გიორგის ეკლესია 1569 წლიდან მაინც ბიჭვინთის კათოლიკოსის რეზიდენციაა ე.ი. ამ დროისათვის ის უკვე გადაცემულია საკათალიკოსოსათვის [38, 179], მაგრამ ჯერ-ჯერობით დაუდგენელია აღნიშნული ეკლესიის საკათალიკო-

სოსათვის გადაცემის ზუსტი თარიღი და შემწირავი მეფის ვინაობა. ეს გარემოება ართულებს „იადგარის“ განსახილველი ცნობის შემოწმებას.

ცნობილია გელათის წმ. გიორგის ეკლესიის კათოლიკოსის ზელში გადასვლის მხოლოდ ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი. ამასთან დაკავშირებით ბ. ლომინაძემ ყურადღება მიაქცია ბაგრატ III-ის შეწირულობის სიგელს გელათის წმ. გიორგის ეკლესიისადმი, რომელიც გაცემულია 1545წ. 12 თნისს [64, 183-189; 25, 58-69]. სიგელში მეფე აღნიშნავს: „და აწ ეიგულეთ და ეიგულს-მოდგინეთ და კელ[ე]ჩაჲით საყდრისა და მონასტრისა წმიდისა გიორგისა მეორედ აღშენებად. პირველად ოდესმე სადღეოდოლო ყოფილყო, აღარაჲინ ესაფლაჲებოდა და მოშლილიყო და აწ ჩვენდა სამარხოდ და სა[ძ]კალედ შეკქმენით, აღვაშენეთ და შეკაზმეთ“ [64, 184]. აქედან გამომდინარე, ბ. ლომინაძე, სჯესებით მართებულიად, ასკენის, რომ 1545 წლამდე გელათის წმ. გიორგის ეკლესია საკათოლიკოსოს ჯერ კიდევ არ ეკუთვნის — ის ბაგრატ III-ის ხელშია [38, 178-179].

„ბიჭვინტის იადგარის“ განსახილველი ცნობის რეალურობის შემოწმებაში გვეხმარება ბაგრატ III-ის აღნიშნული სიგელისა და 1621წ. შედგენილი აფხაზეთის საკათოლიკოსო გლეხების მოსაკრებლობის დიდი დაუთრის მონაცემების შედარებითი შესწავლა.

1545 წლის სიგელი გვაუწყებს, რომ ბაგრატ III-მ გელათის წმ. გიორგის ეკლესიას, სხვა ყმა-გლეხებთან ერთად, შესწირა ნაყენახევის სასახლე და ყმა-გლეხები: ექვსი კომლი ზაჭუბერაძე — ზაქარია, მამუკა, მამისბედა, ნინია, მახუტა, დათიკას შვილი; ოთხი კომლი ბაზაძე — ცოტნიას შვილი გოჩია, გოჩა, მახარობელა, ზუტია, გოჩია; ერთი კომლი ბრეგაძე ზოსია, ორი კომლი სალაძე. გოჩა და როსტყან [25, 64-65]. 1621 წლის „დიდ დაუთარში“ ბიჭვინთის საკათოლიკოსოს საკუთრებაში არსებული ნაყენახევის სასახლის „მიმდგამი“ გლეხები ნუსხაში სიტყვა-სიტყვითაა გამეორებული ბაგრატ III-ის ზემოთ აღნიშნულ სიგელში დასახელებული ყმა-გლეხების სახელები, გვარები და, უმეტესწილად, ვალდებულებათა სახეები და მოცულობა [65, 401-402 მუხლი. 31-46; 77, 103-104].

ასეთივე ვითარება გვაქვს სხვა შემთხვევაშიც. 1545 წლის სიგელის მიხედვით, ბაგრატ III-მ გელათის წმ. გიორგის ეკლესიას ოხოშირაში, ნაბოსლევში, კურსებში, ჭოლევში, რიონსა და სორმონში შესწირა გლეხთა გარკვეული რაოდენობა [25, 61-62]. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, აღნიშნული სოფლები 1621 წლის „დიდ დაუთარში“ ნახსენებიც არაა [77, 103].

მაგრამ ფაქტია, რომ დასახელებულ სოფლებში ბაგრატ III-ის მიერ გელათის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული გლეხების სახელები, გვარები

და ელდებულებათა სახეები უცვლელად არის გაშეორებული 1621 წლის „დიდ დაუთარიში“ ბუეთის სასახლის „მიმდგამი“ გლეხების მოსაკრებლობის ნუსხაში. ოდნე განსხვავებულია საგლებო ელდებულებების მოცულობა. შედარება ასეთ სურათს გვაძლევს:

1545 წლის სიგელი

1621 წლის „დიდი დაუთარი“

ოხოშირაში

ბუეთის სასახლის მიმდგამი გლეხები

მახაუტა იბრიალიძე

მ(ა)ხ(ა)უტა იბრ(ი)ალიძე

მამისტვალა ვირსალაძე

მა(მის)თ(ვა)ლა ვირსალაძე

ნასყიდა ვირსალაძე

ნასყიდა ვირსალაძე

ზაქარია ვირსალაძე

ზაქარია ვირსალაძე

ნაბოსლეში

მახარია კოზალაძე

მახარია კოზალაძე

კურსებში

ინანა ჭალანგარიძე

ინანა ჭალანგარიძე

გიორგა კოველაძე

გიორგა კოველაძე

მიქელა ჭალანგარიძე

მიქელა ჭალანგარიძე

რიონში

ნაცვალა მამრიკისშვილი

ნაცვალა მამრიკისშვილი

გრიგოლა მამრიკისშვილი

გრიგოლა მამრიკისშვილი

სორმონში

გორია დემეტრაშვილი

გორია დემეტრაშვილი

შოშია ქათამაძე

შოშია ქათამაძე

გორია ფურცხვანიძე

გორია ფურცხვანიძე

გორია კებალე

გორია კებალე

ნასყიდა ფურცხვანიძე

ნასყიდა ფურცხვანიძე

ნასყიდა ფურცხვანიძე

ნასყიდა ფურცხვანიძე

გიორგი ფურცხვანიძე

გიორგი ფურცხვანიძე

ოქროპირ სილაკაძე

ოქროპირ სილაკაძე*

ოქროპირ სილაკაძე

* სახელისა და გვარის დამთხვევის გამო აქ შექანიკურად გამოტოვებულია ორიდან ერთი ოქროპირა სილაკაძე [იხ. 23, 61 სქ.3].

ჭოლევეში

ვარსიშე უყურეშლიძე [25, 61-63]. ვარსიშე უყურეშლიძე [65, 402-404, მუხლ. 57-76].

როგორც ეხედავთ, 1545წ. სიგელის მიხედვით გელათის წმ. გიორგის ეკლესიის კუთვნილი იმ ყმა-გლეხების სახელები და გვარები, რომლებიც ცხოვრობენ ნაენაზხეში, ოხოშირაში, ნაბოსლეში, კურსებში, რიონში, სორმონსა და ჭოლევეში ზუსტად ემთხვევა 1621 წლის „დიდ ღაუთარში“ ჩამოსთვლილ იმ საკათოლიკოსო გლეხთა სახელებსა და გვარებს, რომლებიც მიწერილნი არიან ნაენაზხეისა და ბუეთის სასახლეებზე. რამ განაპირობა აღნიშნული დამთხვევა? ეს შეიძლებაა აგვეხსნა იმით, რომ 1621 წლის „დიდი ღაუთარის“ შემდგენელი სარგებლობდა 1545 წლის სიგელის ტექსტით, როგორც ს. კაკაბაძე ფიქრობდა [29, 61; 30, 21]. მაგრამ ასეთ შესაძლებლობას გამოირიცხავს ამ ორ დოკუმენტს შორის არსებული განსხვავებები (რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი), აგრეთვე, ის გარემოება, რომ 1545 წლის სიგელი გელათის წმ. გიორგის ეკლესიას და მის ყმა-გლეხებს საკათოლიკოსოს საკუთრებად არ განიხილავს და, ამდენად, ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული ყმა-გლეხების აღმწესხველი ღაუთარის შემდგენელს შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ ის საბუთი, რომელიც 1545 წლის სიგელში აღწუსებული ყმა-გლეხების ბიჭვინთის საკათოლიკოსოს საკუთრებაში გადასვლის ფაქტის დამადასტურებელი იქნებოდა. ყოველივე ამას მიეყარათ იმ დასკვნამდე, რომ 1621 წლის მოსაკრებლობის ღაუთარის შემდგენელს ზელო აქონდა გელათის წმ. გიორგის ეკლესიის კუთვნილი გლეხების ბიჭვინთის საკათოლიკოსოსათვის გადაცემის შესახებ იურიდიული აქტი გაცემული 1545 წლის 12 თენისის შემდგომ, მაგრამ ახლო ხანებში. ახლო ხანებში იმიტომ, რომ სხვაგვარად წარმოუდგენელია 1545წ. გადასახადის გადამხდელი ზრდასრული ადამიანები 1621 წელსაც ე.ი. 76 წლის შემდეგაც უკლებლივ ყველანი ცოცხლები ყოფილიყვნენ და გადასახადის გადამხდელთა სიაში შეეტანათ ამ დროისთვის (ე.ი. 1621 წლისათვის), როგორც ქვემოთ განხილული მაგალითიდანაც დავინახავთ, „დიდ ღაუთარში“ მოხვდებოდნენ მათი შთამომავლები.

1545 წლის სიგელის თანახმად, ბაგრატ III-მ გელათის წმ. გიორგის ეკლესიას სოფლებში ფარსმანაყანესა და მესხეთში შესწირა მარდალაშვილების 8 კომლი, კუჭუხიძეების 2 კომლი (ორიც პარტახტი ანუ უპატრონო საგლეხო მუყურნობა) და 2 კომლი ღანდურიძე [25, 63-65]. 1545 წლის სიგელის ცნობით, გელათის წმ. გიორგის ეკლესიას კურსებში ეკუთვნოდა ყმა-გლეხები

ჭლანგარიძეები და კაკაბაძეები [25, 62]. აღნიშნული გვარის წარმომადგენლები კურსებში საკათოლიკოსო გლეხები იყვნენ 1644 წლამდე [65, 509]. 1621 წლის „დიდ დაუთარში“ ფარსმანაყანესა და მესხეთში საკათოლიკოსო გლეხების ნუსხაში აღრიცხულია მარდალაშვილების, კუჭუხიძეების და ღანდურიძეების ექვს-ექვსი კომლი [65, 405-407 მუხლ. 100-118]. 1545 წლის სიგელსა და 1621 წლის „დიდ დაუთარს“ შორის დამთხვევა გვაქვს მხოლოდ მეხევრე გლეხთა გვარებში და, ნაწილობრივ, ვალდებულებათა სახეებსა და მოცულობაში. სხვა მხრივ, მეხევრე გლეხთა სახელები და კომლების რაოდენობა, ზოგიერთ ვალდებულებათა მოცულობა ძირეულად განსხვავებულია. ეს გარემოება უდაო მოწმობაა იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში (განსხვავებით ზემოთ განხილული ორი შემთხვევისაგან) „დიდი დაუთარი“ შედგენის თანადროულ (ანუ 1621 წლისათვის არსებულ) ვითარებას ასახავს. მაგრამ ჩვენთვის ამჯერად მთავარია არა ეს განსხვავება, არამედ დამთხვევები, რომლებიც ცხადყოფენ იმას რომ 1545წ. გელათის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ყმა-გლეხების ერთი ნაწილის შთამომავლები 1621 წლისათვის უკვე ბიჭვინთის საკათოლიკოსოს საკუთრებაშია.

1545 წლის სიგელით გელათის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული გლეხები მანდიკორში (კახიძე), ჯონიაში (მემნაძე), ჭოლევის ტყეში (ქათამაძე) [25, 62] ერთი მოგვიანო ხანის (XVII ს-ის შუა წლები) საბუთის მიხედვით საკათოლიკოსოს საკუთრებას შეადგენდნენ [26, 53-54]. მისავე საკუთრებაში ვხედავთ გლეხებს, აგრეთვე, რიონში, ჭოლევაში, ნავენახევაში, მესხეთში, ფარსმანაყანეში, მანდიკორსა (მინდაკარი) და ოხოშირაში XVIII საუკუნეში შედგენილი სხვა საბუთის მიხედვითაც [25, 57-58].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საფუძველი გვაქვს დავასკვნათ: ბაგრატ III-ის მიერ 1545წ. გაცემული სიგელის მიხედვით გელათის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ყმა-გლეხების დიდი ნაწილი (81 კომლიდან 55 კომლი) 1621 წლის მდგომარეობით უკვე ბიჭვინთის საკათოლიკოსოს საკუთრებაშია.

რითი შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ 1545წ. მეფის საკუთრებაში არსებული გელათის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული გლეხები და ადგილმამულები მოგვიანებით ბიჭვინთის საკათოლიკოსოს საკუთრებაში აღმოჩნდა? ცხადია, საუბარიც ზედმეტია იმაზე, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა თვითნებურად მომხდარიყო. იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული დროიდან (1569 წლიდან) გელათის წმ. გიორგის ეკლესია უკვე კათოლიკოსის ხელშია (მისი რეზიდენციაა), აღნიშნული ფაქტი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ამ ეკლესიის და მისი ყმა-

მამულის კათოლიკოსის ზელში გადასვლით დასახელებული ეკლესია კი თავისი ყმა-მამულთ კათოლიკოსისათვის შეძლო გადაეცა მხოლოდ მის მესაკუთრეს — მეფეს, რაც აუცილებლად მოითხოვდა ამის დადასტურებას სათანადო იურიდიული აქტით.

ასე, რომ, თვით ფაქტი, რაზედაც ესაუბრობთ, აუცილებლობით გულისხმობს იმას, რომ გელათის წმ. გიორგის ეკლესია თავისი ყმა-გლეხებითა და ადგილ-მამულებით ბიჭვინთის საკათოლიკოსო მეფისაგან მიიღო სათანადო სიგელით.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საბუთი, საიდანაც 1621 წლის „დიდ დავთარში“ შეტანილ იქნა ნავენახევისა და ბუეთის სასახლის „მიმდგამი“ გლეხების სია, შედგენილია 1545 წლის ახლო ხანებში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საბუთი გადაცემულია ბაგრატ III-ის (არაუადრეს 1545წ. 12 თვისისა) ან მისი შემდგომი მეფის, გიორგი II-ის მიერ 1569 წლამდე (ამ წელს გელათის წმ. გიორგის ეკლესია უკვე საკათოლიკოსოა).

აღნიშნული საკითხი „ახლოით განხილვას“ მოითხოვს. 1545წ. გელათის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ყმა-გლეხებისა და ადგილ-მამულების საკათოლიკოსოსათვის გადაცემის ინიციატორად გიორგი II-ის მიიწვევა უსაფუძვლოა. მას თუნდაც თავისი მეფობის პირველ წელს (1565წ.) რომ გადაეცა აღნიშნული ეკლესია და ყმა-გლეხები, მაშინაც კი არ არის მოსალოდნელი, რომ 1545 წლიდან იათქმის 20 წლის განმავლობაში მეზვერე გლეხთა შემადგენლობაში თაობათა მონაცვლეობა არ მომხდარიყო და ეს არ ასახულიყო მის მიერ გაცემულ საბუთში, ხოლო შესაბამისად 1621 წლის დიდ დავთარში. ამ უკანასკნელის წყარო-აღნიშნული სავარაუდო დოკუმენტი კი შედგენილია 1545 წელს აღრიცხული 35 ზრდასრული ადამიანის სიცოცხლეშივე ანუ 1545 წლის ახლო ხანებში. ეს გარემოება საფუძველს გაძლევს იმისათვის, რომ 1545წ. წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ყმა-გლეხების (თვით ეკლესიასთან ერთად) ბიჭვინთის საკათოლიკოსოსათვის შეწირვის ინიციატორად ბაგრატ III მივიჩნიოთ.

ჩვენი მსჯელობის საწინააღმდეგოდ შეიძლება მიგვეთითონ იმაზე, რომ 1545 წლის სიგელით გელათის წმ. გიორგის ტაძრისათვის ბაგრატ III-ის მიერ შეწირული ყმა-გლეხები და ადგილ-მამულები მაღლაკში, ნამაშეში, ზემო ქუტირსა და ჭალასთავში (სულ 15 კომლი) მოგვიანო ხანის (XVII-XVIII სს.) მასალებით არ ჩანს საკათოლიკოსის საკუთრებაში. ისინი იმავე ეკლესიის სხვა დანარჩენ ყმა-გლეხებთან და ქონებასთან ერთად მეფემ არ გადასცა საკათოლიკოსოს? შეიძლება გადასცა კიდევ, მაგრამ საკათოლიკოსომ

შემდგომში დაკარგა და ამიტომაც ვერ აისახა მოგვიანო ხანის დოკუმენტებში ან შეიძლება საკუთრივ წმ. გიორგის ეკლესიის განკარგულებაში დატოვა და საკათოლიკოსოსათვის არც შეუწირავს. შეიძლება მიგვითითონ იმაზეც, რომ 1545წ. გელათის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული საგლეხო კომლების რაოდენობა (81 მოქმედი და 15 პარტახტი) ნაკლებია, ვიდრე „ბიჭვინტის იადგარში“ აღნიშნული რაოდენობა (100 კომლი). ეს გარემოება, ს. კაკაბაძის აზრით, აიხსნება იმით, რომ „იადგარში“ გელათის წმ. გიორგის ეკლესიის ყმათა რაოდენობა დამრგვალებულია ან საყდრის საკათოლიკოსოსათვის გადაცემის დროს მისი კუთვნილი საგლეხო კომლების რაოდენობა გაზრდილი იყო [30, 21]. დასაშვებია ისიც, რომ გელათის წმ. გიორგის ეკლესიას ბაგრატ III-ის მიერ შეწირულის გარდა, სხვა ყმა-გლეხებიც ჰყავდა, ხოლო იმ დროს, როდესაც ეს ეკლესია შეფუძნდა საკათოლიკოსოს შესწირა, მთლიანად მისი ყმების რაოდენობა 100 კომლს შეადგენდა.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გაეძლევა დაეასკენათ, რომ „ბიჭვინტის იადგარის“ ცნობა, რომლის თანახმად ბაგრატ III-მ აფხაზეთის საკათოლიკოსოს შესწირა გელათის წმ. გიორგის ეკლესია მისი კუთვნილი 100 კომლით, სინამდვილეს შეესაბამება და სრულ ნდობას იმსახურებს.

ზემოთქმული თავისთავად გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული შეწირულობა თავის დროზე გაფორმდა სათანადო იურიდიული აქტით ანუ გაიცა შეწირულობის სიგელი. როგორც ითქვა, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო 1557-1565 წლებს შორის.

განეგარძობთ „ბიჭვინტის იადგარის“ თანახმად ბაგრატ III-ის მიერ აფხაზეთის საკათოლიკოსოსათვის შეწირული სხვა ყმა-მამულების ძიებას საკონტროლო წყაროებში. ამ უკანასკნელთა მიხედვით აფხაზეთის საკათოლიკოსოს საკუთრებას შეადგენდა:

რაჭის სოფელ ბარში 33 კომლი გლეხი (1621წ.) [იხ. 65, 397]; სასახლე, ეკლესია და 28 კომლი გლეხი XVIIს. ბოლო მეოთხედში [65, 613]; მოლაშქრე, აზნაური ჩიკვატიძე მისი მსახურით (1616-1621წ.წ.); სასახლე, მოჯალაბე და 10 კომლი გლეხი (1733წ.); სოფელი ბარი და სასახლე (1776წ.) [65, 613; 26, 140-142; 27, 56].

ლეჩხუმის სოფელ საჩხერეში 13 კომლი ყმა-გლეხი (1621წ), ყმა-გლეხები და ადგილ-მამულები (XVIIს. შუა ხანები) [იხ. 65, 404, 26, 54]. 12 კომლი ყმა-გლეხი და 2 პარტახტი (XVIIს. ბოლო მეოთხედი) [იხ. 65, 614]. სოფელ წუგნაში ყმა-გლეხები (XVII. შუა ხანები) [იხ. 26, 54].

სოფელ ოფჩაში ყმა-გლეხები (XVIIს. II ნახევარი) [იხ. 51], „გალმართში სოფელი ოფჩა“ (1776წ.) [იხ. 65, 614; 27, 56].

სოფელ ნავენახევში სასახლე და 14 კომლი გლეხი (1621წ.) [65, 401-402]. მოლაშქრეები (აზნაურები) ბეჟან და იოთამ ლაღიძეები თავიანთი მსახურებით (1616-1621წ.წ.) [65, 480]; 16 კომლი „კაცი“ აზნაურიანად და 4 პარტახტი (XVIII. ბოლო მეოთხედი) [65, 614].

ბაგრატ III-მ 1545წ. გელათის წმ. გიორგის საყდარს (რომელიც შემდგომ საკათალიკოსო რეზიდენცია გახდა) შესწირა „ჭიმურას გაღმა სათფეზე ღრუ-ღო“ და „ჭალასთავი სოფელი: ჭალანგარიძე ფუძე კრით და კომლი ორი“ [51].

ქუთაისში სოფია-წმინდის ტაძარი (1621წ.) [65, 614] თავისი აზნაურიშვილებით და 6 კომლი (პარტახტის ჩაფლით) ყმა-გლეხით (XVII ს ბოლო მეოთხედი), ეკლესია და სასახლე (1776წ.) [65, 405-405; 27, 56].

სოფელ ჯიმაშტაროში 7 კომლი ყმა-გლეხი და 4 პარტახტი (1621წ. [იხ. 65, 405]; სასახლე, 11 კომლი ყმა-გლეხი და აზნაური (XVIII. ბოლო მეოთხედი) [65, 614]; 3 მოლაშქრე კაცი (1616-1621წ.წ.) [65, 481].

ციხის მონასტრის და კუეშლევის ყმა-გლეხების აფხაზეთის საკათოლიკოსოს კუთვნილების დამადასტურებელ ცნობებს წყაროებში ვერ მივაკვლიეთ. მაგრამ წარმოდგენილი მასალა მაინც იძლევა გარკვეული დასკვნების საშუალებას.

ასევე ყურადღება უნდა მიაქციოთ ერთ საკითხს. კერძოდ, იმას, რომ „იადგარისა“ და XVI-XVIII ს.ს. წყაროების ცნობები, როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით ერთმანეთისაგან სხვაობენ ან პირველის ზოგიერთ ჩვენებას მეორეგან ვერ ედასტურებთ. სახელდობრ, ბარში „იადგარით“ საკათალიკოსოს 30 კომლი ყმა-გლეხი ებოძა, საკონტროლო წყაროებით კი აქ კათოლიკოსს XVII საუკუნის დასაწყისში 33, ხოლო იმავე საუკუნის ბოლო მეოთხედში 28 კომლი ჰყავდა. თუ პირველი ოფიაში ბურჯანაძეების 8 კომლს ასახელებს, მეორეგან 9 კომლია მითითებული. „იადგარი“ ნავენახევში ყმა-გლეხთა 30 კომლს უჩვენებს, გვიანდელი დოკუმენტები XVIII ს. დასაწყისისათვის 14 კომლს, იმავე საუკუნის ბოლო მეოთხედისათვის 16 კომლს (აზნაურების ჩათვლით) და 4 პარტახტს.

ჯიმაშტაროში „იადგარი“ ყმა-გლეხთა 12 კომლს უთითებს, გვიანდელი საბუთები 11-ს (პარტახტიანად). ეს სხვაობა, ეფიქრობ, მეტობის შემთხვევაში კომლების გამრავლებით აიხსნება, ნაკლებობის შემთხვევაში კი მათი შემცირებით (მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს). ასე რომ, ეს გარემოება „იადგარის“ ერთი მხრივ, და შემდგომი ხანის წყაროების, მეორე მხრივ, ცნობების შეჯერების მართებულობას და ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანის (ბაგრატ მეფის „იადგარისეული“ შეწირულობების ნამდვილობის შემოწმება) გადასაწყვეტად ამ ცნობების გამოყენების მართლზომიერებას საეჭვოდ არ ხდის.

ყოველთადად ზემოთქმული საფუძველს გადასცენათ, რომ „ბიჭვინთის იადგარის“ ჩვენებით აფხაზეთის საკათოლიკოსოსადმი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ შეწირული სასახლეები, ეკლესია-მონასტრები და ყმა-გლეხები საკონტროლო წყაროების მონაცემებით ნამდვილად შეადგენდა საკათოლიკოსოს საკუთრებას, რაც არაპირდაპირ ადასტურებს ბაგრატ მეფის შეწირულობათა რეალურობას და „იადგარის“ სათანადო ცნობების სანდოობას [78].

„იადგარის“ მიხედვით, ბიჭვინთის საყდრის ერთ-ერთ შემომწირველია იმერთა მეფე გიორგი II (1565-1583). ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე იკითხება: „გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან გიორგი შენ, საშინელსა ბიჭვინთისა ღმრთისმშობელსა, შემოგწირეთ ჩუენი ნასისხარი ზოშტიბელა სასახლე თორმეტის კუამლის კაცითა, ჩუნეშს 10 კუამლი კაცი და მიეცით ლალიძეს გიორგის და შეკენით საყდრისშვილად და შემოგწირეთ შენ, ბიჭვინთის ღმრთისმშობელსა“ [64, 179].

გიორგი მეფის მიერ აფხაზეთის საკათოლიკოსოსათვის ზოშტიბელის სასახლისა და მასზე მიწერილი გლეხების, აგრეთვე, ჩუნეშში მოსახლე გლეხების შეწირვის ფაქტს ადასტურებს იმავე მეფის შეწირულობის წიგნი გელათის წმ. გიორგის საყდრისადმი, გაცემული 1569 წლის 4 თებერვალს. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტის შედგენის დროს, როგორც მისივე ცნობებიდან ჩანს, კათოლიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათის წმ. გიორგის ტაძარშია გადმოტანილი და, ცხადია, თვით ტაძარიც კათოლიკოსის ხელშია გადასული [38, 179-180; 26, 18-19]. აქედან გამომდინარე, გელათის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ყმა-მაძეული საკათოლიკოსოს საკუთრებად განიხილებოდა.

აღნიშნული საბუთის მიხედვით, გიორგი II-მ გელათის წმ. გიორგის საკათოლიკოსო საყდარს შესწირა „ჩუნეშის თაჟსა, ღელეს გაღმა, ზოშტიბელის სასახლე... (და) ამ სასახლის შემაჟალი“ ცხრა კომლი გლეხი (მათ შორის ორი პარტასტი), სოფელ ჩუნეშში კი რვა კომლი [26, 18-19].

მიუხედავად იმისა, რომ მოტანილი ამონაწერის შემცველ საბუთსა და „იადგარის“ ცნობებში ბევრი საერთო მომენტი, მაინც გაუმართლებელია პირველი მკვიჩნით მეორის უშუალო წყაროდ ანუ იმ დოკუმენტად, საიდანაც ამოიკრება აღნიშნული ცნობები „იადგარის“ შემდგენელმა. ამას გვაფიქრებინებს ის „ზედმეტი“ დეტალები, რომლებიც გიორგი მეფის საბუთთან შედარებით „იადგარის“ ტექსტში მოიპოვება:

ა) ზოშტიბელის სასახლე გიორგი მეფის „ნასისხარი“ ანუ მისი პირად-დელი მუპატრონისათვის მეფის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო ჩამორთმეული და დაზარალებულისათვის (მეფისათვის) გადაცემული ქონებაა.

ბ) საკათოლიკოსოსათვის შეწირული ჩუნეშელი გლეხები მეფემ ლადიმეს მისცა და საყდრისშვილად შექმნა. ამ დეტალებს „იადგარის“ შემდგენელი აღნიშნული დოკუმენტიდან ვერ გაიგებდა. სხვაობაა, აგრეთვე, შეწირულ საგლეხო კომლთა რაოდენობაში. პირველის მიხედვით, გიორგი II-მ შესწირა ხოშტიბელის სასახლის შემავალი თორმეტი და ჩუნეშში მოსახლე ათი კომლი, მეორის თანახმად შესაბამისად ცხრა და რვა კომლი. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ გიორგი მეფეს ამის შემდგომაც შეუწირავს საკათოლიკოსოსათვის ხოშტიბელის სასახლის შემავალი და ჩუნეშელი გლეხები. აქედან გამომდინარე, „იადგარში“ ფიქსირებული წყალობა გიორგი მეფეს გაუცია 1569-1583 წლებს შორის.

ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ „იადგარის“ შემდგენელს ხელთ ჰქონდა აღნიშნული შეწირულობის შესახებ გიორგი მეფის სხვა, დღეისათვის უცნობი სიგელი. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარია ის, რომ გიორგი მეფის 1569 წლის საბუთი ადასტურებს „იადგარის“ განსახილველი ცნობის რეალურობას.

ამასვე ადასტურებს ერთი 1650 წლის ახლო ხანებში შემდგენილი საბუთი, სადაც აღნიშნულია, რომ „ხოშტიბელა ხატის (იგულისხმება ბიჭვინტის ხატი) შეწირულია“ და მეორე, 1673 წლებით დათარიღებული დოკუმენტი — „დავთარი აფხაზეთის საკათოლიკოსო სამწყსოს მეკომურთა აღწერისა“, რომლის თანახმად საკათოლიკოსოს ეკუთვნოდა „ნემსადისეული ხოშტიბელა სასახლე თორმეტი კუამლის კაცითა...“ და „ჩუნეშს ათი პარტახტი“ [65, 614; 26, 54].

წყაროთა ზემოთ მოტანილი მონაცემები მოწმობენ არა მარტო „იადგარის“ ცნობების სანდოობას გიორგი მეფის შეწირულობის შესახებ, არამედ იმასაც, რომ ხოშტიბელის სასახლე მართლაც მისი „ნასისხარი“ ყოფილა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დასახელებული „დავთარის“ მიხედვით, ხოშტიბელის სასახლე ერთ დროს, სანამ საკათოლიკოსოს გადაეცემოდა, „ნემსადისეული“ ანუ ნემსადის საკუთრება ყოფილა. თუ როდის დაკარგა ხოშტიბელის სასახლე ნემსაძემ, ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ზემოთ ხსენებული გიორგი მეფის მიერ 1568წ. 30 აგვისტოს გელათის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი გაცემული წყალობის წიგნში დაცული ცნობების საფუძველზე. ამ სიგელის მიხედვით, მეფეზე მოწყობილ თავადსხმაში (1568წ. 24 ივნისს იანეთში) მონაწილეობა მიუღია მის აზნაურს, ბეჟან ნემსაძეს, რომელსაც მეფემ ღალატის გამო ნაწყალობევი ყმა-მამულები ჩამოართვა ცხუნკურსა და ჩუნეშში და ეს „მამული ნასისხარი“ გელათის ხახულის ღვთისმშობლის საყდარს შესწირა [46, 409-410; 52]. ეს გარემოება საფუძველს

გაჰმლეს დავასკენათ, რომ 1568წ. გიორგი მეფემ შეთქმულების მონაწილე ბეჟან ნემსაძეს ჩამოართვა ყმა-მამული ცხუნკურსა და ჩუნეშში, მათი ნაწილი შეწირა გელათის ხახულის ღეთისმშობლის ეკლესიას (1568წ. 30 აგვისტოს სიგელი), ნაწილი კი გელათისავე წმ. გიორგის საკათოლიკოსო საყდარს (1569წ. 4 თებერვლის საბუთი).

ამრიგად, „ბიჭვინთის იადგარის“ ტექსტში დაცული ცნობა, რომლის თანახმად იმერეთის მეფემ, გიორგი II-მ აფხაზეთის საკათოლიკოსოს შესწირა ხოშტიბელის სასახლე მისი „შემაგალი“ გლჯეებით და სოფელ ჩუნეშში მოსახლე გლჯეები, სინამდვილეს შეფერება და აღებულია იმავე მეფის მიერ ამის თაობაზე გაცემული დოკუმენტიდან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

თეიმურაზ უფლისწულმა, ბაგრატ III-ის ძემ, „იადგარის“ მიხედვით ბიჭვინთის ღეთისმშობელს უწყალობა 20 კომლი ყმა-გლეხი ზონსა და კუხში [*, 68].

1621 წლისათვის ბიჭვინთის საკათოლიკოსოს ზონში ეკუთვნოდა ყმა-გლეხი 9 კომლი და 6 პარტახტი [65, 408].

დადიანების მიერ საკათოლიკოსოსათვის მიცემული წყალობის შესახებ „იადგარის“ ტექსტში ეკითხულობთ „კუალადცა გაადრეთ და მოგაცსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონმან მამია თქუენ, საშინელსა ბიჭვნტისა ღმრთისმშობელსა: მათხოჯის სასახლე და მონასტერი, ორმოცის კუამლის კაცითა და ერთის აზნაურისშვილითა რატიანითა, წყლითა, ველითა, სანადიროთა, შესაგალითა და გამოსაელითა, საძებარითა და უძებარითა. ჯიქთუბანი მთავარანგელოზის მონასტერი, თორმეტის კუამლის კაცითა, ეგურისპირს ნაჟანეო სამოცის კომლის კაცითა, ზოირს წმიდის გიორგის ეკლესია, ოცდაზუთის კომლის კაცითა, წამზარს გამკერვალია; სასახლე სუბეში, სოფელი მუხური, აზნაურისშვილებითა, ოცდაათის კომლის კაცითა; ტყაურუს მეთევზე და მენაეტე შამიგია ჭუჭურია და დათია; მარმარისკარს ეგვბტია და ჩხუნბურია; აგრევე აფხაზეთს ბიჭვინტას გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთისხილოვანი“ [*, 69].

გურიელების მიერ გაცემული წყალობის შესახებ „იადგარში“ ნათქვამია შემდეგი: „აგრეთვე გაადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, გურიელმან ბატონმან როსტომ და ძემან ჩუენმან ბატონმა გიორგი თქუენ, საშინელსა ბიჭვნტისა ღმრთისმშობელსა ზიბულა მონასტერი მთავარანგელოზისა, სასახლე ორმოცი კუამლი კაცითა, ტყითა, წყლითა, ველითა, შესაგალითა და გამოსაგალითა, საძებარითა და უძებარითა, გურიას ოცის კუამლის კაცითა ოცხანა და ხეჩს ერთი კუამლი კაცი სალუქაძე თემუროზამ“ [64, 179].

ამოავითვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წყალობის შესახებ „იადგარში“ მოხსენებული დადიანებისა და გურიელების არც ერთი სიგელი დღეისათვის მოღწეული არ არის.

მაგრამ საკონტროლო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ აფხაზთა საკათოლიკოსოს XVI-XVIII სს. ეკუთვნოდა:

მათხოჯში სასახლე (XVIII ს.) [65, 407, 503, 614]. „ქარის ეკლესია (XVIII ს.) [16, 438], აზნაურები [65, 481], მათ შორის, რატიანი [16, 438]; 31 კომლი ყმა-გლეხი (1621 წ.) [65, 407-410]; 50 კომლი ყმა-გლეხი XVIII ს. ბოლო მეოთხედისათვის [65, 614].

ჯიქთუბანში ყმა-გლეხები (ჯიქთუბნის სასახლეზე მიწერილი ყმა-გლეხები ჯიქთუბანსა და ჭანგაში) 1621 წლისათვის 11 კომლი [65, 411; 53, 34]; XVIII ს. ბოლო მეოთხედისათვის 10 კომლი ყმა-გლეხი [65, 614] სასახლე და აზნაური რატიანი [27, 56].

ნაჭანოში ყმა-გლეხები: 43 კომლი XVIII ს. ბოლოს [65, 386], 58 კომლი 1621 წ. [65, 614], 60 კომლი XVIII ს. ბოლოს [65, 670].

ხოირში 39 კომლი ყმა-გლეხი (1621 წ.) [65, 423, 481, 501; 53, 35]. სუბეშსა და მუხურში XVII საუკუნეში აზნაური და მსახური, მოლაშქრე გლეხი 30 კომლი, მეზგურე — 42 კომლი [65, 426-428, 481, 501; 53, 35].

ტყაურში მეთევზე და მენავტე 4 კომლი, გვარად შამბია, ჭუჭყურია და დათია [65, 434].

საკათოლიკოსოს კუთვნილ სოფლებს შორის წყაროებში ვერ მიაკვლიეთ წამხარს, სადაც „იადგარის“ მიხედვით, გლეხი, გვარად გამყრეალია შეუწირაეთ საკათოლიკოსოსათვის დადიანებს. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ „მოსაყრებლობის დაუთარში“ (1621 წ.) ხოირის სასახლეზე მიწერილ საკათოლიკოსო გლეხებს შორის იხსენიება ხაზუტა გამყრეალია [65, 423]. წამხარი, როგორც ითქვა მდებარეობდა ენგურის მარჯვენა ნაპირზე. ის ამჟამად გალის რაიონის სოფელ თაგილონის ერთ-ერთი უბანია [8, 152]. იმავე სანახებში ლოკალიზდება სოფელი ნაჭანო, რომელსაც აწინდელ ოტობაისათან აიგოებენ [21, 67].

როგორც ზემოთ ენახეთ, ხოირი წამხარისა და აწინდელი ოტობაიას მიდამოებშია. ასე, რომ „იადგარის“ ცნობას წამხარში გამყრეალიას საკათოლიკოსოსათვის შეწირვის შესახებ ეხმიანება „მოსაყრებლობის დაუთარში“ ხოირის სასახლის „მიმდგამ“ საკათოლიკოსო გლეხთა სიაში გამყრეალიას დასახელება [78].

საკონტროლო წყაროები არაფერს გვეუბნებიან იმის შესახებ საკათოლიკოსოს ეკუთვნოდა თუ არა მონასტერი მათხოჯი, მთავარანგელოზის მონასტერი ჯიქიუბანში, წმ. გიორგის ეკლესია ხოირში, სოფლები აითარნე, არუხა და რაბიწა ბიჭვინთის მიდამოებში, გლეხები მარმარისკარში. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარია ის, რომ დღეისათვის ხელმისაწვდომ ზემოთ მოტანილ წყაროთა მონაცემები არაპირდაპირ მოწმობენ დადიანების მიერ აფხაზთა საკათოლიკოსოსათვის შეწირულობების შესახებ „იადგარის“ ცნობების დიდი ნაწილის რეალობას.

ახლა შევეჩოთ „იადგარის“ ცნობას გურიელების შეწირულობათა შესახებ. საკონტროლო მასალების მიხედვით, აფხაზთა კათოლიკოსს ხიბულაში ეკუთვნის სასახლე და 58 კომლი გლეხი (1621 წლის ცნობა) [65, 414; 53, 34], საყდარი [65, 502] (რაშიც, შესაძლოა, მთავარანგელოზის მონასტერი იგულისხმებოდეს). მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ყურადსაღებია როსტომ გურიელის შეწირულობის წიგნი ბიჭვინთის საყდრისადმი, რომელიც როგორც ზემოთ ენახეთ, გაცემულია 1557-1564 წლებს შორის. მასში ნათქვამია: „წმიდასა ღვთისმშობელსა ბიჭვინთისასა და კათოლიკე საყდართა თქვენთა გკადრე და მოგახსენე მე, გურიელმან პატრონმან როსტომ და დედამან ჩვენმან დედოფალმან ბატონმა თამარ და ძეთა ჩვენთა, ბატონთა, ბატონმან გიორგი და ბატონმან ჭოსროთანგი... შემოეწირეთ ოდიშს სოფელი კიბულა მისითა სამართლიანითა მთითა, ბარითა, წყლითა, სასაფლაოთა, მისითა საძებრითა და უძებრითა“ [26, 15]. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ამ საბუთს ვერ მივიჩნივთ „იადგარის“ უშუალო წყაროდ ანუ იმ დოკუმენტად, საიდანაც „იადგარის“ შემდგენელმა აიღო ცნობები როსტომ გურიელის მიერ საკათოლიკოსოსათვის ხიბულაში სასახლის, მონასტრისა და ყმა-გლეხების შეწირვის შესახებ, რადგანაც, „იადგარისაგან“ განსხვავებით, მასში არაფერია ნათქვამი ხიბულაში მთავარანგელოზის მონასტრის შეწირვაზე და შეწირულ ყმა-გლეხთა რაოდენობაზე. მაგრამ აღნიშნული საბუთი ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რაც მისგან აშკარად ჩანს: როსტომ გურიელს გააჩნდა მემამულური უფლებები ოდიშში მდებარე სოფელ ხიბულაზე, რაც სარწმუნოს ხდის მის მიერ „იადგარში“ აღნიშნული წყალობის აქტის შესაძლებლობას. გვაქვს სრული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ არსებულია როსტომ გურიელის სხვა სიგელიც ხიბულაში სასახლის, მონასტრისა და ყმა-გლეხების ბიჭვინთის საყდრისადმი შეწირვის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა „იადგარის“ შემდგენლის უშუალო წყაროს.

დაუუბრუნდეთ განსახილველი ამონაწერის სხვა ცნობებს. XVI საუკუნის ბოლოს შედგენილი ერთი საბუთის მიხედვით კათოლიკოსს ოცხანაში კყავს

14 კომლი ყმა-გლეხი [65, 380-381]. სხვა წყაროს მიხედვით, ამავე სოფელში მას ეკუთვნის სასახლე და 17 კომლი ყმა-გლეხი (1621წ. ცნობა) [65, 435-437]. „იადგარის“ ერთ-ერთი მინაწერი საბუთი, კერძოდ, კათოლიკოს მალაქიას შეწირულობის წიგნი (1629-1639წ.) იუწყება, რომ „გურიას, ოცხანას როსტომს გურიელსა... კეპლი კაცები შეწირა“ [65, 503]. როგორც ეხედავთ, მალაქია კათოლიკოსისათვის ცნობილი ყოფილა ოცხანაში ყმა-გლეხების შეწირვის ფაქტი. ამ ინფორმაციის წყარო მალაქია კათოლიკოსისათვის შეიძლება ყოფილიყო თვით „ბიჭვინტის იადგარის“ ჩვენს მიერ მოტანილი ცნობა ან როსტომ გურიელის სათანადო სიგელი. თუ დასაშვებად მივიჩნევთ პირველ ვარიანტს, მაშინ ჩანს, რომ მალაქია კათოლიკოსს „იადგარის“ აღნიშნული ცნობა სარწმუნოდ მიაჩნია, თუ ჩავთვლით, რომ მისაღებია მეორე ვარიანტი, მაშინ აშკარაა ისიც, რომ „იადგარის“ განსახილველი ცნობა როსტომ გურიელის მიერ გაცემული საბუთიდან მომდინარეობს. ასეა თუ ისე, ორსავე შემთხვევაში დასკვნა ერთია — როსტომ გურიელის შეწირულობის შესახებ „იადგარის“ ცნობა ნდობას იმსახურებს.

წყაროებში ვერ მივაკვლიეთ ცნობას იმის შესახებ, ჰყავდა თუ არა კათოლიკოსს ყმა-გლეხები სოფელ ზენში, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, XVII ს. 80-იან წლებიდან საჯავახოს სხვა სოფლებთან ერთა გურიელის სამეფლობელოში იყო მოქცეული.

დადიანების შეწირულობათაგან შესაძლებელია მიახლოებით გაირკვეს ჯიქთუბანში მცხოვრები გლეხების შეწირვის დრო. ჯიქთუბანი XVI. 60-იანი-70-იანი წლების მიჯნაზე დადიანების ეკლესიური საგვარეულოს, ჭილაძეების სათაჯდოში შედიოდა. ამის შემდგომ აღნიშნული სათაჯდოს ერთი ნაწილი, მათ შორის, სოფელი ჯიქთუბანი, იმერეთის სამეფოს ფარგლებში მოექცა და დადიანს მასზე ხელი აღარ მიუწვდებოდა. აქედან გამომდინარე ჯიქთუბანში მცხოვრები გლეხების საკათოლიკოსოსათვის შემწირველად უნდა მივიჩნიოთ მაძია III (1503-1533წ) ან ლევან I დადიანი (1533-1572წ.).

ყველა დანარჩენ შემთხვევაში გაურკვეველი რჩება შემწირველებად დასახელებული დადიანების კონკრეტული წელიწადი ამ აქტის განხორციელებაში. ძნელი გადასაწყვეტია „იადგარში“ დასახელებული ოთხი დადიანიდან რომელი შეიძლება მივიჩნიოთ უშუალოდ შემწირველად და რომელი დაძაბტყი-ცებლად, უფრო ზუსტად, რომელმა მათგანმა გასცა უშუალოდ წყალობა და რომელმა მათგანმა დააბტყია წინამორბედის მიერ გაცემული შეწირულობა. ს. კაკაბაძის აზრით, დადიანების შემოწირულობათა უმეტესი ნაწილი (შეიძლება ყველა) მომდინარეობს მაძია III-საგან, რომლის შემდეგ შეწირულობა

დაუმტკიცებიათ მის შემკვიდრებს [30, 25 სქ. 1]. ამ მოსაზრების უყოფმანოდ გაზიარება ძნელია. აქ დასაშვებია რამდენიმე ვარიანტი:

1) წყალობის წიგნი გასცა მამია დადიანმა (გარდ. 1533წ.), მისმა შემკვიდრებმა კი განუახლეს ანუ თავიდან დაუმტკიცეს აღნიშნული წყალობის წიგნი.

2) „იადგარში“ აღნიშნული შეწირულობები ნაწილ-ნაწილ გაცემულია მამია, ლევან (1533-1572წ.), გიორგი (1572-73, 1578-1582წ.წ.), მამია დადიანების (1573-1578, 1582-1595წ.) მიერ.

3) აღნიშნულ შეწირულობათა ერთი ნაწილი გაცემულია მამია დადიანის, ხოლო მეორე ნაწილი კი ლევან დადიანის მიერ. მამიას მიერ გაცემული წყალობის წიგნში როგორც ამ აქტის თანამონაწილე მოხსენიებული იყო მისი შემკვიდრე ლევან დადიანიც, ასევე ლევან დადიანის მიერ გაცემულ სიგელში მოხსენებულნი იყვნენ მისი შემკვიდრეები გიორგი და მამია, როგორც ეს მიღებული იყო გვიანფოთალური ხანის ქართულ დიპლომატიკაში.

დღეისთვის ძნელი სათქმელია, თუ რომელი ვარიანტია მისაღები, ამიტომ აღნიშნულ შეწირულობათა ქრონოლოგია უნდა განისაზღვროს ზოგადად მამია დადიანისა და მისი შემკვიდრეების ზეობათა წლებით. აქედან გამომდინარე დადიანთა მიერ გაცემული შეწირულობების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია 1503წ., რა დროიდანაც მამია დადიანი ჩანს ოდიშის ერისთავად. ხოლო ზედა ქრონოლოგიური ზღვარი უნდა განისაზღვროს მამია დადიანის მთავრობის დასასრულით ანუ 1595 წლით.

რაც შეეხება გურიელების შეწირულობათა ქრონოლოგიას, არის გარკვეული საფუძველი მიახლოებით მაინც დადგინდეს სოფელ ხეში ყმა-გლეხის შეწირვის დრო.

საჯავახოში შემაგალი აღნიშნული სოფელი, როგორც უკვე ითქვა, გიორგი გურიელის დროს, XVII. 80-იან წლებში მოექცა გურიის სამთავროს საზღვრებში. აქედან გამომდინარე, ხეში მცხოვრები სალუქვაძე ბიჭვინთის საყდრისათვის შეუწირავს გიორგი გურიელს.

როსტომ და გიორგი გურიელების მიერ დანარჩენ წყალობათა გაცემის დრო მათი ზეობის ანუ 1533-1600 წლებით უნდა განისაზღვროს.

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ითქვა, შეწირულობათა შესახებ „იადგარის“ ცნობების სანდოობის მიმართ არაერთი ეჭვი გამოითქვა. აღნიშნული ცნობების ნატყუარობის ერთ-ერთ მაჩვენებლად ითვლება ის გარემოება, რომ „იადგარის“ მიხედვით ბიჭვინთის საკათოლიკოსოსათვის შეწირულად მოხსენიებული სოფლების ერთი ნაწილი, კერძოდ, წუგნა, კვეშლევი, კუხი, აითარნე, რაბიწა და ზოგი სხვა არ არის დასახლებული

მოგვიანო ხანის დოკუმენტში, კერძოდ 1621 წლის საკათოლიკოსო დიდ დაუთარში [40: 269].

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: სხვაობა „იადგარსა“ და 1621 წლის დიდ დაუთარს შორის საკათოლიკოსოს საკუთრებაში არსებული სოფლების ჩამონათვალში რომ გააქვს, აიხსნება იმით, რომ 1621 წლისათვის ეს სოფლები უკვე აღარ ეკუთვნოდა საკათოლიკოსოს (ამ უკანასკნელმა ისანი დაკარგა). არაა გამორიცხული, რომ ბიჭვინთის გარშემო მდებარე სოფლები — აითარნე, არუხა და რაბიწა საკათოლიკოსომ XVI. 50-იან-60-იან წლებში დაკარგა, როდესაც რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს. ასე რომ, აღნიშნული სხვაობა არ შეიძლება „იადგარის“ ნატყუარობის ნიშნად მივიჩნიოთ. ნაყალბეად არის მიჩნეული, აგრეთვე „იადგარის“ ცნობა, რომლის მიხედვით, იმერეთის მეფე, გიორგი II ბიჭვინთის საკათოლიკოსოს სწირავს ზოშტიბელას და ჩუნეშს იმ დროს, როდესაც მისივე 1569 წლის სიგელით ეს ადგილები მას გელათის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეუწირავს [40: 269]. ვფიქრობთ, უდაჯო არც ეს არგუმენტი. ჯერ ერთი, „იადგარის“ მიხედვით, გიორგი II ბიჭვინთის საკათოლიკოსოს ზოშტიბელას და ჩუნეშს სწირავს არა მთლიანად, არამედ მათში მოსახლე ყმა-გლეხების ნაწილს — ერთში თორმეტ კომლს, მეორეში — ათს [64:179]. იგულისხმება, რომ ამ სოფლებში სხვა გლეხებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც მეფემ 1569 წლის სიგელით [იხ. 26:17-19] საკუთრე გელათის წმ. გიორგის ეკლესიას შესწირა. მეორე, ესეც რომ არ გავითვალისწინოთ, გელათის წმ. გიორგის ეკლესია ხომ 1569 წლისათვის უკვე ბიჭვინთის კათოლიკოსის რეზიდენციაა და თვით საყდარიც მის ხელშია. აქედან გამომდინარე, ამ დროისათვის გელათის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ყმა-მამული საკათოლიკოსოს საკუთრებად განიხილებოდა. ასე რომ, გიორგი II-ის მიერ გაცემულ 1569 წლის სიგელსა და „ბიჭვინთის იადგარს“ შორის წინააღმდეგობა არა გააქვს.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გააძლევს დაჟასკენათ, რომ „ბიჭვინთის იადგარის“ ცნობები მეფე-მთავართა მიერ გაცემული შეწირულობების შესახებ რეალური ვითარების ამსახველია, ამ ცნობების დიდი ნაწილი, რომელთა შემოწმება შესაძლებელია, სინამდვილეს შეეფერება. ეს ფაქტი უფლებას გააძლევს ნდობით მოეყვიდოთ იმავე რიგის სხვა ცნობებსაც, რომელთა შემოწმება არ ხერხდება მხოლოდ და მხოლოდ საკონტროლო მასალების უქონლობის გამო.

სამეცნიერო ლიტერატურაში „ბიჭვინთის იადგარის“ ნაყალბეობის ერთ-ერთ არგუმენტად, როგორც უკვე ითქვა მიჩნეულია სისხლის ფასის (დანაშაუ-

ლისათვის დაწესებული ქონებრივი საზღაურის) არაჩვეულებრივად დიდ იდენობა [40].

უნდა ითქვას, რომ მაღალი სისხლის ფასი „იადგარის“ ნაყალობების მარჯვენაგანი არ არის. ამის შესახებ საეხსებო სამართლიანად მიუთითა ი. ანთელაგამ ე.წ. „სასისხლო სიგელებთან“ დაკავშირებით მისი აზრით, სისხლის მაღალი ფასი გამოწვეული იყო ფულის გაუფასურებით [2:62]. „იადგარის“ სისხლის განჩინებაში ფულის ერთეულად აღებულია თეთრი, „ძველი თეთრი“ და „კირმანეული თეთრი“. თეთრის გაუფასურების პროცესი, რომელიც XIV საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო, „იადგარის“ სისხლის განჩინებების შედგენის დროისათვის უკიდურეს ზღვარს აღწევს — თეთრის წონა 2,13 გრამიდან 0,5 გრამამდე დაეცა [19:7;70: 101-120; 71:453-457].

თეთრის დეკლავაცია, ცხადია, მისი მსყიდველობითი უნარის დაქვეითებას და, შესაბამისად, ფასების ზრდასაც იწვევდა. ასეთ ვითარებაში, მაღალი სისხლის საზღაურის დაწესება სუბსიდიურ გასაგები ხდება და ამაში მოულოდნელი არაფერია.

სისხლის ფასის სიდიდე განპირობებული იყო, აგრეთვე, ბიჭვინთის საკათოლიკოსოს განსაკუთრებული მდგომარეობით. ამის თაობაზე თავად კანონმდებელი გარკვევით აცხადებს: „ვითარცა სხუათა საყდართა უწარჩინებულესი არის ბიჭვინთისა საყდარი, ჯერეთვე უმეტესი იადგარი დაედევით-ო“ [*, 72].

სისხლის მაღალი ფასი ანუ სასჯელის გამკაცრება და დამძიმება გამოწვეული იყო იმითაც, რომ განხორციელებულიყო პრევენცია. კანონმდებელი ამით ცდილობდა ძირშივე ჩაეკლა, ჩანაფიქრშივე აღეკვეთა საკათოლიკოსოს წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება.

ყველაზე წინადი არგუმენტი „იადგარის“ ნატყუარობის საჩვენებლად რომაა მოხმობილი, არის ის გარემოება, რომ მისი შემდგენელი არ იცავს დიპლომატიკური ძეგლების შედგენის ტრადიციულად ჩამოყალიბებულ და პრაქტიკაში საყოველთაოდ მიღებულ, საეკლესიო ნორმებს, უფრო ზუსტად, იმგვარად, როგორც „იადგარია“ შედგენილი, დიპლომატიკური ძეგლი (იურიდიული აქტი) იმ დროის საქართველოში არ იწერებოდა. ლ. მუსხელიშვილისა და ი. დოლიძის აზრით, ანომალიები, რომლებიც „იადგარში“ დასტურდება, მაგრამ არ შეიძლება გაჩენილიყო ნამდვილი იურიდიულ აქტში, არის შემდეგი: 1) რვა კათოლიკოსის ხელრუთაგან პირველი სამი „იადგარის“ ტექსტის ხელითაა შესრულებული, მეოთხე და მესამე კი სხვა, მაგრამ ერთი და იგივე ხელით; 2) ლეკან დადიანი ასევე დადიანად იხსენიებს შვილს და შვილიშვილებს, რომელთა დადიანობასაც (მმართველობასაც) ის არ მოსწრე-

ბია. ასევე იქცევა როსტომ გურიელი, რომელიც გურიელად ასახელებს თავის შვილს, გიორგის [40: 269]; 3) „იადგარს“ ხელს არ ურთავს წყალობის თუ პრივილეგიის გამცემი არც ერთი მეფე, დადიანი ან გურიელი [17: 616].

უდავო ფაქტია, რომ ეს და მსგავსი ანონალიები არ შეიძლება ახასიათებდეს ნამდვილ იურიდიულ აქტს. მაგრამ იყო კი „ბიჭვინტის იადგარი“ ნამდვილი იურიდიული აქტი? უფრო ზუსტად, შეიქმნა კი „იადგარი“ იურიდიული აქტის პრეტენზიით და რამდენად მართებულია წუუყენით მას ის მოთხოვნები, რასაც ეუყენებთ ზოლმე ნამდვილ იურიდიულ აქტს?

სანამ ამ კითხვებს ეუპასუხებდეთ, მიზანშეწონილია განვიხილოთ „იადგარის“ შექმნის მიზანი. ზემოთ ეცადეთ გვეყენებინა, რომ „იადგარის“ ყოველი ცალკეული ინფორმაცია რეალურად არსებულ იურიდიულ აქტს ეყარებოდა, რომ ყოველი მათგანის დამადასტურებელი აუთენტური დოკუმენტი, შედგენილი სათანადო ნორმების დაცვით, ნამდვილად ქეონდა ბიჭვინტის საკათოლიკოსოს. თუ ეს ასეა (ფაქტია, რომ ასეა), მაშინ რა საჭირო იყო ცალ-ცალკე არსებული იურიდიული აქტებიდან ცნობების ამოკრება და ერთად თავმოყრა ანუ „იადგარის“ შედგენა?

ამ საკითხში ერთგვარი გარკვეულობის შესატანად საჭიროა ერთი გარემოების გათვალისწინება. ცნობილია, რომ ეკლესია-მონასტრებში (აგრეთვე, დიდგვაროვნთა ოჯახებში) საკუთრების უფლების თუ სასისხლო პრივილეგიების დამადასტურებელ იურიდიულ აქტებს დიდად უყრთხილდებოდნენ და სათუთოდ ინახავდნენ. იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (სამამულო დაჲ, სარწელის აღძჲრა, სასამართლო პროცესი და ა.შ.) ხლდებოდა „ბეჭდით დაბეჭდილი“ დოკუმენტის „გახსნა“. მაგრამ აღნიშნული იურიდიული აქტებით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის (გადასახადების აკრეჲჲ, სიახლის დაურეება და ა.შ.) საკმე მოითხოვდა ამ საბუთებთან ხშირ ფიზიკურ შეხებას, რაც საფრთხეს უქმნიდა მათს უენებლობას. ამის თავიდან ასაცილებლად (დოკუმენტების დაცუა-შენახვის ინტერესებიდან გამომდინარე) სანიადგო, ყოველდღიური სარგებლობისათვის უნდა შეედგინათ იბგვარი დოკუმენტები, სადაც თავს უყრიდნენ სენიორიის საკუთრების (ყმა-გლუხები, ადგილ-მამულები) თუ პრივილეგიების (შეუეალობა, სასისხლო განაჩენი) დამადასტურებელი და განმრიგებელი აქტების ძირითად შინაარსს.

ფიქრობთ, ამ მიზნით, ძველი მწიგნობრების სიტყვებით რომ ეთქვას, „სანიადგოდ სახმარებლად“, შეადგინეს „ბიჭვინტის იადგარის“ განსახილველი ტექსტი. მისი ყოველი პუნქტის იურიდიული ძალის დადასტურება ნებისმიერ საჭირო შემთხვევაში შეძლო საკათოლიკოსოს მისი საბუთების

სატყუი დაცული პირველადი დოკუმენტების მეშვეობით.

„იაღვარის“ სწორედ ასეთმა დანიშნულებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ტექსტის ბოლოში არა გვაქვს წყალობისა თუ შეწირულობის აქტების გამცემი მეფეებისა და მთაერების ხელმოწერები.

იურიდიული აქტების პირველდენების ასლების შექმნა ყოველდღიური საჭიროებისათვის რომ პრაქტიკაში გავრცელებული იყო, ამას მოწმობს პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის (XIII.) ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც მისი შემდგენელი და დამამტკიცებელი გრიგოლ ბაკურიანის ძე აფრთხილებს მონასტრის მესვეურებს, რომ ტიპიკონის დედანი, ხელმოწერილი და დამტკიცებული სათანადო ნორმების დაცვით, მუდმივად „მონასტერსა შინა დამარხული იქნას“. იმ შემთხვევაში, თუ მონასტერს ვინმე დაუას დაუწევდა და ამის გამო სასამართლოზე საჭირო გახდებოდა ტიპიკონის წარდგენა, ამ შემთხვევაშიც კი ტიპიკონის დედანი („თავადი ტიპიკონი“) მონასტრიდან არ უნდა გაეტანათ, არამედ უნდა დაეშინებინათ მისი პირი, დამტკიცებული მონასტრის წინამძღვრისა და კრებულის წარმომადგენელთა მიერ და ის წარედგინათ სასამართლოზე [72:127].

ეს მაგალითი იმის საილუსტრაციოდ მოეიტანეთ, თუ როგორ უფრთხილდებოდნენ ჩვენი წინაპრები დოკუმენტების ორიგინალებს და თუ რატომ იქმნებოდა მათი ასლები.

მოტანილი მაგალითი ჩვენთვის უადრესად საინტერესო ფაქტსაც ადასტურებს: ორიგინალიდან გადმოღებულ პირს ამტკიცებდნენ დოკუმენტის ადრესატები და მისი ნამდვილობის საჩვენებლად არ იყო აუცილებელი გამცემის ხელრთვა. „ბიჭვინტის იაღვარიც“ დამტკიცებულია პრივილეგიებისა და შეწირულობების მიძღვრის (ადრესატის) ანუ კათოლიკოსების მიერ და არ არის ხელმოწერილი აღნიშნული პრივილეგიებისა და შეწირულობების მბოძებელ-გამცემი მეფე-მთაერების მიერ.

ამგვარი მიზნითა და დანიშნულებით შექმნილ დოკუმენტს, ცხადია იურიდიული აქტის გარეგნული სახე არ ექნებოდა, მაგრამ, საქმე ისაა, რომ ის არც შეუქმნიათ ასეთი დატვირთვით. მისი დანიშნულება არც მოითხოვდა იურიდიული აქტის ფორმას.

ამრიგად, „ბიჭვინტის იაღვარის“ სახით ხელთ გვაქვს არა იურიდიული აქტი, არამედ იურიდიულ აქტებზე დამყარებული წერილობითი ძეგლი.

აღნიშნული თავისებურების გათვალისწინება სწორ ორიენტირს იძლევა იმის გასარკვევად, „იაღვარი“ ნაყალბევი ძეგლია თუ ნამდვილი.

² სიზუსტისთვის უნდა ითქვას რომ „იაღვარში“ ლევან დადიანი თავის შვილიშვილებს (გიორგის და მამიას) დადიანებად არ იხსენიებს.

მას შემდეგ, რაც დავინახეთ, რომ „ბიჭვინტის იადგარი“ არ არის ნამდვილი იურიდიული აქტი და ასეთად არც განიხილებოდა შემდგენელთა მიერ, ცხადია, მას უნდა მოეხსნას ის „ბრალდებები“, რომლებიც არ „ეპატიება“ დიპლომატიკის ყველა წესით და, შესაბამისად, ნამდვილი სამართლის ძეგლის პრეტენზიით შედგენილ დოკუმენტს. იმის გათვალისწინებით, რომ „იადგარი“ სხვადასხვა სიგელების მონაცემთა თავისებური კრებულაა და არა წმინდა იურიდიული აქტი, ზემოთ აღნიშნული ანომალიების არსებობა მის ტექსტში მოულოდნელი არ არის. ეს ზოგადად. ახლა კონკრეტულად განვიხილოთ თითოეული მათგანი. ზემოთ უკვე ნაჩვენები იყო გამომწვევი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის ერთი და იგივე კალიგრაფიით შესრულებული „იადგარის“ პირველი სამი ხელრთვა: XVII ს. დასაწყისში „იადგარის“ რედაქტორმა კათოლიკოსმა ეფთეიმმა საყვარელიძემ თავდაპირველი რედაქციის ტექსტიდან გადმოიღო თავისი წინამორბედი ორი კათოლიკოსის (მალაქია და ევდემონი) ხელმოწერები. რაც შეეხება მეოთხე და მეხუთე ხელმოწერებს, აღმოჩნდა რომ ისინი არა ერთი და იგივე, არამედ სხვადასხვა კალიგრაფიითაა შესრულებული. ლევან დადიანი ასევე დადიანად რომ იხსენიებს თავის შვილს², გიორგის, ეს უკანასკნელი კი თავის ძეგს, გიორგის და მამიას, აიხსნება მათ მიერ გაცემული სიგელების შინაარსის გამთლიანებითა და შემოკლებით „იადგარის“. შემდგენლის მიერ.

„იადგარის“ ნამდვილობა-ნაყალბეობის საკითხზე მსჯელობისას უნდა გაეთვალისწინოთ XVII-XVIII სს. მეფე-მთაგრებისა და კათოლიკოსების დამოკიდებულებაც ამ ძეგლისადმი. მის თავისუფალ გვერდებსა და აშეიბზე მოთავსებულია ლევან II დადიანის, იმერეთის მეფეების, გიორგი VI-ის (1696-1698) და სვიმონის (1698-1701), კათოლიკოსების ეფთეიმი I საყვარელიძის, მალაქია II გურიელის (1616-1639), დაეით ნემსაძის (1673-1696) და გრიგოლ ლორთქიფანიძის (1696-1745) მიერ გაცემული საბუთები. ეს გარემოება, მოწმობს იმას, რომ „იადგარის“ ნამდვილობასა და სანდოობაში მათ ეჭვი არ ეპარებოდათ [2:59].

IX. ძირითადი დასკვნები. „ბიჭვინტის იადგარის“ სახელწოდებით ცნობილი წერილობითი ძეგლი წარმოადგენს ბიჭვინთის (აფხაზეთის, დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსოს საკუთრების, საგადასახადო შეუვალობის და სასიხლო პრივილეგიების შესახებ XVI საუკუნეში შექმნილი იურიდიული აქტების ძირითადი მონაცემების ნაკრებს. თავდაპირველად „იადგარი“ მოიცავდა იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის მიერ გაცემულ ორ დოკუმენტს: ბიჭვინთის საკათოლიკოსოს საგადასახადო შეუვალობის სიგელს და სასიხლო განჩინებას. მათ ერთად მოუყარა თავი კათოლიკოსმა მალაქია I აბაშიძემ

1535-1540 წლებს შორის. XVII ს-ის დასაწყისში (1604-1616 წწ.) კათოლიკოსმა ეფთიმე I საყვარელიძემ „იადგარის“ ტექსტი თავიდან გადაწერა და შუაში ჩაურთო XVI ს. იმერეთის მეფეების (ბაგრატ III, თეიმურაზ უფლისწული, გიორგი II), ოდიშისა და გურიის მთაგრეხის მიერ საკათოლიკოსოსათვის ადგილ-მამულების, ეკლესია-მონასტრების, აზნაურების, მსხურებისა და ყმა-გლეხების შეწირულობათა შესახებ გაცემული სიგელების ძირითადი ცნობების ნაკრები. ასე ჩამოყალიბდა „იადგარი“ იმ სახით, როგორითაც მოაღწია დღემდე.

„იადგარი“ შეიქმნა პრაქტიკული მიზნით იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ აღნიშნული იურიდიული აქტების დედნების ხშირი გამოყენება, რაც საფრთხეს უქმნიდა მათს უვნებლობას, ერთად შეკრიბეს მათი ძირითადი, არსებითი ხასიათის ცნობები.

ერთი მხრივ, „იადგარში“ დაცული ინფორმაციის და, მეორე მხრივ, საკონტროლო წყაროებისა და ისტორიული რეალიების ურთიერთშეჯერების შედეგები ცხადყოფენ, რომ გადასინჯვას მოითხოვს სამეცნიერო ლიტერატურაში გაერცელებული თვალსაზრისი „იადგარის“ ნაყალბეობის შესახებ. პირიქით, ეს შედეგები სრულ საფუძველს გააძლევს ეადიაროთ მისი ცნობების სანდოობა და მეტი გულდაჯერებით გამოვიყენოთ ისინი საქართველოს სამოქალაქო თუ საეკლესიო ისტორიის საკითხების კვლევაში.

X. „ბიჭვინტის იადგარის“ მინაწერი საბუთების დათარიღებისათვის. „ბიჭვინტის იადგარის“ ძირითადი ტექსტისაგან თავისუფალ გვერდებსა და აშიებზე მოთავსებულია ოცი მინაწერი საბუთი. მათი ერთი ნაწილი [№2, 14, 15, 16, 20] წარმოდგენილია დედნის სახით (ახლავს გამცემის ხელრთვა, ზოგს ბეჭედიც) ე.ი. საბუთების ტექსტები დაწერილია პირდაპირ „იადგარის“ თავისუფალ ადგილებზე. საბუთების მეორე ნაწილი (№1, 3, 4, 6-13, 17-19) დედნიდან გადმოწერილი ასლებია (მათ არ ახლავთ გამცემთა ხელთშეწობები).

ერთ-ერთი მათგანი, სახელობრ, კათოლიკოს მალაქია გურიელის ანგარიშგების (№5) ტექსტის ბოლო სტრიქონები დაფარულია გადაწებებული ქაღალდით, ამიტომ გაურკვეველია, ეს დოკუმენტი დედანია თუ პირი.

„ბიჭვინტის იადგარის“ ზოგიერთი მინაწერი საბუთის დათარიღების საკითხი საგანგებო მსჯელობას მოითხოვს.

ა) ზემოთ უკვე ითქვა, რომ „იადგარის“ ერთ-ერთი მინაწერი საბუთი გიორგი ლიპარტიანის მიერ გაცემული შეწირულობის შესახებ მოგვითხრობს: „აგრევენ გკადრეთ და შემოგწირეთ ჩუენ ლიპარტიანმან გიორგი და ძემან ჩუენმან ვამყ და მეცხედრემან ჩუენმან დადიანის ქალმან ბატონმან ანა თქუენ,

საშინელსა ბიჭვინტისა ღუთისმშობელსა სასახლე ნაგავაზო რვის კკამლის კაცითა საკსრად და საოვად სულისა ჩუენისა“ (იხ. აქვე, №2).

გიორგი ლიპარტიანის საბუთის დათარიღებისას მისი შინაარსიდან უნდა ამოვიდეთ. საბუთში, როგორც ვნახეთ, იხსენიებიან გიორგი ლიპარტიანის ძე ვამეყი და თანამეცხედრე ანა დადიანი.

გიორგი ლიპარტიანი, მისი თანამეცხედრე ანა დადიანი და მცირეწლოვანი ძე ვამეყი იხსენიებიან, აგრეთვე, ცაიშის გულანის ერთ-ერთ მინაწერში, რომელიც 1608 წლით თარიღდება [5, 145]. გიორგი ლიპარტიანი იხსენიება აგრეთვე, *ოძმაში* (ბაღდადის რაიონი) მღებარე ხობის წმ. გიორგის ეკლესიის კედლის წარწერაში, რომელიც იუწყება, რომ ეს მონასტერი იმერეთის მეფის გიორგი III-ის (1604-1639 წ.წ.) წყალობით აუშენებია გიორგი ლიპარტიანს და მის მეუღლეს თაჯი ამილახვარის ასულს მათს „ღარიბად ყოფასა შიგა [33: 109; 12: 55; 6: 118]. იმავე ეკლესიის ფრესკებზე გამოსახულნი არიან „ამა ეკლესიისა აღმაშენებელი“ გიორგი ლიპარტიანი ეკლესიის მოდელით ხელში, მისი მეუღლე თაჯიყოფილი თუბრონია და უწვევრული ყმაწვილი წარწერით: „ძე მათი ვამეყი“ [33: 109; 12:64]. ეკლესიის მშენებლობის დროს, ჩვენთვის უცნობი მოხუხების გამო, გიორგი ლიპარტიანი „ღარიბად“ ე.ი. დევნილობაში ყოფილა. გამორიცხულია, რომ გიორგი ლიპარტიანი 1611 წლის შექმდგომ დევნილობაში ყოფილიყო. მისი ცხოვრების აღნიშნული თარიღის შემდგომი ხანის პერიოდები კარგადაა ცნობილი. ის მანუჩარ დადიანმა 1611 წ., გარდაცვალების წინ თავისი მცირეწლოვანი მემკვიდრის ლევან II დადიანის რეგენტად განამწესა და გარდაცვალებამდე (1622/23წ). მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო ოდიშის სამთავროში [1:47]. ასე რომ, მისი „ღარიბად ყოფნა“ 1611 წელზე უწინარესი ამბავია. ზემოთ მოტანილი წარწერის მიხედვით, გიორგი ლიპარტიანი ეკლესიას აშენებს იმერეთის მეფის გიორგი III-ის წყალობით, რომელიც 1604წ. გამეფდა. აქედან გამომდინარე აღნიშნული ეკლესიის მშენებლობის დასრულება და მოხატვა და, მაშასადამე, გიორგი ლიპარტიანის ოჯახთან ერთად „ღარიბად ყოფნა“ 1604-1611 წლებს შორის თავსდება. როგორც ზემოთ ითქვა, გიორგი ლიპარტიანი, ანა დადიანი და მცირეწლოვანი ვამეყი 1608წ. იხსენიებიან ცაიშის გულანის მინაწერში, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ დროისათვის ისინი სამეგრელოში არიან და გიორგი ლიპარტიანის „ღარიბად ყოფნაც“ დამთავრებულია. ბუნებრივია დაისვას კითხვა: როდის შესწირა გიორგი ლიპარტიანმა ნაგავაზოს სასახლე და გლეხები საკათოლიკოსოს, „ღარიბობამდე“ თუ „ღარიბად ყოფნის“ შემდეგ? ამასთან დაკავშირებით ყურადღებას აქცევს ის ფაქტი, რომ „ღარიბად ყოფნასა

შიგა“ (დევნილობის პერიოდში) მისი თანამეცხედრე თავი ამილახვარი მონაზვნად არის აღკვეცილი თებრონიას სახელით. ამავე დროს მათ ჰყავთ მცირეწლოვანი შვილი ვამეყი. 1608 წლისათვის გიორგი ლიპარტიანის მეუღლე უკვე ანა დადიანია, ხოლო ვამეყი ამ დროსაც ჯერ ისევ მცირეწლოვანია. როგორც ვხედავთ, „ღარიბად ყოფნის“ პერიოდში გიორგი ლიპარტიანის მეუღლეა თავი ამილახვარი, ხოლო დევნილობის შემდგომ ანა დადიანი (ცაიშის გულანის 1608 წ. მინაწერი), ეისთან ერთადაც ის ბიჭვინთის საკათოლიკოსოს სწირავს ნაგავაზაოს სასახლეს გლეხებითურთ. ზუსტად არ ვიცით, თუ როდის მოეღო ბოლო გიორგი ლიპარტიანის დევნილობას, მაგრამ აშკარაა, რომ ეს უნდა მომხდარიყო 1604-1608 წლებს შორის. სწორედ ამ წლებს შორისაა საძიებელი განსახილველი საბუთის გაცემის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი. რაც შეეხება მისი ტექსტის შეტანას „ბიჭვინთის იადგარის“ ძირითადი ტექსტის ამოიხე, ეს ფაქტი თვით „იადგარის“ შედგენის თანადროულია, ვინაიდან ის დაწერილია „იადგარის“ ტექსტის ხელით.

ბ) ლევან II დადიანის შეწირულობის და კათოლიკოს ეფთვიმე საყვარელიძის ქრთამის გამოღების წიგნი დაწერილია „ბიჭვინთის იადგარის“ ერთ-ერთ თავისუფალ გვერდზე. შეწირულობა გაცემულია ლევან II დადიანის მცირეწლოვანების პერიოდში, როდესაც მისი რეგენტი იყო ბიძა, გიორგი ლიპარტიანი. ამის შესახებ საბუთში ნათქვამია: „ჩვენ დადიანმან ბატონმა ლეონ და ტკბილის მამისა სანაცვლომან, ბატონმა ბიძამ ჩვენმან, ბატონმა გიორგი ლიპარტიანმან გკადრეთ და შემოგწირეთ შენ, საშინელსა... ბიჭვინთისა ღეთისმშობელსა“ [24, 187-188].

საბუთს იქვე განმარტებას ურთავს ბიჭვინთის კათოლიკოსი, ეფთვიმე საყვარელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ „ჭალა მონასტერი და რაც მამული შესწირა დადიანმან ლეონ და ლიპარტიანმან გიორგი ბიჭვინთისა ღეთისმშობელსა, ჩვენ მისდა ქრთამად გამოვიღეთ (და) მივეცით მანუჩარ დადიანსა თორმეტ ტყუშთ დაფასებული კარავი, ერთი ბედაური ცხენი და ერთი ბედაური ჯორი. მანუჩარ დადიანი მიიცვალა, მას უკან მის შვილს ლეონ დადიანს[ს] მივეც ერთი გაუკუშთელი სარასანი და ერთი ყირმიზი იაზდური ზაუედი“. ამის შემდეგ ჩამოთვლილია თუ რა საჩუქრები მიართვა გიორგი ლიპარტიანს და მთავრის სხვა მოხელეებს [24, 187].

ს. კაკაბაძე ლევან II დადიანის სიგელს მთავრის მცირეწლოვანების ხანით, 1611-1617 წლებით ათარიღებს [24, 187]. ი. დოლიძემ ეფთვიმე საყვარელიძის განმარტებითი ხასიათის მინაწერი ცალკე საბუთად გამოაქვეყნა და 1611-1616 წლებით ანუ ლევან II დადიანის და ეფთვიმე საყვარელიძის სამთავრო და

საკათოლიკოსო ტახტებზე სინქრონულად ყოფნის პერიოდით დაათარიღა [65:394].

ტექსტის ასე გახლეჩა გაუმართლებელია. „იადგარში“ ის წარმოდგენილია როგორც მთლიანი საბუთი. შესაძლებელია საბუთის მეტი სიზუსტით დათარიღება. როგორც კათოლიკოსი ეფთვიმე უთითებს, ბიჭვინტის საყდრისადმი მონასტრისა და ყმაგლეხების შეწირვას ჯერ კიდევ მანუჩარ დადიანი აპირებდა, სამამისო ძღვენი („ქრთამი“) მას მიუღია კიდევ კათოლიკოსისაგან, მაგრამ უეცარი გარდაცვალების გამო ეს საქმე განუხორციელებელი დარჩა ანუ შეწირულობის დოკუმენტი არ შედგენილა. მანუჩარ დადიანი ნადირობის დროს დაშავდა და გარდაიცვალა 1611 წ. იმავე წელს მთავრის ტახტი დაიკავა მისმა ძემ, ლევან II-მ [1, 40]. როგორც ეფთვიმე კათოლიკოსი იუწყება, მანუჩარის სიცოცხლის ბოლო ხანებში დაწვებული სამუზადისი შეწირულობის დოკუმენტურად გაფორმებისა ლევან II-ის ტახტზე ასვლის შემდგომ დასრულებულა. მანუჩარის გარდაცვალებასა და ლევან II-ის მიერ საბუთის გაცემას შორის დროის მოკლე მონაკვეთი უნდა ეიგულისხმოდ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლევან II დადიანის შეწირულობის წიგნი ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი გაცემული ჩანს 1611/1612 წ.წ. აღნიშნული სიგელი „იადგარის“ თავისუფალ გვერდზე გადმოწერა ეფთვიმე საყვარელიძემ და იქვე დაურთო ცნობები აღნიშნულ შეწირულობასთან დაკავშირებით მის მიერ ძღვენის გაღების შესახებ. აქედან გამომდინარე, „ბიჭვინტის იადგარის“ თავისუფალ გვერდზე აღნიშნული დოკუმენტი დაიწერა არაუადრეს 1611/12 წლისა და არაუგვიანეს თვით კათოლიკოსის გარდაცვალებისა ე.ი. 1616 წლისა.

გ) „ბიჭვინთის იადგარის“ ძირითადი ტექსტისაგან თავისუფალ გვერდზე მიწერილია ტექსტი, რომელიც ბიჭვინთის კათოლიკოსების, ევდემონ ჩხეტიძის და ეფთვიმე საყვარელიძის ანგარიშგებას წარმოადგენს.

ს. კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ ორივე კათოლიკოსის ანგარიშგება იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია „იადგარის“ ძირითადი ტექსტის თავისუფალ გვერდზე, წარმოადგენს ერთიან საბუთს, გაერთიანებულს ეფთვიმე საყვარელიძის მოღვაწეობის ხანაში [* , 76-77]. ი. დოლიძე მას ორ, დამოუკიდებელ დოკუმენტად მიიჩნევს [65, 386-387].

ეფთქრობთ, მისაღებია ს. კაკაბაძის თვალსაზრისი. ამას ჩვენი დაკვირვებით, ადასტურებს ის გარემოება, რომ ორივე კათოლიკოსის ნაღვაწ-ნაამაგარის აღმწუსხველი ტექსტი ერთი ხელითაა დაწერილი.

ამ ერთიანი საბუთის შექმნის ისტორია ასე წარმოგვიდგება: ევდემონ ჩხეტიძის ცალკე არსებული ანგარიშგება, რომლის შედგენა მისი მოღვაწეობის

ბოლო წლებშია საგარაუდებელი, გადმოწერილ იქნა „იადგარის“ თავისუფალი გვერდზე და იქვე ეფთვიმე საყვარელიძემ დაურთო თავისი ანგარიშიც. ასე შეიქმნა ორი კათოლიკოსის ანგარიშგების ერთიანი ტექსტი.

როდის გაჩნდა „იადგარის“ ძირითადი ტექსტის თავისუფალ გვერდზე ეს ერთიანი საბუთი?

ს. კაკაბაძე ვარაუდობს, რომ აღნიშნული საბუთი დაწერილია 1600 წლის ახლო ხანებში [24, 186], რასაც იზიარებს ი. დოლიძე [65, 386].

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ეს საბუთი წარმოადგენს ანგარიშგებას. ამგვარი შინაარსის საბუთები, როგორც წესი, იწერებოდა ავტორის მოღვაწეობის დაწყებიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ, როგორც თავისი ნაღვაწ-ნაამაგარის ერთგვარი შეჯამება [11, 6-13]. ამიტომ განსახილველი საბუთის შედგენა ეფთვიმის კათოლიკოსობის ბოლო პერიოდს უნდა მიეკუთვნოს. „ბიჭვინტის იადგარის“ ეტრატზე კი აღნიშნული ანგარიშგება დაიწერა არაუადრეს 1604/08 წლისა და არაუგვიანეს ეფთვიმე საყვარელიძის გარდაცვალებისა ე.ი, 1616 წლისა.

დ) მაღაქია კათოლიკოსის ანგარიშგებას ს. კაკაბაძე 1627-1639 წლებით ათარიღებს [24, 189-192; 65, 498-503]. რასაც იზიარებს მ. ბერძინიშვილი [11, 8]. ი. დოლიძე დოკუმენტს მაღაქია II-ის ზეობით ანუ 1616-1639 წლებით ათარიღებს [65, 498].

ს. კაკაბაძე საბუთის შედგენის ქვედა ქრონოლოგიური ზღვრის დადგენისას ამოდიოდა იქიდან, რომ მასში მაღაქია კათოლიკოსი გურიელად იხსენიება, რაც მისი აზრით, ნიშნავს იმას, რომ მაღაქიას კათოლიკოსობასთან ერთად გურიის მთავრის ხელისუფლებაც პქონდა. ზოლო ის გურიის მთავრად დაჯდა „მას შემდეგ, — აღნიშნავს მკელეკარი, — რაც სვიმონ გურიელი ლევან II დადინამა შეიპყრო და თფალები დათხარა, რაც მოხდა მას შემდეგ, რაც სვიმონმა მოკლა მამა გიორგი გურიელი 1625 წ.“ [24, 189].

სვიმონ გურიელის შემდეგ მაღაქია კათოლიკოსი გახდა თუ არა გურიის მთავარიც, ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და, ამდენად საკამათო საკითხი სხვა მოსაზრების არგუმენტად ნაკლებად გამოდგება. მაგრამ ეს საკითხი სადავოც რომ არ იყოს, საბუთის დათარიღება შესაძლებელია სხვა გზითაც. საქმე ისაა, რომ განსახილველ დოკუმენტში, სხვათა შორის, საუბარია ისეთ ფაქტზე, რომლის ზუსტი თარიღი ცნობილია. სახელდობრ, მაღაქია კათოლიკოსი იუწყება: „ეკს ორი კუამლი კაცი საკანონო[შ]იან ჭილაძესა ლომკაცს დვადებინეთ და შეაწირვინეთ“ [*, 81]. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ლომკაც ჭილაძის შეწირულობის წიგნი ბიჭვინთის

ღეთისმშობლისადმი, სადაც ნათქვამია: „ჩვენ, ჭილაქემან ბატონმან ლომკაც და თანამეცხედრემან ჩუენმან, ჩხეტიძის ქალმან, ბატონმა ასტანდარ მოგახსენეთ და შემოგწირეთ და დაედევით საკანონოდ ეკს ორი კუამლი კაცი ზღმეუალად იოფანე გუნია, მეორე მოსახლე თვალთვალეი გუნია... მას ჟამსა, ოდეს შგგვემთხუა უმსგავსო ცოდვა და მობრძანდა ბატონი კ-ზი, გურიელის ძე ბატონი მალაქია, ეს ორი კვა[შ]ლი კაცი გუნიები დაუდევით... და შემოგვიწირაეს“ [26, 47-48].

ამჟამად, რომ კათოლიკოს მალაქია II-ისა და ლომკაც ჭილაძის მიერ გაცემულ საბუთებში საუბარია ერთსა და იმავე ფაქტზე. ასე რომ, აღნიშნული კათოლიკოსი ამ ფაქტის შესახებ ცნობას თავის შწერიულობის წიგნში 1629 წლამდე ვერ შეიტანდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კათოლიკოს მალაქია გურიელის განსახილველი დოკუმენტის გაცემის უკიდურესი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია 1629 წელი. რაც შეეხება ზედა ზღვარს, ს. კაკაბაძის მიერ მოცემული თარიღი — 1639 წელი უცვლელი რჩება.

XII. „ბიჭვინტის იადგარი“ და XVI ს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. განუზომელია „იადგარის“ და მისი მინაწერი საბუთების მნიშვნელობა XVI-XVIII სს. საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეში. ამ თვალსაზრისით მან დიდი სამსახური გაუწია მეცნიერებას და გაუწევს მომავალშიც. ამჯერად შევეჩებით „იადგარის“ რამდენიმე ცნობას, რომელთაც გარკვეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის წარსულის ამა თუ იმ საკითხის შესწავლაში.

1) „პალატ კურატი“. „იადგარის“ ეტრატის გრაგნილის verso-ს ქვედა კიდეზე ტექსტისადმი პირმეცვეით მხედრულად წერია: „ქ. ეს დაუთარი დიდი ბ.../ პალატ კურატის შწირი...“ (იხ. სურ. №22). ტექსტის მრავალწერტილით აღნიშნული გრაფემები ეტრატის მოხეულ ნაწილს გადაჰყოლია. დაკარგული სევმენტის აღდგენისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე გარემოება: პირველი, მოტანილი ტექსტი საბუთის სათაურია; მეორე, დოკუმენტზე, როგორც წესი, სათაური იწერებოდა იმისათვის, რომ გრაგნილის გაუმჯობესად გაგოთ, თუ რა საბუთი იყო დახვეული [11, 49]; მესამე, სათაურში, თავის მხრივ, მოცემული იყო საბუთის რაობა, გამცემის ვინაობა, ზოგჯერ სხვა დეტალებიც. ერთი სიტყვით, სათაური მოკლედ ასახავდა საბუთის შინაარსს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აღნიშნული სათაურის პირველი სიტყვიდან შემორჩენილი დასაწყისი ასონიშანი „ბ“ ნაშთია საკუთარი სახელისა „ბაგრატი“.

(„იადგარის“ ერთიანი ტექსტის მიხედვით საბუთის გამცემი ხომ იმერეთის მეფე ბაგრატ მესამეა).

მეორე სტრიქონის ნაკლული სიტყვა შეიძლება ასე აღდგეს: „შეწირ[ულაი]“ ან „შეწირ[ულობის არის]“. მთლიანად სათაური აღდგენის შემდეგ ასეთ სახეს მიიღებს: „ქ(ისტე). ეს დაეთარი დიდი ბ[აგრატ] პალატ კურატის შეწირ[ულაი]“ (ან „შეწირ[ულობის არის]“).

ყურადღებას იქცევს სათაურის გაუგებარი ფრაზა: „პალატ კურატი“. ცხადია ერთი რამ: ის მიემართება „დიდ ბაგრატს“, საბუთის გამცემს. ამ დროს ბუნებრივად გვახსენდება ის ფაქტი, რომ იმერეთის მეფეს, ბაგრატ III-ს პქონდა ზედწოდება „კურაპალატი“. ის ამ ზედწოდებით იხსენიება „ნიკორწმინდის დაწერილის“ მინაწერ საბუთში (1548წ.), კაცხის მონასტრის სიგელში, ერთი სატყერის წარწერასა და მონეტებზე [იხ. 71, 477]. განსახილველია სიტყვა, ვფიქრობ, ბაგრატ III-ის აღნიშნული ტიტულის — „კურაპალატის“ — დამახინჯებული ფორმაა, სადაც სიტყვის სვემენტები წინაუქმოა განლაგებული. თუ მათ ადგილებს შეეუცვლით, მივიღებთ აღნიშნული ზედწოდების (კურაპალატის) იმ ფორმას — „კურატპალატი“ — რომელიც XVII ს. ხელნაწერებში (სახელდობრ, „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხა) დასტურდება.

შემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ წყაროთა ჩვენებას, რომელთა თანახმად იმერეთის მეფე ბაგრატ III „კურაპალატად“ იწოდებოდა. აღნიშნული სათაური დაწერილია „იადგარის“ შედგენის შემდეგ ე.ი. არაუადრეს XVII ს. დასაწყისისა. ამ დროისათვის ბიჭვინთის საკათოლიკოსოს არქივარიუსებთან ჯერ კიდევ იყო შემონახული ხსოვნა (თუმცა ბუნდოვანი) ამ მეფის ზედწოდების შესახებ.

2) ბიჭვინთის საკათოლიკოსოს რეზიდენციის გელათში გადმოტანის თარიღისათვის. აღნიშნული საკითხი საგანგებოდ შეისწავლა ბ. ლომინაძემ, რომელმაც იმერეთის მეფეების, ბაგრატ III-ისა და გიორგი II-ის 1545 წ. და 1569 წ. გაცემული სიგელების საფუძველზე დაასკვნა, რომ საკათოლიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოტანილი იქნა 1545-1569 წლებს შორის, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ გელათში დამკვიდრებული პირველი კათოლიკოსი იყო ედემონ ჩხეტიძე, რომელიც მამამთავრად 1557 წ. ეკურთხა, მკვლევარმა რეზიდენციის შეცვლის თარიღი 1557-1569 წლებით დააეიწროა [38, 177-186]. აღსანიშნავია, რომ ბ. ლომინაძე შესაძლებლად მიიჩნევდა აღნიშნული თარიღის კიდევ უფრო დაეიწროებას, თუკი „ბიჭვინთის იადგარის“ ცნობა ბაგრატ III-ის მიერ გელათის წმ. გიორგის ეკლესიის საკათოლი-

კოსოსათვის გადაცემის შესახებ სწორი აღმოჩნდებოდა [38, 182]. მას შემდეგ, რაც აღნიშნული ცნობის სანდოობა საეცებით ნათელი გახდა, მეტი დამაჯერებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გელათის წმ. გიორგის ეკლესია დასაუღლეთ საქართველოს კათოლიკოსის რეზიდენცია გახდა ბაგრატ III-ის მეფობისა და ედემონ ჩხეტიძის პატრიარქობის პერიოდში, 1557-1565 წლებს შორის.

3) „კაფა და რუსეთის სამზღუარი“. „იადგარის“ ცნობით ბიჭვინთის კათოლიკოსის განსაგებელია „სამწყსო ღიხსა და კაფას შუა და რუსეთის სამზღუარსა და ჭანეთს შუა“ [* , 69]. თუ ღიხი და ჭანეთი ბიჭვინთის საკათოლიკოსოს ტრადიციული საზღვარია აღმოსავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით, კაფა და რუსეთი საკათოლიკოსოს ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილოეთი მიჯნაა. კაფა კონკრეტული პუნქტია ყირიმის ნახევარკუნძულის სანაპიროზე, ფეოდოსიის ყურეში გენუელების მიერ 1270-1275 წლებში დაარსებული კოლონია და საეპრო ცენტრი. ეს იყო ბიჭვინთის კათოლიკოსის სამწყსოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთო ზღვარი შავი ზღვის სანაპიროზე. „რუსეთის სამზღუარი“ კი ვრცელი ტერიტორიის მიჯნას გულისხმობდა. „ბიჭვინთის იადგარში“ ასახული ეპოქისათვის (XVI ს. და XVII ს. დასაწყისი), უფრო ზუსტად, XVI ს. მეორე ნახევრის მანძილზე რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთი საზღვარი აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის მოქცეულ ჩრდ. კავკასიის ევლებს მოუახლოვდა. ამდენად „იადგარის“ შემდგენელი ბიჭვინთის კათოლიკოსის სამწყსოს საზღვრებში მოიაზრებს ზღვისპირეთს ყირიმის ნახევარკუნძულამდე და ჩრდ. კავკასიის ვრცელ ტერიტორიას რუსეთის საზღვრამდე. აშკარაა, რომ „იადგარის“ ცნობით მოხაზული ბიჭვინთის საკათოლიკოსოს საზღვრები დიდად სცილდება იმდროინდელი საქართველოს (რესპ. ოდიშ-აფხაზეთის) პოლიტიკურ საზღვრებს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით აღსანიშნავია, რომ XV ს. 70-იან წლებში შედგენილ „მცნებაჲ სასჯულოს“ მიხედვით ბიჭვინთის საკათოლიკოსოს იურისდიქციაში მოქცეულია „ღიხთამერი, ოდიში, გურია და აფხაზეთი“ [65,] ანუ საკათოლიკოსოს საზღვარი არ სცილდება აფხაზეთს.

მაშ, რა ახსნა უნდა მოეძებნოს „იადგარის“ განსახილველ ცნობას ბიჭვინთის საკათოლიკოსოს საზღვრების შესახებ? ამის ახსნა, ვფიქრობთ, ბიჭვინთის საკათოლიკოსოს მისიონერულ ფუნქციაში დევს. ცნობილია, რომ ბიჭვინთის (აფხაზეთა) საკათოლიკოსომ დაარსების (X ს.) დროიდან ქრისტიანობის გამავრცელებლისა და განმამტკიცებლის მისია იტვირთა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა — ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. ეს მისია ბიჭვინთის საკათოლი-

კოსოს გაუქმებული ნიკოფსიძის საარქივებისკოპოსგან შემკვიდრებით ერგო. აღნიშნულ ტერიტორიაზე ბიჭვინთის საკათოლიკოსოს მისიონერული მოღვაწეობა XIV ს. მიწურულიდან მნიშვნელოვნად შეიზღუდა, XV ს. შუა ხანებიდან თითქმის შეწყდა — თვით მეტროპოლია (ბიჭვინთა) აღმოჩნდა საფრთხის ქვეშ და კათოლიკოსის რეზიდენცია ქვეყნის სიღრმეში (ზობი, გელათი) გადმოაქვთ, ხოლო XVI ს. მეორე ნახევრისათვის კარგა ხნის შეწყვეტილი იყო. მიუხედავად ამისა, ბიჭვინთის საკათოლიკოსოს ძნელბედობის პირობებშიც არ აუღია ხელი აღნიშნულ მისიაზე, რასაც თვალნათლივ მოწმობს „იადგარის“ აღნიშნული ცნობა.

පිටිපිටි

„ბიჭვინთის იადგარისა“ და მისი მინაწერი საბუთების ტექსტების წინამდებარე პუბლიკაციის საფუძველად აღებულია ძველის დედანი, ეტრატის გრაგნილი (სცსა, ფ. 1448 №5033). დღეისთვის მოღწეული ორივე პირი (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-2218 და S-3677) დედნის იდენტურნი არიან და განსხვავებულ წაკითხვებს არ იძლევიან.

ტექსტის სქოლიოებში მოცემულია ს. კაკაბაძის და ი. დოლიძის მიერ განხორციელებული გამოცემების კითხვა-სხვაობები. რაც შეეხება ა. ხახანაშვილის პუბლიკაციას, ის იმდენად დახუნძლულია ხელნაწერის არაადექვატური მცდარი წაკითხვებით, რომ კითხვა-სხვაობებში მათმა ასახვამ თითქმის მთელი ტექსტის გადმოღება მოითხოვა, რაც სქოლიოს ზედმეტად დატვირთვად და ტექსტის გამართვასაც ვერაფერს შემატებდა.

„ბიჭვინთის იადგარისა“ და იმ მინაწერი საბუთების ტექსტებს, რომლებიც ნუსხურიტაა დაწერილი, ერთი თავისებურება ახასიათებს: ანის (C) ნაცვლად ხშირად იოტა (d) იხმარება. ყველა ასეთ შემთხვევაში d (იოტა) ტექსტში ანით ჩაუნაცვლეთ ანუ წარმოადგინეთ ისე, როგორც ამ ასონიშნის გამოთქამდა მისი დამწერი და ასეთი ჩანაცვლება აღენიშნეთ ვარსკლავით.

ტექსტში გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

() ქარაგმის გახსნა;

{ } დამწერის მიერ უბლიედ გამოტოვებული და გამოცემაში აღდგენილი ადგილები;

(±) დაკლებულ სტრიქონთა მიახლოებითი რაოდენობა;

[±] დაკლებულ ასოთა მიახლოებული რაოდენობა;

< > ზედმეტი ადგილები;

I დედნისეული სტრიქონის გამოყოფა;

II დედნისეული კუფის გამოყოფა;

recto ხელნაწერის წინა მხარე;

verso ხელნაწერის ზურგი;

— ტექსტში არ არის;

] ტექსტის ეს ადგილი ხელნაწერში ან ამა თუ იმ გამოცემაში წარმოდგენილია შემდგენიერად;

ბ.ი. ბიჭვინთის იადგარი (ეტრატის ხელნაწერი);

კ. ტექსტი გამოსაცემად მომზადებული ს. კაკაბაძის მიერ;

დ. ტექსტი გამოსაცემად მომზადებული ი. დოლიძის მიერ.

დედანი: სტა ფ. 1448N5033, ეტრავი: გრაგნილი; 222×18; ნუსხური; 207 სტრიქონი; 5 კუფი; კუფები ერთმანეთზე გადაკრებულია ძაფებით ტექსტი განთავსებულია I-IV კუფებზე; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, სამწერტილი, წერტილ-მძიმე [სურ. 1].

გამოცემები: 1) ა. ხაზანაშვილი, 1891, გვ. 124-153 (ხ); 2) ს. კაკაბაძე, 1925, გვ. 180-185 (კ); 3) ი. დოლიძე, 1965, გვ. 176-183 (დ).

დათარიღება სხვა გამოცემებში: 1) XVI-XVII სს (ხ); 2) 1578-1600 (კ); 3) 1525-1550 (დ).

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: იხ. აქვე, §V

ეპა, ასულო შეუენ(ი)ერო, იოგაკ(ი)მის ნ(ა)ყოფო, სიტკიოებითა აღსაესეო, ¹ აჟო ანნას მორჩო, რტყოკ გ(ა)რდაფენილო, სოლომონის ვენ(ა)ხო, ჳ(ა)ქაო მქაშაჟლო, დ(ა)ეითის ყუაეილო, დაბადებ(უ)ლოთ სურნელყოფ(ე)ლო, იესეს კუერთხო, დიდებითა აღყუ(ა)ვებ(უ)ლო, იუდას შროშანო, ყ(ოველ)თა დ(ა)ბ(ა)დებულთა ს(ა)მქაჟლო, ი(ა)კობის კიბეო ზ(ე)ცად მიმ(ა)რთ აღმართებ(უ)ლო, ის(ა)კის ვარდო უბიწოებით აღყუ(ა)ვებ(უ)ლო, აბრაჰ(ა)მის კვირტო დ(ი)დებით აღმოფრწენილო, სემის დასაბამო, ნ(ა)თეს(ა)ვთა შშე(ი)დობ(ა)ო, ნოეს ს(უ)ლისა ⁵ ს(ა)მოს(ე)ლო და ულპოლველო ევას ნ(ა)თ(ე)ლო და მწუხ(ა)რებისა უჩინო მყოფ(ე)ლო, ადამის დ(ი)დებაო, ს(ა)მოთხო, პირმ(ე)ტყველი ღ(მერთის)ა მ(ამისა) მხოლო(ი)სა წინაშე გ(ა)მორჩეული და ძისა მხ(ო)ლო(ი)სა პ(ირვე)ლ ს(ა)უ(ე)ნეთა მამის(ა)გან შობილისა დედად ქ(ა)ლწ(უ)ლობით უთესლოდ მშობ(ე)ლ(ა)დ გ(ა)ნწესებ(უ)ლო და ს(უ)ლისა წ(მიდ)ისა ტაძარო, სამ(ე)ბისა წ(მიდ)ისა ცნობისა მომ(ა)ტყუებ(ე)ლო, რ(ომელ)მან ერთისა ს(ა)მ(ე)ბის(ა)განი შეიწყნ(ა)რე და უადრეს ყ(ოველ)თა ბ(უ)ნებ(ა)თა პშ(ე)ცე, მხ(ო)ლოდ შობილი, ¹⁰ ულმობ(ე)ლად და უხრწნ(ე)ლ(ა)დ.

შ(ე)ნ გ(ა)რდამოიყუ(ან)ე ქ(უ)ეყ(ა)ნად ღ(მერთი) და აღიყუ(ა)ნე ადამ ზ(ე)ც(ა)დ, შენ ღამ(ა)დღე ბ(უ)ნებადესე დაცემ(უ)ლი და დასუ საყდ(ა)რთა ღ(მრ)თ(ა)ეების(ა)თა, რ(ა)ყ(ა)მს ჟ(ა)სხენ ღ(მერთს)ა ბ(უ)ნ(ე)ბად ადამისი და შვე ღ(მერთი) და კ(ა)ცი ორითა ბ(უ)ნ(ე)ბითა; ამისთვისა მიიღო რ(ომლ)ისა იგი მიღებად გული უთქმიდა ადამს.

შ(ე)ნ მშვიდ(ო)ბ(ა)ი პეჟე შ(ორი)ს ქ(უ)ეყ(ან)ისა და ცათა, სისხლითა ¹⁵ ძისა შ(ე)ნ(ი)სათა.

შენ დაქსენ მტერობ(ა)ი იგი პ(ირვე)ლი, რომელი იყო შ(ორი)ს ანგ(ე)ლოზთა და კ(ა)ცათა, რ(ა)ყ(ა)მს იქმენ ცაი ქ(უ)ეყ(ან)ასა ზ(ე)და და მიწისა ზ(ე)ცათა შ(ინ)ა.

¹⁵ უთქმიდა ულქმიდა კ. უთქუმიდა დ.

შენ, ღრუბ(ე)ლო ნ(ა)თლის(ა)ო, რ(ომელმან) ცუ(ა)რი სიზ(ა)რ(უ)ლისა და ცუ(ა)რი ცხ(ო)ერებისა და ცუ(ა)რი სიტკბ(ო)ებისა აცურე და ადაქსე ქ(უე)ყ(ანა)ი ურწყ(უ)ლი ნ(ა)ყოფითა მრ(ა)ე(ა)ლფერთა, რ(ომლ)ის(ა)გან განუძღომ(ე)ლ(ა)დ სურის ყ(ოველ)თა დაბადებ(უ)ლთა მიღებ(ა)დ ტკბ(ი)ლთა მ(ა)თ ნ(ა)ყოფთა ღ(მრთ)ის მეცნიერების(ა)თამი. 20

შ(ენ) ხ(ა)რ წ(მიდ)ამ ს(უ)ლისა ბრწყინე(ა)ლებისა, რ(ომე)ლსა ზ(ედ)ა გ(ა)მობრწყინდა ვარსკულავი ი(ა)კ(ო)ბისი და სიბნელე ღამისა მის უმეცრებისა დაპხსნა და ნ(ა)თელი ღ(იდ)ებისა მისისა გუახილვამ, შ(ორი)ს ალაგთა და ეზოთა უკ(ან)ს(ა)სენელთა.

შ(ენ, ს(ა)ყდარო ც(ე)ცხლისი ფერო, ქ(უე)ყნით მ(ა)ღ(ა)ლთა შ(ინ)ა და ქ(უე)ყ(ანა)ი გ(ა)ნუცდ(ე)ლო მ(ა)ღლით ქ(უე)ყან(ა)სა ზ(ედ)ა.

შ(ენ)ი ვარსკულავო ვეასო, ს(უ)ლისა ცისა აღმობრწყინებ(უ)ლო და ეტლომ¹¹ 25 მეუფის(ა)ო, ნოეთსაგ(ან) მიწისა ბ(უ)ნ(ე)ბითა მოდგამობითა ბრწყინე(ა)ლედ შემეზადებ(უ)ლო.

შ(ენ) ხ(ა)რ ტ(ა)კუკი იგი დ(იდ)ებ(უ)ლი, რ(ომელმან) ღ(მრთისა)ი იგი მანანა დაიტიე და ყ(ოველ)ნი ხილულნი და უზ(ი)ლავნი სიტკბო(ე)ბითა აღ(ა)ესენ უფრ(ო)ის ბ(უ)ნ(ე)ბათა მხედ(ვე)ლთა.

შ(ენ) ხ(ა)რ ს(ა)ს(ა)ნთლე იგი იოქროსა, რ(ომე)ლსა ზ(ედ)ა ეიხილეთ ნათ(ელი) იგი და(უ)სრულ(ებ)ელი, რ(ომელი) გან(ა)მ(ა)რთლებს ყ(ოველ)თა კ(ა)ცთა, მომ(ა)ე(ა)ლთა ს(ო)ფლად და თუთ იგი მხ(ო)ლო კგიეს მოუკლებ(ე)ლად და შეუცვ(ა)ლ(ებ)ელიად ტ(ა)ძ(ა)რისა მ(ა)გ(ა)ს 30 სიწ(მი)დის(ა)სა, რ(ომელი) პ(ირველ)ადე შეგზადა სოლომონ დამტევ(ე)ლი დაუტევ(ე)ლისა არსთა შობადისა სიტყვისა ღ(მრთისა)ი და ძუელ ოდესმე მოსესაგ(ან) მოგასწ(ა)ე კარე(ა)დი ს(ა)მეუფოდ.

ყ(ოვლ)ად წ(მიდა)ო, ცათა დაუტევ(ე)ლისა დამტევ(ე)ლო, ბიჭუნტისა ღ(მრთ)ისმშობელო, კ(ა)ცობრეცა ვინაცა სიღრმისგ(ან) სიმდ(ა)ბლისა ვიჯერჩინებუ აღმოთქუმ(ა)დ რასამე ძალისაებრსა უფრ(ო)ის ღუმ(ი)ლისა, რ(ომელი) ხ(ა)რ სკიპ[ტ]რა-გვრგუნი მეფეთა დ(იდ)ებ(ა)ი, პორფირთა შზებელი, 35 სუჴ ინდალმთა, დაცემ(უ)ლთა აღმ(ა)მ(ა)რთებელი და ღალთა დამამხოზბელი, მცველი ურულო შ(ე)ნდამი მ(სა)სოებელთა.

მე, მოწყინელთა მ(ა)თ ცვა-ფარეა-შეწვენა-წ(ა)რმ(ა)რთ(ებ)ათ თქ(უე)ნთა მ(იე)რ, სკიპტრა-პორფირისა და გვკრგუნისა მპყრობელმ(ან) აფხ(ა)ზთა და ქ(ა)რთველთა მეფობის(ა)მ(ან), რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა, შანშე და შარეშთა და ყ(ოვლ)ისა აღმოს(ა)ელეთისა და ჩრდილოეთისა ორისავე ტახტისა 40

და ს(ა)მეფოსა ჩ(უე)ნისა შეწენითა თქ(უე)ნითა მკიცედ-ფლობით
მპყრობ(ელ)მ(ან), მეფეთა მეფემ(ან), მეფემ(ან) დიდმ(ან) ბაგრატ, რა(თა)მცა
ღირსი და ს(ა)მ(ა)რთალი მს(ა)ხ(უ)რ(ე)ბ(ა)ი აჟ(ა)ვით აურაცხელისა
წყ(ა)ლობისა თქ(უე)ნისა ჩ(უე)ნდამო, რ(ომლ)ისა სიმრ(ა)ელე უფრ(ო)ის
სიმრ(ა)ელესა გარსკულ(ა)ეთ(ა)სა და სიფრცესა ზღ(უ)ა*თ(ა)სა;

გარნა, ზღვისგ(ან) მკადრე წუშთსა| უნდოსა ამ(ა)ს და მცირესა ძღუშნსა, 45
გ(ულ)ს-მოდგინებით შეესწირ(ა)ეთი და სიღრმით ს(უ)ლისათ ეხმობო,
დ(ედო)ფ(ა)ლო, ნუ საზომისად, ა(რამე)დ ჭე(თარ)ცა მცირისგ(ან) დიდი
აბრაჰამისგ(ან) ისაკი, ვინ(ა)თგან გ(ა)ნგ(ე)ბ(ა)ი შეუცვალებლობითა ძისა|
შ(ე)ნისათა არს(ე)ბად მოსრ(უ)ლი კ(ეალა)დ ქ(ეე)ვ(ა)დ არს და
გ(ა)ნმრ(ა)ელებ(ა)ცა მოკლ(ე)ბა*ღი შეუთქს, ამის დანარსისა წესისგ(ან) და არს
საჯერო ყოფად ვიზინეთ წ(მიდ)ისა ტაძრისა თქ(უე)ნისა და სამეკლრებ(ე)ლისა 50
და საქვალისა ჩ(უე)ნისა, დიდისა და ცათა მობ(ა)მ(ა)ეისა ზესთა არსისა
ს(ა)ყდრისა დიდისა ემბ(ა)ზისა ბიჭუნტისა მცირისა |და კინისა შეწირაობ.

მ ყ(ოფლა)დ წ(მიდ)აო და თ(ვა)ლებისაგანცა ანგ(ელო)ზთასა მიხედვად
შესაძრწუნ(ე)ბ(ე)ლო და მიურულებ(ე)ლოი მცველ-მფ(ა)რე(ე)ლო,
წ(ა)რმმ(ა)რთ(ე)ბ(ე)ლო მეფობისა ჩ(უე)ნისაო |ბიჭუნტისა ღ(მრთ)იხშმ(ო)ბ(ე)ლო.

გკადრეთ და დაედევით და მოგ(ა)ხს(ე)ნეთ ესე ს(ა)კრძალავი და 55
შეს(ა)რწუნ(ე)ბ(ე)ლი იადგარი, ვითა საშ(ინ)ელსა და ცათა მობ(ა)ძესა| დიდსა
საყდ(არ)სა ბიჭუნტისასა გეკადრებოდა.

ვითა არაჲინ ღირს (ა)რს თქ(უე)ნისა ს(ა)ყდრისა მ(ა)მ(უ)ლთა, ძმათა,
დეკანოზთა და მეტრაპეზეთა, კანდელაკთა, ჯ(უარ)ის-მტკერთეულთა და სხუათა
ს(ა)ყდრის-შვილთა და შემოსამზღუროთ თქ(უე)ნთა მ(ა)მ(უ)ლთა და სოფ(ე)ლთა,
გლეზთა და ქ(ა)ლ(ა)ქთა შიგან შემოწირულთა არა ჯელი შევიდოდე, არცა-რა 60
ეთხოვ(ე)ბ(ო)დეს, არცა ბაჟი და არცა-რა გ(ა)მოსალები არა|ს შეცოდებისთ(ე)ის
არა გ(ა)რდაჯებდუოდეს, კიდევან კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზისა.

ესე რაცა გკებრძანებია როგორაცა, არაჲინ ღირს ვართ ამ(ა)თსა
შეცვალებასა: არცა მეფენი, არცა დადიან-გურიელი, არცა ათაბაგ-
ამი(რ)სპასა|ლარი, არცა ერისთ(ა)ენი და დ(იდ)ებ(უ)ლნი, არცა თ(ა)ე(ა)დნი
და აზნ(აუ)რნი და არცა| გლეზნი. 65

და აწ ამ(ა)ს მოგახს(ე)ნ(ე)ბთ ყოველთავე დიდთა და მცირეთა: ნუმცა
ვისგ(ან) კადრებულა დიდისა და ზესთა აღმ(ა)ტებ(უ)ლისა ს(ა)ყდრისა
ბიჭუნტისა ძმათა და ს(ა)ყდრის-შვილთა, წინამძღუ(ა)რ-დეკ(ან)ო(ზ)თა,
კ(ა)ნდელ(ა)კ-ჯ(უარ)ისმტკერთეულთა, მეტრაპეზ(ე)თა, ომფორის მოლარეთა

და სხ(უ)ათა ს(ა)ყდრის-შვილთა, მ(ა)მას(ა)ხლისთა, მეისტუმრეთა და ჳევისთათა, ნაცვალ-ხე(ლ)ისუფ(ა)ლთა და სხ(უ)ათა მოხელეთა [მტერობაი შეცოდებაი]. 70

აგრევე გაადრეთ ჩუენ, მეფემან მეფეთამ(ა)ნ, მეფე(მა)ნ დიდმან ბაგრატ თქუენ, საშინელსა საყდარსა ბიჭუნტისა ღ(მრთ)ისმშობლის(ა)სა, გაადრეთ და შემოგწირეთ მცირე ესე და კინიი შესაწირავი, საძვალე ჩუენი სახსრად სულისა ჩუენისა| დღესა მას განკითხესასა:

გელათს ს(ა)ყდ(ა)რი სადედოფლო წ(მიდ)ის გ(იორგ)ისი, ასის კუამლის კ(ა)ციითა; რაჭას ს(ო)ფ(ე)ლი ბარი, ს(ა)ს(ა)ხლე და მონ(ა)სტერი, ერთის აზნ(აუ)რის-შვილითა ჩიკუ(ა)ტიძითა და ოცდაათით კუამლის კ(ა)ციითა, ტყითა, 75 ველითა, მთითა, წყლითა, საძებ(ა)რითა და უძებ(ა)რითა; აგრევე მონ(ა)სტ(ერ)ი ციხისა. ლეჩხუმს საჩხეური, წუგანა, კუშმლვეი ოცდახუთის კუამლის კ(ა)ციითა; ოფჩას ბურიჯანაძენი რვა კუ(ა)მლი კაცი; ნაენ(ა)ჳევის სასახლე ოცდაათით კუამლის კ(ა)ციითა [±25] ხრუღო სათეგხეთ; ჳიშურას გ(ა)მოღმა ჳილასთ(ა)ეი 80 ს(ო)ფ(ე)ლი; ქუთათის[ს] სოფია წ(მიდ)ის ს(ა)ყდ(ა)რი| ექუსის კუ(ა)მლის კ(ა)ციითა; ჳიმასტაროს ს(ა)ს(ა)ხლე თორმ(ე)ტის კუამლის კ(ა)ციითა| ედემონ კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზისა ნასყიდი და ბიჭუნტისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბლისა შწწ(ი)რ(უ)ლი.

კ(უალა)დცა გაადრეთ და მოგ(ახ)ს(ე)ნეთ ჩ(უ)ენ, მეფეთ-მეფემან გ(იორგ)ი შ(ე)ენ, ს(ა)შინ(ე)ლსა ბიჭუნტისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბ(ე)ლსა, შემოგწირეთ ჩ(უ)ენი ნასისხ(ა)რი ხოშტიბელა ს(ა)ს(ა)ხლე თორმ(ე)ტის| კუამლის კ(ა)ციითა, ჩუენშს 85 ათი კუამლი კ(ა)ცი და მიეცით ლალიძეს გ(იორგ)ის და შჳექენით ს(ა)ყდრის შუ(ი)ლ(ა)დ და შემოგწირეთ შ(ე)ენ, ს(ა)შინ(ე)ლსა ბიჭუნტისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბ(ე)ლსა.

აგრევენ ჩ(უ)ენ, მეფეთ-მეფისა ძემ(ა)ნ თაიშურაზ შემოგწირეთ| ხონს და კუხს ოცი კუამლი კ(ა)ცი.

კ(უალა)დცა გაადრეთ და მოგახს(ე)ნეთ ჩ(უ)ენ დიდიანმ(ა)ნ პ(ა)ტრ(ო)ნმ(ა)ნ მამიამ(ა)ნ და ძემ(ა)ნ ჩ(უ)ენმ(ა)ნ პ(ა)ტრ(ო)ნმ(ა)ნ ლეონ დადიანმ(ა)ნ და ძესა 90 ჩ(უ)ენთა დადიანმ(ა)ნ პ(ა)ტრ(ო)ნმ(ა)ნ გ(იორგ)ი და დადიანმ(ა)ნ პ(ა)ტრ(ო)ნმ(ა)ნ მამია თქ(უ)ენ, ს(ა)შინ(ე)ლსა || ბიჭუნტისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბ(ე)ლსა: III

მანთხოჯის ს(ა)ს(ა)ხლე და მონასტერი ორმოცის კუამლის კ(ა)ციითა და ერთის აზნ(აუ)რის-შვილითა რატიანითა, წყლითა, ველითა, სანა|ღირითა, შეს(ა)ვლითა და გ(ა)მოსავლითა, საძებ(ა)რითა და უძებ(ა)რითა; ჳიქთუბანი მთ(ა)ე(ა)რ(ა)ნგ(ელო)ზის მონ(ა)სტ(ერ)ი თორმეტის კუ(ა)მლის კ(ა)ციითა; ეგრის პირს ნაჳანეო| სამოცის კუ(ა)მლის კ(ა)ციითა; ხოირს წ(მიდ)ის გ(იორგ)ის 95 ეკლესია ოცდახუთის კუ(ა)მლის კაციითა; წამხ(ა)რს გამკერვალია; სასახლე სუბეში; ს(ო)ფ(ე)ლი მუხ(უ)რიმ, აზნ(აუ)რის|შვილებითა, ოცდაათის კუამლის

71 [მტერობაი და შეცოდებაი] კ.დ. — ბ.ი.; 78 კუშმლვეი| კუებლვეი კ.დ.

კ(ა)ციტა; ტყაურუს მეთუეზე და მენუტეი შამიგია ჭუჭყურია და ღ(ა)თია; მარმარისკარს ეკიბტია და ჩხუნბურია; აგრევე აფხ(ა)ზეთს ბიჭუნტას გარეშო ს(ო)ფ(ე)ლი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთისხილე(ა)ნი. 100

აგრევენ გკ(ა)დრეთ და მოგახსენ(ე)თ ჩ(უ)ენ, გურიელმან ბ(ა)ტ(ონ)მ(ა)ნ როსტომ და ქემ(ა)ნ ჩ(უ)ენმ(ა)ნ, გურიელმ(ა)ნ ბ(ა)ტ(ონ)მ(ა)ნ გ(იორგ)ი თქ(უ)ენ, ს(ა)შინ(ე)ლსა| ბიჭუნტისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბელსა ზიბულა მონ(ა)სტ(ე)რი მთ(ა)ე(ა)რანგ(ელო)ზისა, ს(ა)ს(ა)ზლე ორმოცისა კუამლისი კ(ა)ციტა, ტყითა, წყლითა, ველითა, შეს(ა)ვლითა და გ(ა)მოს(ა)ვლითა, სამეზარითა და| უძებ(ა)რითა; და გურიას ოცის კუ(ა)მლის კ(ა)ციტა ოცხანა და ზენს ერთი კუ(ა)მლი კ(ა)ცი 105 სალუქაძე თემიროზაი.

ამას გ(ა)რეთ, სამეფოსა და სადადიანოსა და საგურეოსა შინა ვინცა ვინ თ(ა)ე(ა)დი კ(ა)ცი მოკ(უ)დებოდეს, თ(ა)ეი ნიშანი კ(ა)თ(ა)ლიკოზს მიეცემოდეს;| და ბ(ა)ტ(ონ)ების ეკლესია კ(ა)თ(ა)ლიკოზის ს(ა)კ(უ)რთხი არის, ს(ა)მწყოსი — ლიხს და კაფას შუა,| რუსეთის ს(ა)მზლუ(ა)რსა და ჭანეთს შუა.

და აწ ამას მოგაჭს(ე)ნებთ ყ(ოველ)თავე დიდითა და მცირეთა: ნუმცა ვისგან კადრებულ (ა)რს დიდისა და ზეშთა-აღმატებ(უ)ლისა საყდრისა ბიჭუნტისა 110 მშ(ა)თა და ს(ა)ყდრის-შვილთა, თემთა და ქ(უე)ყანათა და აგარათა მტერობ(ა)ი და| შეცოდებ(ა)ი.

1. და ვინცა ამა ს(ა)შ(ი)ნელსა ს(ა)ყდ(ა)რსა შესციოდოს და უე(ა)რყოს ღ(მერთ)ი და წარ(ი)წყმინდოს ს(უ)ელი თ(ეი)სი და გატეხოს და შიგნით ს(ა)ყდრიდამა რამე გაიტანოს, თუ ისი კ(ა)ცი მეფისა იყოს, სახასიო კ(ა)ცი და მ(ა)მ(უ)ლი, რასდენიცა გ(ა)ნაყოფი იყოს, მ(ა)თითა მამულითა საყდ(ა)რსა მიაბაროს. სხ(უ)ა*სა მეფის(ა)სა კერას ვიტყვით რას, ამისთ(ეი)ს, [რომ] საყდ(ა)რი 115 მ(ა)თი არის.

2. და თუ ღ(იდე)ბ(უ)ლთა, ანუ თ(ა)ე(ა)დისა, სანუ აზნ(აუ)რთა ყმ(ა)მან გატეხოს და მოიპაროს, წამოდგეს იმა მეკობრისა ბ(ა)ტონი თორმეტითა მისითა სწორითა კ(ა)ციტა და ოცდაოთხითა მისითა სწორითა| — ის მეკობრე. ექ(უ)სმ(ა)ნ აზნ(აუ)რმ(ა)ნ და თორმეტმ(ა)ნ გლეხმ(ა)ნ ნაბნითა ფიცოს, ექქსმ(ა)ნ აზნ(აუ)რმ(ა)ნ და თორმეტმან გლეხმან უნაბნოდ ფიცოს უცოდინელობ(ა)ი 120 მეკობრის ბ(ა)ტ(ო)ნისა. თუ ფიცოს, მეკობრისა ბ(ა)ტ(ო)ნსა არას ემართლების და გამტეხი მისითა მ(ა)მ(უ)ლითა და გ(ა)ნაყოფითა ს(ა)ყდ(ა)რსა მოაქცენოს. და თუ ვერ დაიფიცოს, რასაცა მ(ა)მ(უ)ლისა მქონ(ე)ბ(ე)ლი იყოს, იგი ს(ა)ყდ(ა)რსა მოახსენონ და მეკობრე და| მეკობრისა ბ(ა)ტ(ო)ნი ძელს მისცენ.

3. და თუ გ(ა)რეთ ზღუდეს შიგნით(ა)ნ რამე გაიტანოს, ს(ა)მისა თ(ა)ე(ა)დისა სისხლი, მისითა წინწასაძლუ(ა)ნითა, საუბ(ა)ტყოდ ს(ა)ყდ(ა)რსა |დაერვოს. 125

4. და თუ ზღუდეს გ(ა)რეთ ახლოსიტგ(ა)ნ ზარისა კმაი ისმოდეს, რაქმე წაიღოს, გინა პირუტყვ ანუ სხ(უ)აი რამე წაიღოს, ორისა თ(ა)ვ(ა)დისა სისხლი ს(ა)ყდ(ა)რისა დაეურვოს, მეკობრობით ქნას, გინა მძლ(ა)ვრობით ანუ ნატაცეობით.

5. და აწ ეინცა გინამ დიდებულმ(ა)ნ, ანუ თ(ა)ვ(ა)დმ(ა)ნ, ანუ აზნაურმ(ა)ნ კ(ა)თ(ა)ლიკოსსა ქაინოს ანუ საცემრ(ა)დ წაიზიდოს, ორმოცდაათი გლ(ე)ჩი ს(ა)ყდარსა დაეურვოს და კ(ა)თ(ა)ლიკოსსა ორი სისხლი დაეურვოს, დიდითა 130 შებუწითა.

6. ეინცა* რ(ომე)ლსა გინდა მმ(ა)თაგ(ა)ნსა სცეს, ანუ შ(ინ)ა ჩაუხდეს, ანუ კელთა შეიპყრას, ანუ პირდა(პი)რ აგინოს, ექუსი გლეჩი საყდარსა დაეურვოს და ორასი ათასითეთორი იმას დაეურვოს.

7. და თუ ეინმე მმ(ა)თაგანი ანუ ს(ა)ყდრის-შვილი მოკლას, ოცი გლეჩი ს(ა)ყდარსა დაეურვოს და ორი სისხლი იმას დაეურვოს. 135

8. ეინცა კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზისა ჯოგი გატეხოს, ექ(უ)სასი ათასი ძუელი თეთრი ს(ა)ყდარსა დაეურვოს.

9. ეინცა ამ(ას) ზემოთ ს(ა)ყდრის-შვილნი და მოხელენი სწერიან, მ(ა)თი ჯოგი გატეხოს, ათი ათასი თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს და ორი ათასი იმას დაეურვოს, დიდითა შებუწითა და ნაძარცვ უკლებლად შემოექციოს.

10. ეინც კ(ა)თ(ა)ლ(ი)კ(ო)ზის გ(ა)მოგზ(ა)ენილი კ(ა)ცი გაძარცუოს, ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ოთხი ათასი იმას დაეურვოს; 140

11. ეინცა ზურგით მზიდვეი ხარი და ან სეფე ხ(ა)რი წაიყუ(ა)ნოს, თორმეტი ათასი თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს.

12. ეინცა მოხელეთა გაგზ(ა)ენილი კ(ა)ცი გაძ(ა)რცუოს, ოთხი ათასი თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს და ორი ათასი იმას დაეურვოს

13. ეინცა ქუშქრეპისკ(ო)პ(ო)სსა სცეს, ანუ ზელ(ი)თა შეიპყრას, ანუ აუად აგინოს, ანუ უპ(ა)ტიობა* რამე ჰკადროს, თორმეტი გლეჩი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს და 145 სამასი ათასი თეთრი იმას დაეურვოს. თუ გლეჩი იყოს რ(ომელმ)ან პ(ა)დრა, მისითა მ(ა)მ(უ)ლითა ს(ა)ყდ(ა)რისა დაეურვოს.

14. ეინც კ(ა)თ(ა)ლიკოზის ყმა-მს(ა)ხური მოკლას, ექ(უ)სასი ათასი თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს და სამასი ათასი სისხლ(ა)დ და თხუთმეტი ათასი სანახშიროდ იმათ დაეურვოს.

15. და რანიცა ს(ა)ყდრისა მოხელენი არიან, ვითარცა საყდრის-შვილთა 150 სწერია, იმავე წესითა იმათ დაეურვოს.

16. ეინცა საყდრის მონაღლე კ(ა)ცი მოკლას, შეიდასი ათასი თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს, ოთხასი ათასი სისხლ(ა)დ და თხუთმეტი ა(თა)სი

სანახშირედ იმათ დაეურვოს||.

17. და ვინცა ბიჭვინტის გ(ა)რშემო ს(ო)ფ(ე)ლი და გლჳნი, სითგ(ა)ნ ¹⁵⁷წყფო ზარისა ვმ(ა)ფ ისმოდეს, გ(ა)ტუხოს, ანუ დაარბიოს, ანუ ნახირი გაუტუხოს, ექ(უ)სასი ათასი ძველი კირმ(ა)ნაული თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს და სამი 155 ათასი იმას დაეურვოს.

18. სხ(უ)ანი რანიცა აგარანი და ს(ო)ფ(ე)ლნი, მეტოქი მონ(ა)სტ(ე)რი და ქ(ა)ლ(ა)ქი სწერია, იმათ შ(ინ)ა მს(ა)ხლობ(ე)ლნი გლჳნი, მს(ა)ხურნი და მოინალე ვინცა მოკლას, ექ(უ)სასი ათასი თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს და სამასი ათასი თეთრი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმათ დაეურვოს.

19. ვინცა ს(ო)ფ(ე)ლი და ს(ო)ფლის კ(ა)ცი დაარბიოს, ორასი ათასი ¹⁶⁰თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს და ორი ათასი-ორი ათასი, რასდენიცა გლჳნი იყუნენ, იმათ დაეურცენენ და ალაფი უკლებ(ე)ლად შეაქციონ. და რასაცა მიზეზისათ(ვი)ს მიხდომოდენ, ისი გაუცუდდეს. და თუ მომხდომი მოკლან, სისხლი და სანახშირე გაუცუდდეს.

და ვინცა ჯოგი და ნახირი გაუტუხოს, ოცდაათი ათასი თეთრი საყდარსა ¹⁶⁵დაეურვოს და ორი ათასი იმათ დაეურვოს.

ვინცა ეკლესია გაუტუხოს, ოთხი სისხლი დაეურვოს.

20. ვინც ცოლი წაუღოს ბიჭვინტის ს(ა)ყდრის ყმ(ა)სა, თუ ხუცესი იყოს, ორი სისხლი დაეურვოს, და თუ ერისკ(ა)ცი იყოს, ერთი სისხლი სრ(უ)ლი დაეურვოს.

ვინცა ქ(ა)ლი დაუგდოს, სრ(უ)ლი სისხლი დაეურვოს.

21. ვინც ვენ(ა)ცი დაუკაფოს ს(ა)ყდ(ა)რსა და ს(ა)ყდარის ყმასა, ოცდაათი ათასი თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს და ათასი ვისიცა ვენაჲ იყოს, იმას; და ¹⁷⁰რისათ(ვი)ს უყო, ისი გაუცუდდეს.

22. აგრევენ ვინცა წისქ(ვი)ლი გაუტუხოს.

23. ვინცა ბიჭვინტის ს(ა)ყდრის ყმის მეჯინიბე, ანუ მეჭადილე, ანუ მწყემსი სცეს, ანუ გაძარცვოს, ათი ათასი თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს, ათასი ¹⁷⁵ვისიცა იყოს, იმას.

24. და თუ ვინმე მეკობრობით შ(ორ)ს რამე მოიპაროს, ოცი ათასი თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს.

25. ვინცა ქ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზის უკითხ(ა)ვ(ა)დ ბიჭვინტის წყალი ინადიროს ¹⁷⁵მოსადებლითა, ოცი ათასი თეთრი ს(ა)ყდ(ა)რსა დაეურვოს.

26. ვინც ს(ა)ყდრის ყმა დაკოდოს უდ(ა)ლოს ადგილსა, სამი გე(რ)ში დაეურვოს. თუ დაღი დაასუას, მეთორმეტე სისხლისა დაეურვოს.

173 მეჭადილე კ.დ.] შესადილე ბი.

აწ დაუმტკიც(ებ)ებთ მ(ეო)ხ(ე)ბითა. ბიჭუნტისა ღ(მრთ)ისმშობლის(ა)თა საკრძაჲთა და შეს(ა)ძრწუნებ(ე)ლი ყ(ოულ)ისა ადამის ტომისგ(ან) იადგ(ა)რი დაედევით. ვ(ითარც)ა სხ(უა)თა ს(ა)ყდ(ა)რთა უწ(ა)რჩინებ(უ)ლ(ე)სი არის 180 ბიჭუნტისა ს(ა)ყდ(ა)რი, ეგრეთვე უმ(ე)ტესი იადგ(ა)რი დაედევით; და დაუმტკიცეთ მტკიცე ბრძ(ან)ებ(ა)ი ესე.

არა ვისთვის გებრძანებია შლად და ქცეა მტკიცისა და შეუცვალებ(ე)ლისა ყ(ოულ)ისა ადამის ტომის კ(ა)ც(ი)სგ(ან) თვინ(ი)ერ თ(ანა)ლდგომისა და შე(მწე)ობის(ა)გ(ან) კიდე, არა სხ(უა)თა შემდგ(ო)მთა ჩ(უე)ნთა მეფეთა და ღ(ედო)ჟალთა.

და თქ(უენ), წ(მიდა)ნო მე(უ)ყენო, მღდ(ე)ლმთ(ა)ე(ა)რთ-მთ(ა)ე(ა)რნო, აფიხ(ა)ზეთისა და ქ(ა)რთლისა კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზნო, თქ(უენ)ცა ასრე დაუმტკიცეთ 185 დადიან-გურიელო, ათაბ(ა)გ-ამირსპასალარნო, თქ(უენ)ცა ასრე დაუმტკიცეთ და მწე ყევენით ბრძ(ან)ებ(უ)ლსა ამ(ა)ს ჩ(უენ)სა.

რამ(ან)ც გუარმ(ან) კ(ა)ცმან: ანუ მეფემ(ან), ანუ დადიან-გურიელმ(ან), ანუ კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზმან, ანუ ეპისკ(ო)პ(ო)ზმ(ან), ანუ თ(ა)ე(ა)დთა და ღ(იდე)ბ(უ)ლთა, ანუ აზნ(აუ)რის შეილთა ც(ე)ლყოს შლად და შეცვალებად და გამოხუმ(ა)დ ჩ(უენ), მეფეთა და დადიან-გური(ე)ლთა შაწირ(უ)ლსა მ(ა)მ(უ)ლსა 190 ბიჭუნტისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბ(ე)ლსა, მას(ა)მცა რისხ(ა)ეს თ(ა)ე(ა)დ ღ(მერთ)ი და ს(ა)შ(ინ)ე(ლი) ყ(ოულად) წ(მიდა)ი ღ(მრთის)მშ(ო)ბ(ე)ლი და ძე მისი ი(ეს)უ ქ(რისტ)ე და ცხიო(ე)ლს-მე(ო)ფ(ე)ლი პ(ა)ტ(იო)ს(ან)ი ჯ(უარ)ი, წ(მიდა)ნი ზ(ე)ცისა ძ(ა)ლნი, ვ(ო)რც(ი)ელნი და უც(ო)რცონი და რანიცა წ(მიდა)ნი სვინ(ა)ქსარსა შ(ინ)ა აღწერილ არ(ი)ან და აღიწერებიან;

რაცა ამა ჩ(უენ)გან დამტკიც(ებ)უ(ლ)სა იადგ(ა)რსა შ(ინ)ა სწერიან ან დაიწერებიან, ჭინცაჲ ამისდა შლად და ქცეად ჳელყოს, შეჩუნებ(უ)ლმც არის 195 თორმეტთ მ(ო)ც(ი)ქ(უ)ლთ მ(ა)დლითა, შკდთ კრებათ მ(ა)დლითა და ოთხთ პ(ა)ტრიარქთ მ(ა)დლითა; ნურამც ეშ(უ)ცლები მის ს(უ)ლსა დაჲ ვ(ო)რცსა ნუცა ლ(ო)ცეითა, ნუცა მ(ა)რხუთა, ნუცა გლ(ა)ხ(ა)კთ მიცემითა, ნუცა ი(ე)რ(უ)საღიმიისა და მთაწ(მიდ)ის მიცემითა და მ(ა)მტკიც(ებ)ე(ლ)ნი ამისნი აკ(ურთ)ხნეს ღ(მერთ)მან.

კ(ან)ნ(ო)ნითა ე(ა)მტკიცებ კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზი მალაქია	200
კ(ან)ნ(ო)ნითა ე(ა)მტკიცებ კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზი ეედემონ	
კ(ან)ნ(ო)ნითა ე(ა)მტკიცებ კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზი ეფთუმი	
კ(ან)ნ(ო)ნითა ე(ა)მტკიცებ კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზი მ(ა)ლ(ა)ქია	
კ(ან)ნ(ო)ნითა ე(ა)მტკიცებ კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზი მაქსიმე	
კ(ან)ნ(ო)ნითა ე(ა)მტკიცებ კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზი ზაქარია	205
კ(ან)ნ(ო)ნითა ე(ა)მტკიცებ კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზი სვემონ	
კ(ან)ნ(ო)ნითა ე(ა)მტკიცებ კ(ა)თ(ა)ლიკ(ო)ზი დაუთი	

1

[1604-1608]. შეწირულობის წიგნი გიორგი ლიპარტიანისა ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი

მინაწერი ხელნაწერის მესამე კვფის მარცხენა აშიაზე ძირითადი ტექსტის პარალელურად; ნუსხური; 17 სტრიქონი; განაკვეთილობის ნიშანი არ ახლავს [ხურ. 2].

გამოცემები: ხახანაშვილი, 1891, გვ. 149(ხ); კაკაბაძე, 1925, გვ. 193(კ).

დათარიღება სხვა გამოცემებში:: ს. კაკაბაძე საბუთის გაცემის თარიღს 1595-1600 წლებით განსაზღვრავს, „ბიჭვინტის იადგარის“ აშიაზე გადმოწერის თარიღს კი 1600-1616 წლებით (კ.).

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: საბუთი გაცემულია გიორგი ლიპარტიანის დენილობიდან ოდიში დაბრუნების შემდეგ ე.ი. არაუადრეს 1604 წლისა და არაუგვიანეს 1608 წლისა, როდესაც გიორგი ლიპარტიანის თანამეცხედრე იყო ანა დადიანი (იხ. აქვე, §X).

აგრევენ | გ(ა)დრუთ და | შემოგწირეთ| ჩ(ე)ნ, ლიპარტიანმ(ა)ნ| გ(იორგ)ი და ძემ(ა)ნ ჩ(ე)ნმ(ა)ნ ეამ(ე)ყ და მეც|ხედრუმ(ა)ნ ჩ(ე)ნმ(ა)ნ|, დადიანის ქალმ(ა)ნ| ბატ(ო)ნმ(ა)ნ ანა თ(ქე)ენი, ს(ა)მ(ი)ნ(ე)ლსა ბიჭვ(ი)ნტისა ღ(ვთი)სმშობ(ე)ლ|სა ს(ა)ს(ა)ხლე ნაგ|ეაზაო რეის| კეამლის კ(ა)ცითა ს(ა)ცსრა)დ და საო|ქად ს(ე)ლისა ჩ(ე)ენისა.

2

[1611-1616]. ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი ლევან დადიანის შეწირულობის და კათოლიკოს ევთემი საყვარელიძის ქრთამის გამოღების წიგნი.

მინაწერი verso-ზე; ნუსხური; 69 სტრიქონი (1-51 სტრიქონი V კვფზე, 52-69 სტრიქონი IV კვფზე); განაკვეთილობის ნიშანი: წერტილი [ხურ. 3].

გამოცემები: 1) ა. ხახანაშვილი, 1891, გვ. 137-140 (ხ); 2) ს. კაკაბაძე, 1925, გვ. 187-188 (კ); 3) ი. დოლიძე, 1970, გვ. 394 (დ).

დათარიღება სხვა გამოცემებში: 1) 1611-1617 (კ); 2) 1611-1616 (დ).

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: ლევან დადიანის შეწირულობის წიგნი. მისი შინაარსის მიხედვით, გაცემულია მანუჩარ დადიანის გარდაცვალებისა და ლევან დადიანის გამთავრების ახლო ზანებში ანუ 1611/12 წლებში. საბუთი „ბიჭვინტის იადგარის“ თავისუფალ გვერდზე გადმოწერილია და მისთვის კათოლიკოს ევთემი საყვარელიძის ქრთამის გამოღების წიგნი დართულია 1611-1616 წლებს შორის (იხ. აქვე, §X).

ქ. შენ, წ(მიდა)თა უერტველესო და ქერ(ა)ბინთა უზეშთაესო, შეიდ ცათა v
უერტველესო ბიჭვანტისა ღ(ე)თისშშობ(ე)ლო, ჩ(ვე)ნ, ცუი — ფარუთა შ(ე)ნთა vi
მონდობილმ(ა)ნ და მსასოებ(ე)ლმ(ა)ნ სიწ(მიდ)ისა შ(ე)ნისამ(ა)ნ, ჩ(ვე)ნ,
დადიანმ(ა)ნ ბატონმ(ა)ნ ლეონ და ტყიბილის მ(ა)მის სანაცვლომ(ა)ნ, ბატონმ(ა)ნ,
ბიძამ ჩ(ვე)ნმ(ა)ნ, ბატონმ(ა)ნ გიორგი| ლიპარტიანმ(ა)ნ გადარეთ და შემოგწირეთ 5
შ(ე)ნ, საშინ(ე)ლსა, თე(ა)ლუბის(ა)გ(ა)ნცა ანგელ(ო)ზისა უზილავსა ბიჭვანტისა
ღ(ე)თისშშ(ო)ბ(ე)ლსა ჩ(ვე)ნდა სადღენგრძელოდ და გ(ა)ნსამარჯვებლად,
საჰსრად და საოხად სულისა ჩვენისად შემოგწირეთ ჭალა კაკა ჯაიანისეული
მამული და მისის შეილის ხუტუსეული მამული, ორი მონასტერი — ერთი 10
ჯ(ე)არის პ(ა)ტ(იო)ნისა და მეორე წ(მიდ)ის გ(იორგ)ისა, მისის სასახლითა,
მამულითა, საფლავითა, სათევზითა, საყანითა,| სანადიროთა, სახოხბითა,
სათივითა, ბეღლითა და მარნითა, ჭურითა, შესავალითა და გ(ა)მოსავალითა.
როგორაცა ხუტუ ჯაიანსა ეხმაროს, ისრე თქ(ვე)ნ იხმარეთ. 15

აწე არის ამის შემავალი გლეხი, ხუტუ ჯაიანი რომ იხმარებდა, ერთი
კუამლი კ(ა)ცი გრიგოლ გოგოლდა*, მეორე მოსახლე ლომინია გოგოლდა,|
მესამე მოსახლე მიხლია ჩანგელია, მეოთხე მოსახლე ქვაქალია შანტაა*, მეხუთე 20
მოსახლე მიკალანდი ფიელია,| მეექვსე მოსახლე გაგიჭორდი კეიკაა*, მეშვიდე
მოსახლე| ობიშხუაი ფელიაი, მერვე მოსახლე მაჭიხოლი ჭანიაი, მეცხრე
მოსახლე ფშიას ბიბილიაი ხუტუს ჯაიანისეული. |

აწე ამისნი მოწამენი არ(ია)ნ თ(ა)ვად ღ(მერ)თი და ბიჭვანტისა
ღ(ვთ)ის|შშობ(ე)ლი. კ(ა)ცთ(ა)გ(ა)ნ: ლიპარტიანი ბატონი გ(იორგ)ი და 25
ეპირთუხუცესი და მოღართუხუცესი მერაბ ქორთოძე და კ(ა)ცი| ქორთოძე
და მესტუმრეთუხუცესი კაკაუჩაი ქეითაი, სისხლისუხუცესი ქაიხოსრო აფაქიძე,
ბოქუელთუხუცესი ჯაგაზ ჭილაძე. აწე ამისი შემწირველი ესენი არ(ია)ნ. 30

აწე შეწირ(უ)ლი ჩ(ვე)ნგ(ა)ნ მამული და საყდარი ვინცა გ(ა)მოსწიროს,
რისხავს მამაი, ძე და ს(უ)ლი წ(მიდ)აი, ყ(ოვლ)აღ წ(მიდ)აი ღ(ე)თისშშობ(ე)ლი,
ყ(ოველ)ნი წ(მიდ)ანი ღ(ე)თისანი, ზ(ე)ცისანი და ქ(ვე)ყ(ა)ნისანი, უზორცონი
და ხ(ო)რციელნი. ნურამთამცა ეშველები მის სულსა — ნურც წირვითა, 35
ნურც ლოცვითა და ნურცაი გლახ(ა)კთ მიცემითა და ნურცაი მ(რუს)აღმეს
წასლვითა და| შეწირვითა და ლოცვითა და დამამტკიცებ(ე)ლნი ამისნი
სკ(ურთ)ხეს ღ(მერთ)მან. ა(მი)ნ. ა(მი)ნ. მეღვინეთ უხუცესი გამიგონი ბუქუჩაი
და მზარეული ხუტალეი გვრგინაა*.

ქ. ჩ(ვე)ნ ქ(რისტე)ს ღ(ვთი)სა* მ(იე)რ კ(ურთ)ხეულმ(ა)ნ აფხაზეთისა
კათალიკოზმან ეფუთუმი საყვარ(ე)ლის ძემ(ა)ნ ჭალა მონასტერი| და რაც მამული 40
შესწირან დადიანმ(ა)ნ ლეონ და ლიპარტიანმან გიორგი ბიჭვანტის
ღ(ე)თისშშ(ო)ბ(ე)ლსა, ჩ(ვე)ნ მისდა ქრთამად გამოვიღეთ, მოვეცით მ(ა)ნუჩარ

დადიანსა თორმეტს ტყუშთ დაფსებ(უ)ლი კარაუი, ერთი ბედაური ციხენი და 45 ბედაური ჯორი. მ(ა)ნუჩარ დადიანი მიიცვალა. მ(ა)ს უკან მის შვილს, ლეონ დადიანს(ს) მიეცე ერთი გაუკუეთული სარასანი და ერთი ყირმიზი იაზდური| ხაუდი. ლიპარიტიანს გიორგის მიეცე ერთი ოქროს | მოჭედილი უნაგირი მურასა, ვეცხლის ლაგამითა, ქვეცხლის სადუითა, ვეცხლის სამედილითა, ვეცხლის 50 მათრახითა, ოქროქსოილის ასლითა, ოქროქსოილის| ბოლქაუსუნითა, ერთი IV სიასამურის ხაუდის ტყაუი თუთრს ხაუდს აკარაეს. მიეცე მერაქბ ქორთოძესა ver ერთი ბედაური ციხენი მისის უნაგრითა და ასლითა და შირაქითა შეკაზმული. 55 სა|ხლისუხუცესსა ქაიხოსრო აფაქიძეს მიეცე ერთი დიდი თაყანაგამი ერთის კაცის ასალები. | კაკაუჩას ქუთიას მიეცე ერთი კარგი მესხური სა|უნაგირუ დაფქრისა მისის იარაღითა, ერთი ზემოური ქამუხაჲ და ერთი ჩილღაოს ქუდი. 60 სხ(ვა)დ საბანი და სურმები მ|ოხელეხსა.

აწ რამ(ა)ნც კ(ა)ცმ(ა)ნ, ან დადიანმ(ა)ნ, ან სხ(ვა)მან კ(ა)ცმ(ა)ნ, ან თ(ა)ეადმ(ა)ნ, ან აზნაურის-შვილმ(ა)ნ ბიჭუნტისაჲ ღ(ე)თისმშ(ო)ბ(ე)ლსა გამოსწიროს ჭალა მონასტრები და| რაც მა(ს) შინ(ა) მამული შესწირეს, 65 რისხაუმსცა ღ(მერ)თი| მამად, ძე და ს(უ)ლი წ(მიდ)ად, ყ(ოელ)დ წ(მიდ)ი ღ(ე)თისმშ(ო)ბ(ე)ლი, ყ(ოელ)ნი წ(მი)დანი| ღ(ე)თისანი, ზ(ე)ცისანი და ქ(ვე)ყ(ა)ნისანი, ჴორციელნი და უჴ(ო)რცონი. დამამტკიცებ(ე)ლნი ამისნი აკურთხნეს ღ(მერთმა)ნ. ა(მი)ნ.

დამტკიცება:

ბეჭედი (მრგვალი)

ბეჭდის ლეგენდა: ქ. ბიჭუნტის ღ(ეთ)ისმშობლისა საჭყთამყრობელი

კ(ათალიკოზი)...თ...

39 ღმრთისა დ. 40 ვეტუმი კ. 42 ღეთის-მშობელსა დ.; 44 ტყუეთ დ. 51 სადუითა]

სადუითა კ.დ. 64 მა(ს) შინა(ა)ქ მამინ კ.დ.

3

[1604/08-1616] თლითისა და ზაუჟელის მებეგრე გლეხთა ჯუმალი

მინაწერი IVr კუფის მარცხენა აშიაზე; ნუსხური; 1 სტრიქონი; განკვეთლების ნიშანი არა აქვს [სურ. 4].

გამოცემები: ხახანაშვილი, 1891, გვ. 149 (ხ); 2) კაკაბაძე, 1925, გვ. 194 (კ).

საბუთის დათარიღება წინა გამოცემებში: 1622 წლის უწინარეს (კ.).

წინამდებარე დათარიღების საფუძველი: საბუთი დაწერილია „ბიჭვინტის იადგარის“ ძირითადი ტექსტის ხელით. აქედან გამომდინარე მინაწერი შესრულებულია 1604/08-1616 წლებს შორის.

თლითი ს(ა)სახლე ორმოცის კუამლის კ(ა)ცითა და ხუეფელი ს(ა)სახლე ორმოცდა(ა)თის კუამლის კ(ა)ცითა, მ(ა)თის შესაფლით და გ(ა)მოსაე(ა)ლითა და სათუეზოთად.

4

[1616 წ. ახლო ხანები]. ანგარიშება კათოლიკოსების ეედემონისა და ეფთვიმი საეგარელიძისა

მინაწერი V კეფის recto-ზე; ნუსხური; 55 სტრიქონი; განკეუთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი ან სამწერტილი [ხურ 5].

გამოცემები: 1) ა. ხახანაშვილი, 1891, გვ. 135-136 (ხ); 2) ს. კაკაბაძე, 1925, გვ. 186 (კ); 3) ი. ლოლიძე, 1970, გვ. 386-387 (დ).

დათარიღება სხვა გამოცემებში: 1600 წლის ახლო ხანები (კ. დ).

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: საბუთი წარმოდგენს ეედემონ და ეფთვიმი კათოლიკოსების ანგარიშგებების გაერთიანებას, შესრულებულს ეფთვიმის კათოლიკოსობის დროს. ანგარიშგება, როგორც წესი, შემდგენლის მოღვაწეობის მიწურულს იწერებოდა. აქედან გამომდინარე, ეედემონ და ეფთვიმი კათოლიკოსების ანგარიშგებების გაერთიანება და „ბიჭვინტის იადგარის“ თავისუფალ გვერდზე დაწერა ეფთვიმი I საყვარელიძის გარდაცვალების ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს (იხ. აქვე, §X).

ნებითა ღ(ეთი)სათა. არის ეედემონ კ(ათალიკო)ზის| შეწირული: ერთი ოქროს ხატი ბიჭვინტისა| ღ(ეთ)ისმშობ(ე)ლი, გელ(ა)თს ასუენია. ერთი ოქროს ჯ(ეა)რი მოთე(ა)ლმ(ა)რგ(ა)ლიტული. ერთი ბარქიმი ოქროსა მოთე(ა)ლმ(ა)რგ(ა)ლიტული. ერთი ოთხთ(ა)ვი ოქროთ მოჭედილი, მოთე(ა)ლმ(ა)რგ(ა)ლიტული. ერთი 5 ოქროთ მოჭედილი ყ(ა)ვარჯენი.| ერთი ოქროს ომფორი მომარგ(ა)ლიტული. ერთი ძე(ე)ლი ომფორი. ერთი ნახლის ბისონი.| ერთი სხუ(ა)დ ბ(ი)სონი ოქროქს(ო)ვილი. ერთი საბეჭური სირმით შეკერული, ოქროს ჯ(ეა)რი აბია. 10 ერთი ოლარი და ერთი ენქერი სირმით შეკ(ე)რული.| ერთი სამკლ(ა)ვე სირმით შეკ(ე)რული მომ(ა)რგ(ა)ლიტული. ერთი სტიხ(ა)რი ქარ(ე)ისა. ხუთი მეტაფრასი წიგნი.

ნებითა ღ(ეთი)სათად შვესწირე მე| აფხაზეთისად კ(ათალიკო)ზმ(ან) ეფთვიმი 15 საყუა*რელიძემან ბიჭვინტისად ღ(ეთ)ისმშობ(ე)ლსად გვირგვინი ოქროსად მოთე(ა)ლმ(ა)რგ(ა)ლიტული, ომფორი მძიმედ მოთე(ა)ლმ(ა)რგ(ა)ლიტული, ბისონი სტაქირისად ოქროს ღილეზიანი, ოლარი სტაერქ(ი)სად, ქამ(ა)რი 20 ოქროსად, ენქერი სირმისად მძიმედ მოთე(ა)ლმ(ა)რგ(ა)ლიტული, ოქროდქსოილი სტიხ(ა)რი, საბეჭური მომ(ა)რგალიტული, ოქროს ხატი მძიმედ მოთე(ა)ლმ(ა)რგ(ა)ლიტული, სამსჭუა*ლი და ძელი არის შიდად და პატიოს(ა)ნი

ნაწილები. მხორე ქ(ა)მ(ა)რი არის მარგ(ა)ლ(ი)ტისა. მხორე ბისონი არის შ(ა)ვის 25 ატლასისა. ოქროქსოილი ვეცხლისთვლებიანი. კიდევ მესამე ბის(ო)ნი არის ოქროქსოილი თუთი, ც(ხ)რამ მ(ა)რგ(ა)ლიტის ღილეებიანი. მხოთხე ბისონი არის ორპირი ს(ა)ქრასანი ოქროქს ღილეებიანი. მხეხუთე ბისონი არის 30 მრუ(ა)ლ(ა)ქ(ა)რი ც(ა)ვედისა ოქროს ღილეებიანი მოთ(ა)ლმარგ(ა)ლიტულთა. მვექსუ ბისონი ხავედისა მრ(ა)ვ(ა)ლ(ა)ჯვარი ვეცხლის ღილეებითა. სტიხ(ა)რი ოქროქსოილი. სამკლავე მრ(ა)ვ(ა)ლ ჯ(ა)რი მომ(ა)რგ(ა)ლიტული. ბარძიმი 35 ბროლისა ოქროთ მოჭედილი. | ერთი ფეშხუმი ოქროსა და ვეცხლისა. ერთი კამ(ა)რამ ოქროსა მოთ(ა)ლული. ლ(ა)ხვარი, კოქხი, ოდიკი დახატული, ღრუბ(ე)ლი, ერთი სახედამე, ვერცხლის კარჩხალი, სამი ნახლის პერექელი. | ერთი ოქროს კონდაკი ოქროს მელნით დახატული ოქროს ღერითა. ერთი 40 სხე(ა)მ კონდაკი დახატული, ერთი სხე(ა)მ ეტრატისა კონდაკი, მხოთხე ყდითა შეკრული კონდაკი. ერთი ფ(ა)მნი, | ერთი დ(ა)ვითნი, ერთი კურთხე(ა)ნი, ერთი სანთლის ჯ(ა)რი მოჭედილი და ლამაზი მოჭრილი. ერთი პატიოს(ა)ნი 45 გულ(ა)ნი წიგნი ლამაზად დახატული სსრული ყ(ოვე)ლისყვერითა უნაკლულ. ერთი სჯულისკანონი. ერთი ქ(ა)რთლის ცხორებ(ა)მ დახ(ა)ტული. ომყოლის ს<ი>კიერები. რე(ა)მ ვეცხლის ბარაქაში. ერთი ოქროს დოსტაქანი. ერთი 50 ჩ(ა)ქხის სურამ დიდი. | ერთი ვეცხლის საწერელი. სამი დიდი ორხაო, | ერთი ბამბისა და სხუ(ა)ი. ერთი ჯეჯიმი. ოცის საინი. ორი ქუაბი. ცხენის ჯოგი, ზროხის ჯოგი და კამბეშის ჯოგი.

51 ჩაღხის ჩღხის (sic) კ.დ.

5

[16129-1639]. ანგარიშგება მალაქია კათოლიკოსისა

მინაწერი verso-ზე; ნუსხური; 175 სტრიქონი (1-28 სტრიქონი IV კეფზე; 29-91 სტრიქონი III კეფზე; 92-157 სტრიქონი II კეფზე; 158-175 სტრიქონი I კეფზე); განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი [სურ. 6].

გამოცემები: 1) ა. ხახანაშვილი, 1891, გვ. 140-147, (ხ); 2) ს. კაკაბაძე, 1925, გვ. 189-192 (კ); 3) ი. დოლიძე, 1970, გვ. 498-503 (დ).

დათარიღება სხვა გამოცემებში: 1) 1627-1639 (კ); 2) 1616-1639 (დ)

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: საბუთში მოხსენიებული ფაქტი, ლომკაც ჭილაძის მიერ ეკმი 2 კომლი კაცის საკანონოდ დადებისა, თარიღდება 1629 წლით ესაა საბუთის შედგენის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი. ზედა ზღვრად აღებულია მალაქია კათოლიკოსის გარდაცვალების თარიღი (იხ. აქვე §X).

ნებითა, შეწევნითა და წყალობითა ღ(მრ)თისათა ჩ(უე)ნ, გუქრიელ IV კ(ათალიკო)ზმ(ა)ნ, პ(ა)ტრონმ(ა)ნ მ(ა)ლაქიაჲ შეესწირეთ ბიჭუნტისა verso ღ(მრ)თისმშ(ო)ბელსა მცირე ესე შესაწირაჲი;

თაქს. ერთი წ(მიღ)ის ანდრია მ(ო)ც(ი)კ(უ)ლის ხ(ატ)ი მომიჭყდინებია და თორმეტ საუფლოს კუბოში ჩამისვენებია და ბიჭუნტას დამისვენებია და სამი 5 კკამლი კ(აც)ი იმისთ(ვი)ს შემისწირავს;

მას გ(ა)რეთ ერთი მძიმედ მოთ(ვა)ლმომარგალიტული ოქროს ომფორი ათასის ფლურისა სრულად პ(ა)ტიოსნის თ(ვა)ლითა და მ(ა)რგალიტითა შემკობილი და მისის ოქროს ბუშტებიაჲ. 10

ერთი ამისი შეფერებული მძიმე ოქროს სირმის ჩაქრყაფათ შეკერული ბისონი ცხრის მურასის ღილითა; და ამ ღილებშიან ნიშაურის ფეროზისა* დაქვირმიზის იაგუნდის მეტი არა ზის რაჲ; ეს ღილები თუითო ას-ას მარჩილათ ნასყიდი არის;

ერთი წყვილი სამკლ(ა)ეები ოქროსა, ოთხასის ფლურისა, მძიმეთ 15 მოთე(ა)ლმომარგალიტული;

ერთი პ(ა)ტიოს(ა)ნი ოლქარი ხოშორის მარგალიტითა მძიმეთ მომარგალიტული;

ერთი მძიმე ოქროს მურასა ქამარი პ(ა)ტიოსნის ყირმიზის იაგუნდითა, ლალითა, ნიშაურის ფეროზითა და მარგალიტითა შემკობილი, შუდი ქულუჩა 20 და ორი წინა შესაკრავი აქუს.

ერთი მძიმე ჩარყაფის მოთ(ვა)ლმომარგალიტული ენქერი;

ერთი მძიმე ჩარყაფათ შეკერული სტიხარი ორის ოქროს ღილითა;

ერთი მძიმე სირმით შეკერ(უ)ლი საბეჭური;

ერთი ოქროთა თვალთა და მარგალიტთა შემკობილი პ(ა)ტიოსნის ძელითა 25 და ნაწილებითა და ოქროს ჯაჭვითა ყელსაკიდი ხ(ა)ტი;

ერთი სამწირველო ოქროს სარმუზა მურასა პ(ა)ტიოსნის თ(ვა)ლითა და მარგალიტითა შე(ე)მკობილი;

ერთი მძიმე ჩარყაფისა მომარგალიტული პორფირი;

ერთი შავის ატლასის მაზარა მოთ(ვა)ლმომარგალიტული სირმისა 30 მდინარებითა და ოქროს მურასა ღილებითა;

ერთი მძიმე ოქროს მურასა ყუბარჯენი. ოქრო კ(ურთ)ხ(ეულ)ის ბ(ა)ტ(ო)ნის ეფთკმე კ(ათალიკო)ზისგ(ა)ნ იყო და ზოგ-ზოგი თ(ვა)ლი და მ(ა)რგალიტიცა მისგ(ა)ნვე იყო; და მერმე ჩ(ეე)ნ ახლად კიდევ პ(ა)ტიოსნის თ(ვა)ლითა და მ(ა)რგ(ა)ლიტითა შემიმკვია და გამიკეთებია;

ერთი სირმისა მლომარგ(ა)ლიტული გვრგუნის ქული;

35

ერთი ოქროს ფეშხუმი ორქას სამოცის ფლურისა;
ერთი ოქროსა მძიმეთ თარნიშნით გაკეთებული მოთ(ვა)ლული კოზი;
სამი მძიმეთ ხალასათ ყირმიზს| ფრანგულს ქამხაზე შეკერული პერუქლები;
ერთი მძიმეთ ვეც|ხლით მოჭედილი და ოქროთ დაფერული კონდაკი, სამი
კონდაკი შ(იგა)ნ სწერიან მისის ხალასათ შეკერულის რუფაქითა; 40

მეორე სხუი კონდაკი ოქროს ვარაყით დაწერილი;
ერთი პ(ა)ტიოსანი ძი|ლის პირი ჭრელის ნუსხითა;
ერთი ჟამნ-დ(ავი)თი; ერთი კ(ურთ)ხ(ე)ვანი;
ერთი გულანი კ(ურთ)ხ(ეუ)ლის ეფთჳმე კ(ათალიკო)ზისაგ(ან) დაწერილი
იყო და ხატის შეწირული არ იყო და ბატონს დადიანს წაეღო და მე ესთხოვე,
მიბოძა და აწ მე შემეწირავს; 45

ერთი ეტრატის ოთხთ(ა)ვი, თ(ა)ვი ღახატული აქუ(ს,მ)ერაბ ქართოძი-
საგ(ან) მიშონია და შემეწირავს;

ერთი [± 7-8] აბრეშუმის ხალიჩა. ერთი ხასა ეპრცხლის ჯუარი
მო[თვალუ]ლი; ერთი მურასა ტახტი სამწირველო;

ერთი მძიმე [მოთვალ]მომარგალიტული საშხეური; 50

ერთი მურასა მძიმედ მოთვალმომარგალიტული ჩარყაფისი [± 14-15] წინ
დასადებული მძიმედ ჩარყაფის [შე]კერული [± 10]. მისის ოქროქსოვილის
ხალიჩით [± 14-15] შეკერულისა და მო(თვა)ლმომარგალიტულისი [± 14-17]
მისის ვეცხლის გრგოლებითა;

ერთი დიდი ოქრ|[ოქსოვილი] [± 5] ფარდა; 55

ოთხი დიდროფანი დიუნხალი|ორხაო;

ერთი დიდი თაქანაბადი, ორი უფროს-უმცროსი [± 8-10];

ერთი ალაჩუხი, ერთი წყვილი [± 10-11] ერთი ყირმიზი ბულღრის სუფრადი,
ერთი ტაშტი წურწუმა, ვეცხლისა წურწუმა მუშაბა|ხათ ნაქმარი და ტაშტი 60
ჩარხისა;

ერთი საყა თასი; ერთი დი|დი დოსტაქანი;

ორი ჩარა თასები;

ერთი ცხრაი ვერც|ხლის ღრუბ(ლ)ებნაქმარი ნალბაქები.

აწ ადგილეებისა და მამულებისაგ(ან):

ხაუყელს სასახლე აოხრებუ|ლი იყო და მომცრო ადგილი იყო და
გარეშემოთ სხუსი ადგილეები იყო და ჩ(ემ)ის თეთრითა მიყიდიდა და გამიმატებია 65
და სასა|ხლე ამიშენებია და ქუ(თ)იკირისა ს(ა)ყდ(ა)რი და ქვთკირისა ჯიხური

ამიშენებია, დარბაზი დამიდგამს; და ორი მოსახლე კ(ა)ცი ჩ(ემ)ის თუთრით მიყილია და დამისახლება და ჯოგი დამიყენებია.

ამას გარეთ თილის სასახლე გამიკეთებია, ს(ა)ყდრისათ(ე)ის სამრ(ე)კლო 70 ამიშ(ე)ნებია და ქეთიკირის მარანი ამიშ(ე)ნებია, ზ(ედ)ა კ(ა)რგი სახლი დამიდგამს და ტახტი ამიშ(ე)ნებია, ერთი კუამლი კ(ა)ცი ჯიქია გურიიდან მ(ა)ნ მომიყვანია, მებისტნეთ დამისახლება და [ჯოგი დამიყენებია, მეორე კვალი კ(ა)ცი სურებული გური[ი]დან მ(ა)ნ მ(ო)მიყვანია და დამისახლება.

ამას გ(ა)რეთ, ოდიშს, სადაც მე მოვიმდომე, დალიძგას, ანაკრიას, ფოთს, 75 ჭალადიდს, წყ(ა)ლიგზას, გულეელისკარს, ეკალს, საქუჩულორიოს ჩ(უე)ნი გამორჩეული მეთევზენი და სხ(უ)ა კ(ა)ცები ოცდაათი მოსახლეები დადიანმ(ა)ნ პ(ა)ტრ(ო)ნმან ლეონ მისდა სადღეგრძელოდ მისის ს(უ)ლისათვის შესწირა და ყ(ოველს)ა წელიწადს ს(უ)ლისათ(ე)ის ტრაპეზი გაიჩინა. 80

ამას გ(ა)რეთ, დალიძგას სასახლე არ იყო და ბატონის დადიანისა ძველი გაოხრებული სასახლე იყო და ჩ(უე)ნცა შეეჭყეწეთ და ესთხოეთ და თვითან ხ(ა)ტსა შესწირა* და ჩ(უე)ნცა დაგვამაღლა. მოჰყევით ჴელი, დაუწყეთ შენება, ს(ა)ყდ(ა)რი გაგვიკეთებია, დარბაზი და ჯიხური ჩ(ემ)ის თუთრითა მიყილია და 85 დამიდგამს და გარდამიჭედინებია, აგრეთვე, ბელლები, მარანი და რაც სახლები არის, ან საყანე, ან საკრფი მ(ა)მ(უ)ლი და ჴურები, ყველა ჩ(ემ)ის თუთრით მიყილია. ერთი მოსახლე ბატონმ(ა)ნ დ(ედო)ფ(ა)ლმ(ა)ნ მიბოძა და ს(ა)მი მოსახლე ჩ(ემ)ი საკუთარი] კაცები მიმიყვანია და დამისახლება, [± 10-11]]|. ღორის ჯოგი 90 დამიყენებია და სამუშაო საქმე ყველა გამიჩენია და გამირიგებია; ქვაბები 11 ყო დამიდგამს და მეთევზენი დამიყენებია. verso

ამას გარეთ, ილორს ჩხოზოძისგან ერთი პარტაზი მიყილია და ადგილი წინამძღრისაგანცა მიყილია და ერთი კვამლი კაცი მიმიყვანია, იქ მეთევზეთ 95 დამისახლება.

ამას გ(ა)რეთ, სუბიშს სასახლე გამიკეთებია, საყდარი დამიდგამს, დიდი დარბაზი და ჯიხური დამიდგამს და გარდამიჭედინებია, საყანე[ე]ბი მიყილია და ორი კვამლი კაცი ჩ(ემ)ის თუთრითა მიყილია და დამისახლება და ხარისა და ზროხისა და ცხენისა ჯოგი დამიყენებია. 100

ამას გ(ა)რეთ, ხოირს ს(ო)ფ(ე)ლი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩ(ემ)ის თუთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მგერელებისაგ(ა)ნ და დარბაზი ვიყიდე და დაუდგმეინე, ჯიხური დაუდგმეინე და გარდაუჭედინე; და რაიც სახლები დგას, ყველა ჩ(ემ)ის თუთრითა მიყილია და სხ(უ)ა საყანეები, საკრფი მ(ა)მულები 105 და ჴურები მიყილია და შემემატებია, მოსახლეები დამისახლება და ზროხები დამიყენებია.

ამ(ა)ს გარეთ, ნაჟანაურს ერთი დიდი სახლი აჰმიშენებია და გ(ა)რდამიჭე-
დინებია და ზროხის ჯოგი დამიყენებია და საყანეები ოსათს ჩ(ე)მის ძმისაგ(ან
მიშონია) და შემიმატებია.

110

ამას გ(ა)რეთ, ხიბულას ს(ა)ყდრის იარალისათ(ე)ის ც(ი)ხე სალართ
გამიკეთებია, შიგან ორი კვამლი კ(ა)ცი დამისახლებია, ს(ა)ყდარი, სახლი და
ჩარდახი დამიდგამს და ერთი სასახლეთ ის გამიკეთებია.

ამას გ(ა)რეთ, ხიბულას გამოლმა სასახლისათ(ე)ის დამიმატებია დიდი
დარბაზი და დიდი ჯიხური დამიდგამს და გ(ა)რდამიჭედინებია, ტახტი 115
ამიშ(ე)ნებია და გარდამიჭედინებია და სახლ-კარი გამიკეთებია, მოსასახლენი
დამისახლებია, კამბეშისა, ზროხისა, თხისა და ღორის ჯოგი დამიყენებია,
საღობი გამიკეთებია და ერთი მოსახლე კაცი ზედ დამისახლებია, ხარდანი
გამიკეთებია და მეზარდნე იმერეთიდან(ან) მომიყვანია და დამისახლებია. 120

ამას გ(ა)რეთ, საქუჩულორიოს ბ(ა)ტ(ო)ნმ(ან) დადიანმ(ან) ერთი სასახლე
ოთხის კვამლის კ(ა)ცითა მიბოძა მისის საყანითა და საკრეფის მ(ა)მ(უ)ლითა
და მისის ყ(ო)ელისფერითა და მე შემეწირავს.

ამას გ(ა)რეთ, ნაგავზაურის სასახლისათ(ე)ის ბ(ა)ტონს ლიპარტიანსა 125
შეეხვეწეთ და ცარიელი, უსახლკარო სასახლე ადგილი მომაქრთამა ორის
მოსასახლითა და ერთი მოსასახლე მე მიუმატე. მიუყავე გ(ე)ლი და ს(ა)ყდ(ა)რი
აუშ(ე)ნე და გ(ა)რდაუაჭედინე. დიდი ჯიხური აუშ(ე)ნე და გ(ა)რდაუაჭედინე;
სხ(უა)დ სახლები, ბელელი და მარანი და ჭიშქარი აუაშენებინე და სასახლე 130
გავაკეთებინეთ.

ამას გ(ა)რეთ, ბატონმ(ან) და დადიანმან ბ(ა)ტ(ო)ნის ლიპარტიანის
ს(უ)ლისათ(ე)ის სუთი კვამლი კ(ა)ცი, ზოგი იქვე და ზოგი სხ(უ)აგ(ან) ხ(ა)ტსა
შესწირა* და მე მებოძა და მე შემიმატებია და ჭყონდიდელისა აფაქიძისაგანცა
საკრეფი მ(ა)მ(უ)ლები მიშონია და შემიმატებია. იმ ადგილს ძველის ლიპარტია- 135
ნებისაგ(ან)აწ ქონდა ხ(ა)ტსა შეწირ(უ)ლი კ(ა)ცები და აწ ჩ(ე)ნ კ(ა)რგი
სასახლე გავიკეთებია.

ამას გ(ა)რეთ, ნაგავზაურს ორი კვამლი კ(ა)ცი იყო, მარტო ბეგარაი
ჩ(ე)ენი იყო და სხ(უ)ა სამსახური ლიპარტიანისა ედვა. შეეხვეწეთ
კ(ურთ)ხ(ე)ლსა ბატ(ო)ნსა ლიპარტიანსა და ეს კ(ა)ცებიცა სრ(უ)ლად
მეკდრად დამანება* და ახლა ეს მე შემიმატებია. 140

ამ(ა)ს გ(ა)რეთ, ეკს ორი კვამლი კ(ა)ცი საკანოლო[შ]იან ჭილაძესა
ლომკ(ა)ცსა დაუადებინეთ და შეაწირვინეთ; ერთი კვამლი კ(ა)ცი რეჟანოზს,
დ(ავი)თ ჭილაძის შვილსა დაუადებინეთ ოფისკუჯს და შეაწირვინეთ

ამ(ა)ს გ(ა)რეთ, მათხოჯს სასახლე გამიკეთებია და შემიმკვია საყდრითა,

ტახტითა, დარბაზითა, დიდის შეფა სახლითა, საწოლის სახლითა და ჭიშკრითა 145
და ქისის ჯიხურითა. საღობი არ იყო და ახლა საღობი მე გამიკეთებია და
მეთევზეც გამირიგებია და დამიყენებია.

ამ(ა)ს გ(ა)რეთ| ჯიქთუბაზნს სასახლე არ იყო და სასახლე მე ამიშ(ე)ნებია
დარბაზითა, ჯიხურითა, მარნითა, ბელლითა და სხ(უა)ი სახ(ლებითა)| [± 7] 150
და ჭიშკრითა. ადგილები მიშოვნია და შემიმ[ატებია] [± 5] [± 6] მეთევზენი
გამიშენია და არიან და რაიცა [± 13] ბგერის ნუსხაშია სწერიან.

ამას გარეთ, [± 15] ხეიძისეული გეგუთს მეფესა გ(იორგ)ის ესთხ[ოვე და
სასახ]ლე და სამი კეპლი კ(ა)ცი მან მიბოძა და მე შემიწ(ი)რაესი. 155

ამას გ(ა)რეთ ნავენახეს დიდი სახლი ამიშ(ე)ნებია, [სასა]ხლე გამიკეთებია;
ამას გარეთ წყ(ა)ლიგზას ბ(ა)ტ[ონის] [± 5] [± 20] მქონდა [± 17] თუთრითა ვიყიდე 160
და სასახლე აღ[ე]შენე ± 20] და| სხ(უა)ი [± 20] ძი [± 20] სხ(უა)ი კიდევ 160
კ(ურთ)ხ(ეუ)ლის ბ(ა)ტ(ონ)ის მ(ა)ნუჩარ დადიანის [± 5] მქონდა [± 5]
სასახლისათ(ვი)ს შემიმატებია [და შემომწირ]ეს.

ამ(ა)ს გ(ა)რეთ გურიას ოცხანას როსტომს გურიელსა კეპლი კ(ა)ცები
შეწერა და კ(ურ)თ(ხეუ)ლსა ბატონს, ჩ(ემ)ს ძმასა, მ(ა)მია გურიელსაცა შეწერა 165
კეპლი კ(ა)ცები, ადგილი იყო და სასახლე ოცხანას არ იყო და ბერეჟიანი
ამოსწყდა. შევხვეწე კ(ურ)თ(ხეუ)ლს ჩ(ემ)ს ძმასა, ბ(ა)ტ(ონ)ს, მ(ა)მია გურიელსა
და ბერეჟიანისეული სასახლე დიდის ქრთამითა მომაქრთამა საყდრითა,
სახლებითა, მოსახლითა, სათიბითა, საყანითა, საკრების მ(ა)მულითა, სათევზოთა
და მისის ყ(ო)ლის ფერითა. და მთავართი ქრთამად ერთი მძიმე ჩარყაფი, ორი 170
ოქ[როს] [± 5] ერთი წყვილი პატიოსანი ღალის საყურე მისის ღილითა და
მარგალიტითა შემკობილი, ერთი ბროლის [± 30]. 175

6

[1639-1657] შეწირულობის წიგნი ლევან დადიანისა ბიჭვინტის
ღვთისმშობლისადმი

მინაწერი ხელნაწერის IV კეფის verso-ზე; ნუსხური; 15 სტრიქონი; განკეთილების
ნიშანი არა აქვს [სურ. 7].

გამოცემები: 1) ხახანაშვილი, 1891, გვ. 140 (ხ); 2) კაკაბაძე, 1925, გვ. 188 (კ).

დათარიღება: საბუთი გაცემულია ბიჭვინტის კათოლიკოსის მაქსიმე მაჭუტაძის
ზეობის (1639-1657) ხანაში (კ).

აგრევე [გ]კადრეთ და შემოგწირეთ თქ(ვე)ნ,| საშინელსა, ცათა მობაძესა
ბიჭვინტისა ღ(ე)თისმშობ(ე)ლსა ჩ(ვე)ნ, ვ(ე)ლმწიფემ(ა)ნ დადიანმ(ა)ნ
პ(ა)ტრონმ(ა)ნ ლევან| თეკლათს საყდარი მთავარ(ა)ნგ(ე)ლოზისა

საწინამძღვრომ რუგამ კუამლისა კ(ა)ცითა, ტყითა, ველითა, საყანითა, სანადიროთა, გასავლითა და გ(ა)მოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისიც მქონებ(ე)ლი იყონ მ(ა)თის სამართლიანის საქმითა. ამ(ა)ს გარეო, ს(ა)კანდელაკოს კლიტითა და სადეკ(ა)ნოზოს ჯოხითა შეგვიწირაჲს საჭსრად და საოკად ს(უ)ლისა ჩ(კე)ნისათვის, ასრე რომე საცილო იყო და ბატონი კ(ათალიკო)ზი მაქსიმე იმაზედ დაგველაპარაკა და ხელშე(უ)ე(ა)ლად მფართოთ, რომე არას კ(ა)ცის(ა)გ(ან) ხ(ე)ლი არ შევიდოდეს.

აწე ვინცა და რამანცა კ(ა)ცის(ა)გან ამ ჩ(კე)ნგ(ა)ნ შეწირ(უ)ლს შლად და ქცევად გელყოს, ისიმე შეიშლ(ე)ბა* რჯულის ქრისტიანობისაგან, წყევულ, კრულ და შეჩუნ(ე)ბულიმე არის მისი ს(უ)ლი და ვორცი აქა და მ(ა)ს ს(აუ)ე(უ)ნოს, რაც ამ დაუთარში შეჩუნ(ე)ბ(ა)მ ეწეროს, მის თ(ა)ეზედამე აღესრულების, ანდა იმას შერისხდეს წმიდა ღვთისმშობელი და მთავარანგელოზი.

7

[XVIII ს. I ნახ.] ბიჭვინტის ღვთისმშობლის გლქების ჯუმალი ნამაშეში მინაწერი ეტრატის III კუფის recto-ზე, მარცხენა აშიაზე; ნუსხური; 2 სტრიქონი; განკვეთილობის ნიშანი არა აქვს [სურ. 8].

გამოცემები: ა. ხახანაშვილი, 1891, გვ. 149 (ხ); ს. კაკაბაძე, 1925, გვ. 194 (კ).

დათარიღება: XVII ს. I ნახ. (კ).

ნამაშეის ოთხი კუ(ა)მლად კ(ა)ცი ჭოლაძენი.

8

[XVIII ს. I ნახ.] ბიჭვინტის ღვთისმშობლის გლქების ჯუმალი გოდოგანში მინაწერი ეტრატის III კუფის recto-ზე, მარცხენა აშიაზე; ნუსხური; 2 სტრიქონი; განკვეთილობის ნიშანი არა აქვს [სურ. 9].

გამოცემები: ა. ხახანაშვილი, 1891, გვ. 149 (ხ); ს. კაკაბაძე, 1925, გვ. 194 (კ).

დათარიღება: XVII ს. I ნახ. (კ).

ექ(უ)სი კუ(ა)მლი კ(ა)ცი და ერთი ს(ა)ს(ა)ხლე ზაალ ლალიძის შეწირ(უ)ლი ბიჭვინტისა ღ(ვთ)ისმშობელისა გოდაგანს.

9

[1673-1678]. შეწირულობის წიგნი კათოლიკოს დაუთნ ნემსაძის ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი.

მინაწერი ეტრატის IV კუფის recto-ზე, ძირითადი ტექსტის შემდეგ; ნუსხური; 5 სტრიქონი; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი [სურ. 10].

გამოცემები: 1) ა. ხახანაშვილი, 1891, გვ. 135 (ხ); 2) ს. კაკაბაძე, 1925, გვ. 192 (კ), 3) ი. დოლიძე, 1970, გვ. 611 (დ).

